„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განათლების უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი

2010 წ. მაისი* №25 * ფასი 1 ლარი



რატომ ეწინააღმდეგება ბესარიონ გუგუშვილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიას?

გვ.5

ირაკლი დოკვაძე კვლავ უდანაშაულო პატიმარია

გვ.12-13

ტელეკომპანია „კავკასია“ - ქვაბავაზაკთა საიდუმლო კუნძული

ლეილა ცომაია

თავისუფალი მასმედიის მახრჩობელა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უპრეცენდენტო მხარდაჭერა გამოხატა „ოპოზიციური“ ტელეკომპანია „კავკასიის“ მესვეურთა მიმართ (აქუბარდია-ჯანგირაშვილის ოჯახური ტანდემი) 7 მაისის ინცინდენტთან დაკავშირებით. პროგრამა „ბარიერის“ პირდაპირი ეთერით მსვლელობის დროს დებატებში მონაწილე ე. წ. თავისუფალი ინსტიტუტის წარმომადგენლებსა და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ (ლიდერი მალხაზ გულაშვილი) და მოკავშირე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ (ავთანდილ უნგიაძე, ლევან ჩაჩუა) წევრთა შორის ცხარე კამათი მსუბუქ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ვინაიდან ინციდენტი პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა, ტელეკომპანიასთან მისვლა იწყეს დებატებში მონაწილეების თანამოაზრეებმა, ოჯახის წევრებმა და სამღვდელოების წარმომადგენლებმაც. დებატების საგანი კი იყო, წინა დღეებში ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი პუშკინის, ხოლო შემდგომ სულხან-საბას ინსტიტუტი) პრეზენტირებული ქუთაისელი ჭაბუკის შიზო-მაზოხისტური წიგნი „საიდუმლო სირობა“, რომელშიც მოთხრობილ სულიერ დაცემასა და გარყვნილობას თვით ის ავსტრიელი მწერალი ზახერ-მაზოხიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომელმაც აღწერა სქესობრივი გარყვნილობა, რომლიდანაც მომდინარეობს სიტყვა მაზოხიზმი.

საყურადღებოა ისიც, რომ გიგი თევზაძემ, რომელმაც სტუდენტებში გასაყიდ-გასავრცელებლად შეიტანა ზემოხსენებული შიზო-მაზოხისტური წიგნი, მოაწყო მისი პრეზენტაციაც (წარდგინება) და არა განხილვა. მაშასადამე, პროპაგანდაც გაუწია წიგნს. პრეზენტაცია, სააკაშ-

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

ვილის დენაციონალიზებული ტელევიზიების საინფორმაციო სიუჟეტებითაც გადაიცა. ქართული საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის საპროტესტო რეაქციამაც არ დააყოვნა; უნივერსიტეტთან მივიდნენ „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“, ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ქართველი ერის უდიდესი ნაწილი შოკირებული და შეურაცხყოფილი დარჩა.

სააკაშვილის ტელევიზიებიდან ნიაღვრად მომდინარე გარყვნილობისა და სატანური ორგიების ძალადობრივი ჩვენებებით (მეტ-ნაკლებად საინტერესო გადაცემის მსვლელობისას რეკლამების სახით ჩართვა) ისედაც სულშეძრულ და გაწამებულ ხალხს, ვინმე დეისაძის ამ შიზო-მაზოხისტურმა წიგნმაც, ხელისუფლებისაგან სრული დაუცველობის განცდა კიდევ უფრო გაუმძაფრა. ხელისუფლება, თავისი მრავალუწყებრივი ძალისმიერი სტრუქტურებისა და მძლავრი პროპაგანდისტული მანქანებით (ტელევიზია, პრესა, საზოგადოებრივი გართობის ინდუსტრიით) მოწადინებულია ამოთხაროს ქართული სულიერება, კულტურა, მორალი, ზნეობა და ტრადიციები და შექმნას სრულიად ახალი ჰიბრიდული თაობა, სტერილური ყოველგვარი ფასეულობებისაგან. ასეთია მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პოლიტიკით დასახული ამოცანა, რასაც მთელი არსებით ეწინააღმდეგება და არ იღებს ქართველი ერი.

სხვადასხვა ჯურის უმცირესობების შემქმნელი სააკაშვილის ხელისუფლება მზრუნველ-დამცველად ევლინება მათ და კანონდარღვევით ძალადობს ჯანსაღ უმრავლესობაზე. ე. წ. ნაციონალები იმ ფიქციადქცეულ კონსტიტუციასაც კი მიადგნენ (მიღებული 1995 წ.), რომელშიც შევარდნაძის პრორუსულმა ხელისუფლებამ ისედაც მნიშვნელოვნად შეასუსტა მართლმადიდებლობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ავტოქტონური ქართველი ერის დომინანტობა სახელმწიფოში; „ნაციონალების“ მიერ იწერება სრულიად ახალი კონსტიტუცია, რომელშიც, სავარაუდოა, რომ აღარ იქნება ხსენებული, აღარც საქართველო, აღარც ქართველი და აღარც მართლმადიდებლობა. ასეთ ვითარებაში ქართველ ერს სხვა აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ყველა შესაძლო საშუალებებით თავად დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და საკუთარი უფლებებიც,

მართლმადიდებლობა და სამშობლო.

ეს ჩვენი ისტორიული მოვალეობაა.

სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივ-დიქტატორულ რეჟიმთან საიდუმლო გარიგებაში შესულმა ტელეკომპანია „კავკასიის“ მესვეურებმა, 7 მაისს, პირდაპირი ეთერით, ქვაბავაზაკობის შიშველი დემონსტრირება მოახდინეს, რითაც საბოლოოდ დასამარდნენ, როგორც „თავისუფალი სიტყვის ოაზისები თუ კუნძულები“ (სწორედ ასეთად ამკობდნენ მათ პოლიტიკური ოპოზიციონერები).

აქვე, პირნათლად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერებსა და „ზვიად განმათავისუფლებლის პარტიას“), ტელეკომპანია „კავკასიისათვის“ არასოდეს მიგვინიჭებია, რაიმე განსხვავებული უპირატესობა სხვა მოქმედ ტელეკომპანიებს შორის, არასოდეს გვქონია მათი „დამოუკიდებლობის“ ილუზია და შესაბამისად, არც არასდროს გვითანამშრომლია მათთან. არამედ, ყოველთვის უნდობლობით ვეკიდებოდით მათ, არასოდეს გვაკმაყოფილებდა მათი

პროფესიონალიზმი, ინტელექტი, კულტურა და გადაცემის ხარისხი, ვამხელდით ხელისუფლების დაკვეთებში (იხ. „განმათავისუფლებელი“, №19, 2009, გვ.3).

სააკაშვილს არაერთი მცდელობა ჰქონია, მამა ბასილ მკალავიშვილის და მისი სულიერი შვილების მსგავსად, „რელიგიური ექსტრემიზმის“ ბრალდებით, აგრეთვე დაეპატიმრებინა მამა დავით ისაკაძე, მამა დავით ქვლივიძე და მათი სულიერი შვილებიც, რისთვისაც მას საკმარისი ალიბი არ აღმოაჩნდა. 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი მსუბუქი ინცინდენტი მან მართლმადიდებელთა მხრიდან ტელევიზიაში შეჭრად და თავდასხმად შეაფასა და „თავდამსხმელთა“ უმკაცრესად დასჯის სიტყვიერი განკარგულებაც გასცა. მაყურებლებმა კი ნახეს, რომ ტელევიზიაში შეჭრის არანაირ ფაქტს, რეალურად ადგილი არ ჰქონია, არამედ, დებატებში მონაწილე მხარეების დასაშოშმინებლად და დაძაბული ვითარების (რომელსაც წამყვანი ნინო ჯანგირაშვილი პროვოკაციულად ძაბავდა) განსამუხტავად, სტუდიაში შევიდნენ მღვდლები, რამდენიმე მღვდელი კი ტელევიზიის გარეთ, ეზოში აშოშმინებდა დავით აქუბარდიას, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდა და უკონტროლოდ მოქმედებდა, საცემად მიიწევდა მართლმადიდებლობის დამცველთა წინააღმდეგ, ორივე მხარე მსუბუქად დაშავდა.

დავით აქუბარდია და მისი თანამეცხედრე ნინო ჯანგირაშვილი კატეგორიულად მოითხოვდნენ მართლმადიდებელთა ოპერატორისაგან (ავთანდილ ზუმბაძე) შეეწყვიტა გადაღება, ხოლო გადაღებული ფირი (კასეტა) კი მათთვის გადაეცა, რაც მათი მხრიდან ისეთივე უკანონო ღონისძიება იყო, რასაც სააკაშვილის პოლიციური რეჟიმი ხშირად ახორციელებს თავისუფალი ჟურნალისტების მიმართ (უმტვრევს კამერას და ართმევს კასეტას), რისი მსხვერპლი თავადაც გამხდარან „კავკასიის“ ჟურნალისტები და რაც ყოველთვის აღშფოთებით გაუპროტესტებიათ.

პროფესიით ეკონომისტი და მეცნიერებათა აკადემიის №1 განყოფილების (უშიშროების განყოფილება) კანცელარიის რიგითი საბჭოთა მუშაკი დავით აქუბარდია, თავის დროზე მტრულად იყო განწყობილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი და აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში. სახელმწიფო გადატრიალებისთანავე იგი და მისი ძმა კერძო ბანკის მფლობელები გახდნენ და იმ არეულობის წლებში, მეანაბრეთა მოტყუების გზით დიდძალი თანხა მოიხვეჭეს, ხოლო შემდგომ, დანაშაულის დაფარვის მიზნით, ბანკის ლიკვიდაცია მოახდინეს (ყველას ემახსოვრება 1992-95 წლებში ბანკების ბუმი, მოტყუებულ-გაკოტრებული და ვალებში ჩაძირული ხალხი).

ასე იქცა ბანკირი დავით აქუბარდია ტელეკომპანია „კავკასიის“ შემქმნელ-მფლობელად და წამყვან ჟურნალისტად (მას სამი ცოლიდან 5 შვილი ჰყავს და ვერც სხვა ტრადიციული ცხოვრების წესითაც დაიკვეხნის).

ტელეკომპანია „კავკასიამ“, როგორც პირველმა დამოუკიდებელმა ტელეარხმა, დაუდო სათავე პორნოგრაფიული ფილმებისა და დემონური მუსიკალური კლიპების ხანგრძლივი ქრონომეტრაჟებით პროპაგანდირებას ქართულ ტელესივრცეში, რითაც ბევრად აჭარბებს არსებულ ტელევიზიებს.

პროგრამა „ბარიერის“ წამყვანი ნინო ჯანგირაშვილი 7 მაისს აშკარა ტენდენციურობითა და აგრესიით გამოირჩეოდა მართლმადიდებელთა მიმართ, არ აძლევდა მათ სიტყვის თქმის ან აზრის დასრულების შესაძლებლობას, თანდათან ხელოვნურად ძაბავდა ვითარებას. მას შემდეგ, რაც მართლმადიდებლებმა მალტის ორდენის კავალრობაში ამხილეს „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ბექა მინდიაშვილი, მან პროტესტის ნიშნად დატოვა გადაცემა, რომელსაც შემდგომ მიჰყვნენ თავისი წარმომადგენლები. ჯანგირაშვილმა გადაცემა ჩაშლილად გამოაცხადა და „ჩაშლაში“ მოულოდნელად და სრულიად უსამართლოდ მართლმადიდებლები დაადანაშაულა. „რეკლამის“ შემდგომ განახლებულ გადაცემაში კი მან განაცხადა, რომ სტუდიაში შემოიჭრნენ მართლმადიდებლური მოძრაობის წევრები, სცემეს „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლებს და დაარბიეს სტუდია, თუმცა ცემა-ტყეპისა და დარბევის ამსახველი კადრები არ უჩვენებია. მიუხედავად ამისა, იგი სტუდიაში ისტერიულად გაჰკიოდა და უხმობდა პატრულს. გამოძახებული პატრულიც მოვიდა და პირდაპირ ეთერში, ნინო ჯანგირაშვილმა პატრულს „მთავარ დამნაშავეზეც“ მიუთითა: „აი, ამის გამო დაიწყო ყველაფერი, რომ იცოდეთ... აი, ეს წაიყვანეთო!“ იგი კი მართლმადიდებელთა უწყინარი ოპერატორი ავთანდილ ზუმბაძე იყო, რომელიც პატარა ვიდეოკამერით იღებდა აურზაურს და სულ მთლად ეს იყო მისი „დანაშაული“. პატრულის მრავალრიცხოვანი ჯანმაგარი კაცებიც ერთდროულად მივარდნენ იმ უწყინარ ახალგაზრდას, წამოაქციეს, თავი და ხელები მოუგრიხეს და ფეხებით გათრეული „პატრულის“ მანქანაში შეაგდეს. დააპატიმრეს, ასევე მართლმადიდებლური მოძრაობის სხვა წევრებიც: შოთა აფხაიძე, ლევან ჩაჩუა, რატი მაისურაძე, გიორგი გაბედავა, დავით შალამბერიძე, გიორგი გურჩიანი, ზვიად ბლიაძე.

ამ უკანასკნელის (ზვიად ბლიაძის) მამა, რომელმაც პოლიციის სამმართველოში მაშინვე მიაკითხა შვილს, მიღებული სტრესის შედეგად, იქვე მანქანაში ინფარქტით გარდაიცვალა. ვის კისერზეა გივი ბლიაძის სიკვდილი, ხალხმა განსაჯოს.

სირცხვილი ოპოზიციას!

სააკაშვილის რეჟიმისა და ტელეკომპანია „კავკასიის“ მიერ 7 მაისს მოწყობილ პროვოკაციულ დრამაში მართლმადიდებლები სრულიად დაუცველები აღმოჩნდნენ. ამ ტელევიზიის მა-

გაგრძელება მე-3 გვ.

შეცდომების გასწორება

წინამდებარე გაზეთის წინა ნომერში («გამანთავისუფლებელი», 2010, მარტი, №24) გვ. 6-7 დაბეჭდილ წერილში სათაურით «ვინ წარმოადგენდა რუსეთის იმპერიულ ძალებს და მის აგენტურას საქართვლეოში 1990-იან წლებში» გაიპარა ერთი უზუსტობა, ერთი კორექტურა და ერთი ტექნიკური შეცდომა.

წერილის დასაწყისში - «დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ და მისმა უზენაესმა საბჭოს, 1991 წლის 31 მარტს».

ვინაიდან ზვიადი პრეზიდენტად აირჩიეს 1991 წლის 26 მაისს, უნდა იყოს: «დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ».

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობის (მე-2 სვეტის ბოლო) ჩამონათვალში, მე-3 სვეტში: «გურამ ბუაჩიძე-ს ნაცვლად უნდა იყოს «მუჩაიძე».

გვ. 7-ზე სიის ჩამონათვალის ბოლო ტექსტის ორი სტრიქონი ტექნიკურად ასე უნდა დალაგდეს: ბოლოში ჩავარდნილი სიტყვა «მიხედვით» ატანილი უნდა იყოს «ტომების» გვერდით.

ამავე, მე-7 გვერდის ჩარჩოში ჩასმული ტექსტის მეორე სტრიქონში უნდა ამოვარდეს გამეორებითი «მან» და გამართულად უნდა იკითხებოდეს: «განმანთავისუფლებელი».

მკითხველებს ბოდიშს ვუხდით გაპარული შეცდომებისათვის.

გაგრძელება მე-2 გვ.

ყურებელი გულუბრყვილოდ ელოდა, რომ პოლიტიკური ოპოზიცია მაინც დაიცავდა მათ და პროტესტის ნიშნად ბოიკოტს გამოუცხადებდა აღნიშნულ ტელეკომპანიას. ამის ნაცვლად მათმაც (გარდა „ლეიბორისტებისა“) ქვა-ღორღი მიაყარეს ჟურნალისტებისა და ხელისუფლების მიერ ჩაწიხულ, დაგმობილ და საკნებში გამომწყვდეულ მართლმადიდებლებს. პოლიტიკურმა ლიდერებმა (დ. გამყრელიძემ, ფ. ჩიხრაძემ, ირ. ალასანიამ, ზ. ძიძიგურმა, დაჩი ცაგურიამ და სხვებმა) კონიუნქტურიდან გამომდინარე, პრაგმატულად შეაფასეს მომხდარი, რაშიც შესაშურად კონსოლიდირებული იყვნენ.

მალხაზ გულაშვილმა საქართველოდან მოჰკურცხლა

მთელი ამ ბატალიების ორგანიზატორმა, „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ლიდერმა მალხაზ გულაშვილმა, ყველასაგან მოულოდნელად, თავის 14 წლის ვაჟიშვილთან ერთად საქართველოდან, მოჰკურცხლა. იგი გვიან ღამით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალში გაიქცა.

პროვოკატორმა გულაშვილმა ვეღარ უნდა გაბედოს საქართველოში დაბრუნება.

მას ამის, არც მორალური უფლება აქვს!

გულაშვილის მოკავშირეობა სამღვდელოებას, ნდობას ვერ შეჰმატებს და ცალსახად უნდა გაემიჯნონ მას!

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორს გიგი გურამის ძე თევზაძეს, რომელმაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ თანხებით დააფინანსა მანიაკალური ფსიქიკის

მქონე ირაკლი დეისაძის წიგნი „საიდუმლო სირობა“ და უნივერსიტეტში ხმაურიანი პრეზენტაციაც მოუწყო, მის პერსონას სერიოზული მსჯელობის სუბიექტად ვერ ვაქცევთ ერთი ხალხური თქმის თანახმად: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი მერე გამონახეო“. სწორედაც! როგორი მამის შვილია გიგი თევზაძე, ამის საილუსტრაციოდ ვბეჭდავთ 1997 წლის 16 ივნისს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ პროფესორ ლევან ფრუიძის წერილს.

ჩვენის მხრივ კი დავსძენთ, რომ მამა-შვილი თევზაძეები, მძულვარე მოწინააღმდეგეები გახლდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისა, რამეთუ ჭვრეტდნენ, რომ ტრადიციულ საზოგადოებრივ წყობაში მათ პრივილეგირებული მდგომარეობა ნამდვილად არ ექნებოდათ.

აკადემიკოს გურამ თევზაძის ბიუროკრატიული ფენომენი

მკითხველი საზოგადოებრიობა იცნობს ფილოსოფოს გურამ თევზაძეს. მეც ვიცნობდი და, გითხრათ სიმართლე, მისი საკმაო პატივისცემა მქონდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელად როცა ვიხილე, არ გამკვირვებია, ვიფიქრე, იქნებ გვეშველოს-მეთქი. საბაბიც მქონდა: იგი ხომ ქვეყნის მმართველი პარტიის - მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის სპიკერი გახლდათ. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ბატონმა გურამმა ეს დიდი თანამდებობა მეცნიერების სიყვარულით დათმო და აკადემიაში მოგვევლინა, ვითარცა ეროვნული მეცნიერების ორგანიზატორი.

აკადემიკოსი გურამ თევზაძე თავის სამსახურებრივ ამპლუაში პირველად ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ვიხილე, სადაც მან მოხერხებულობის რეკორდი დაამყარა. ბოლო ხუთი თუ შვიდი წლის მანძილზე ამ ინსტიტუტის თანამშრომლებს, როგორც იქნა, საერთო კრება გვეღირსა და აჰა, „დემოკრატიული წესით“ დირექტორის არჩევა შემოგვთავაზეს. მაგრამ ბატონმა გურამმა ეგზალტირებულ ისტორიკოსებს ცივი წყალი გადაგვასხა და ისევ ძველი, ყელში ამოსული დირექტორი შემოგვაჩეჩა.

რა უნდა გვექნა, თავს ზევით ძალა არ არის, ვისაც უფროსად დაგინიშნავენ, ის უნდა აღიარო, მე შენ გეტყვი, იჩივლებ სადმე და პასუხს მიიღებ, პრესაში გამოხვალ და ვინმე გამოგეხმაურება. ჰოდა, ჩვენც თევზებივით პირში წყალი ჩავიგუბეთ და გავჩერდით, არადა, ახალე კედელს თავი, 70 წლის მანძილზე ისეთი სკოლა გვაქვს გავლილი, ყველაფერს ვიტანთ, ვეგუებით, იქნებ ღირსებისგრძნობა ჩვენს შვილიშვილებს მაინც დაუბრუნდეთ. ამასწინათ ბატონ გურამს კაბინეტში ვეახლე, ზრდილობიანად მიმიღო და ძალიან ტკბილად ვიჭუკჭუკეთ, წათამამებულმა ბოლოს მოსვლის მიზანი გავაცანი:

ეკონომიკურად შეჭირვებულ ერს საარსებო საშუალებებზე არანაკლებ ესაჭიროება სულიერი საზრდო, ქართული ცხოვრების წესი და ეროვნული ცნობიერება უმძიეს დღეშია, ამიტომ, კარგა ხანია მომწიფდა საკითხი, რომ აკადემიამ გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი და დავიწყოთ ღია საუბრები ქართული ცხოვრების წესსა

და ეროვნულ ცნობიერებაზე, დევიზით - „რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით“. ბატონ გურამს თემატიკაც გავაცანი: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, ეროვნული ცნობიერება და ქართული მართლმადიდებლობა, აფსურ-ოსური პრობლემა და მისი შედეგები (ისტორია და სინამდვილე), აგრარული რეფორმის ქართული გზა და ა. შ.

- აკადემიაში პოლიტიკური პარტიები რომ შემოვიდნენო?! - მაშინვე გამოითქვა საფუძვლიანი შიში.

- მე აქ საშიშროებას ვერ ვხედავ. ანტისამთავრობო მიტინგებს ხომ არ გავმართავთ. პარტიებსაც სჭირდებათ პატრონობა და მართალი სიტყვა. მსურველები ჯანსაღ მეცნიერულ საუბრებს მოისმენენ და წავლენ. ექსტრემიზმს სწორედ ასეთი მალამო სჭირდება...

შევთანხმდით. პირველი შეკრების ვადაც დავთქვით, მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგის ენთუზიაზმი თანდათან დაცხრა და ერთ მოქუფრულ დღეს მის კაბინეტში ნამდვილი ბიუროკრატი ვიხილე, რომელიც მთელი არსებით მეუბნებოდა: - დამანებე კაცო თავი, საქმე არ გაქვსო? როგორც გავიგე, ადრე ასეთი წინადადებებით მისთვის პროფ. გურამ ყორანაშვილს მიუმართავს, მაგრამ არაფერი გამოსვლია...

ამის შემდეგ ბატონ გ. თევზაძესთან ურთიერთობის ყოველგვარი ხალისი დავკარგე, მაგრამ მუხთალმა ბედმა მაინც მის კაბინეტში მიმიყვანა.

მეცნიერები რომ ნამეტან ცუდ, გაუსაძლის დღეში ვართ, ცნობილია და წუწუნს არ მოვყვები. პირადად ჩემთვის ფიზიკურად გადარჩენის ერთადერთი შანსი ე. წ. „გრანტის“ მიღება იყო. მეცნიერული პედანტობით ყველა სუბორდინაცია დავიცავი, ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ როგორმე ეს მხსნელი გრანტი მიმეღო, რათა სიმბოლური ხელფასის დანამატით მე და ჩემი ოჯახი საარსებო მინიმუმს ოდნავ მაინც მივახლოვებოდით. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამჯერად ჩემი ღმერთი ბატონი გ. თევზაძე იყო და მან უყოყმანოდ, ბიუროკრატიული ცინიზმით გამწირა...

აკადემიკოსმა გ. თევზაძემ და მისმა კოლეგებმა ისე შეადგინეს და შეუცვლელ დოგმად აქციეს გრანტების განაწილების ინსტრუქცია, რომ უბრალო მეცნიერებს არაფერს დაგვეკითხნენ, ცოტა კი დავქიჩმაჩდით, მაგრამ მივხვდით, ვერაფერს გავხდებოდით და ბიუროკრატთა ნებას მივენდეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, გრანტები იმათ დაირიგეს, ვინც კეთილმოსაგონარ საბჭოთა პერიოდში ავტომანქანებს, პრემიებს, საშინაო და საგარეო საგზურებს, ავეჯს და ათას სიკეთეს ითვისებდა...“

ლევან ფრუიძე

კოალიციანტი პრეზიდენტი, კოალიციანტი ვერი, კოალიციანტი საპარლამენტო „ოპოზიცია“

თუ აქამდე მიხეილ სააკაშვილი გვაკვირვებდა თავისი უჩვეულო ამპლუებით (პრეზიდენტი მიშა „შემდუღებელი“, მიშა - „ტრაქტორისტი“, მიშა ბავშვებთან კარუსელებით მქროლავ-მონავარდე, პრეზიდენტი - ხალხის სიდუხჭირით გულდათუთქულ-ცრემლებმოღვარღვარე“...), ამჯერად, 30 მაისის შუალდურ არჩევნებში, ამომრჩევლების გულის მოსაგებად „ნაციონალური“ მოძრაობის მერი და მერობის ხელახალი კანდიდატი გიგი უგულავა არანაირ საქმიანობას არ თაკილობს - ქუჩის მხვეტაობიდან დაწყებული მეყასბე - დახლიდარობის ჩათვლით. მან, ხალხთან უჩვეულო ყოველდღიური შეხვედრები გააჩაღა და არა მარტო „გულისხმიერებითა“ და „უშუალობით“ მოუთბო გული, არამედ, ფიგაროს მსგავსი ყველგან მყოფი ხელებდაკაპიწებული „გარჯილობითაც“ გააკვირვა. მშენებლობაზე, ბენზინგასამართ სადგურზე, პურის საცხობში, ბაზრის დახლებზე, ლაბორატორიებში ლაბორანტად და ა. შ. და ა. შ.

აქამდე ყოვლად მიუწვდომელ-მოუხელთებელი მერის მოულოდნელობის ეფექტით რეტდასხმული და გაოცებული ამომრჩეველი, 30 მაისს, საარჩევნო უბანში მაინც თუ ვერ მოეგო გონს და ზომბირებულმა საბედისწერო 5 რიცხვი კვლავ უგონოდ შემოხაზა, საკუთარ უბედურებას (შიმშილითა და უწამლობით სიკვდილს) მოაწერს ხელს.

სააკაშვილსა და მის „ნაციონალურ ხროვას“ ხომ, ქართველი ხალხი კი არა, უქართველო საქართველო სჭირდება.

ხალხის ზომბირებისა და გაოგნების პოლიტტექნოლოგიებში, სააკაშვილის ხელისუფალთ, არც საპარლამენტო ოპოზიციად წოდებული ე. წ. „ქრისტიან-დემოკრატები“ ჩამორჩებიან, რომლებიც ელექტორატს, ხან მშენებლებად, ხან „მალიარებად“ და ხანაც გულშემატკივარ მზრუნველ მამებად ევლინებიან. ფარისეველმა თარგამაძემ, „სამამულო ომის ვეტერანებზე დეკლარირებული ზრუნვით“ ვანის საარჩევნო ოლქში, საკრებულოს დეპუტატად, **95 წლის** მიხეილ ხარძეიშვილი დაასახელა.

ხოლო სპორტზე „ზრუნვით“ - თბილისის საბურთალოს საარჩევნო ოლქში - **70 წლის** ველოსიპედისტი ჯუმბერ ლეჟავა.

მალე მოვა 30 მაისი და მადლობა ღმერთს დასრულდება ეს საარჩევნო პოლიტ-კომედ-შოუ და თვალმიუწვდენლად დაგვშორდებიან ეს საზარელი პოლიტ-კომედ-შოუმენებიც.

პოლიტოლოგი
ალეკსანდრე ალ.

ვნებჯანელიძეს - ანუ ვლეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ

როდესაც ქართველებმა დასავლეთ ევროპისაკენ ყურება დაიწყეს, იქიდან მხარდაჭერისა და დახმარების იმედით, რუსები ტყიდან ახალი გამოსულები იყვნენ. მაგრამ იმის გამო, რომ მონღოლების გამოჩენამდე, მთელს უზარმაზარ სივრცეზე ფაქტიურად მოწინააღმდეგე არ ყოლიათ, სწრაფად მოხდა მათი ეთნოსის გამრავლებაცა და დომინირებაც.

რუსეთი მალე კიბოს უჯრედად იქცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამუდმებით ნთქავდა და ნთქავდა ახალ-ახალ ტერიტორიებსა და ხალხებს. ჩვენი უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ მაინცა და მაინც ამ განუკურნებელი სენით შეპყრობილი ქვეყნის მეზობლად აღმოვჩნდით.

მას შემდეგ, რაც საქართველოს გარშემო სამკუთხედი შეიკრა - ირანი, ოსმალეთი და რუსეთი - მთავარი კითხვა, რომელიც აქედან გამომდინარეობდა ის იყო, თუ ვისი ლუკმა უნდა გამხდარიყო საქართველო. ცხადია, ამისაკენ სამივე ისწრაფოდა, მაგრამ ჩვენდა ბედად თავიდან ჩვენი მონელების საშუალებას არ აცდიდნენ ერთმანეთს, ეს კი ფართხალისა და აქეთ-იქით ტოკვის საშუალებას გვიტოვებდა. რაც მანამდე გაგრძელდა სანამ რუსულმა დათვმა არ იმძლავრა და მთელს კავკასიას თავისი თათი მთელი სიმძიმით არ დაადო.

და აი ახლაც, როდესაც წელი წელს მიყვება, საუკუნე საუკუნეს, დაპყრობებისა და კოლონიების ეპოქა წარსულს ჩაბარდა; ზანგები, რომ ზანგებია აფრიკაში - იმათაც კი მისცეს დამოუკიდებლობა და მოსვენება; ჩვენი საშველი მაინც არ ჩანს, რუსი ოცდამეერთე საუკუნეშიც ვერ გათავისუფლდა დერჟავობის ბაცილისაგან.

მაგრამ მთელს ამ ორომტრიალში, ჩვენი წილი შეცდომებიც უხვად არის. პოლიტიკოსის ყველაზე დიდი მტერი მისივე გულუბრყვილობაა, ეს ჩვევა კი ქართველებს მოჭარბებულად გვაქვს. ყოველთვის ვიღაცისა და რაღაცის იმედი გვქონდა, ილუზიებით ვცხოვრობდით, შედეგი ხშირად დამანგრეველი იყო, მაგრამ სწორი დასკვნების გამოტანას მაინც ვერ ვახერხებდით.

ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში - რა ჭკუის კოლოფებიც ვიყავით იქიდანაც ჩანს, რომ მარგალიტივით დედოფალი თამარი, ბედის ირონიით რუსს ბომჟს მივათხოვეთ; რამოდენიმე წელი გახდა საჭირო ჩადენილ სისულელეს მიმხვდარიყავით.

იმავე რუსების წაქეზებით - აქაოდა დაგეხმარებით და აბა შენ იციო, მართლაც ბრძენი მეფე ვახტანგ VI-ე ისე გაგულისდა პაწაწინა ქართლის ძალებით - ირანის წინააღმდეგ იწყებს ომს. ამ გულუბრყვილობის შედეგი ის იყო, რომ ძლივს გაასწრო საქართველოდან და ყველაზე ინტელექტუალ 1200 ქართველთან ერთად რუსეთში გადაიხვეწა.

იგივე დამართეს ერეკლე II- ესაც, რომელსაც ასევე გულუბრყვილოდ ჯეროდა, რომ რუსი ქართულ საქმეს გააკეთებდა; ვინ იცის, როდესაც აღა მახმად ხანმა თბილისი მიწასთან გაასწორა - რუსების აშკარა წაყრუებითა და პასიური ხელისშეწყობით - მიხვდა კიდეც მათ მთელს ვერაგობას, მაგრამ უკვე გვიანი იყო, სტუმრის სტატუსით მოსული - ყველაფრის დაპატრონებას ჩემობდა და შეასრულა კიდეც.

დღეს რუსები, უფრო ზუსტად კი კრემლის აპოლოგეტები პრეტენზიებს გვიყენებენ და ჩვენს უმადურობაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ არ გვინდა გავიხსენოთ თუნდაც ორასი წლის ამბები, როდესაც მუსულმანთა ოკეანეში ჩასაძირად განწირულებს, სწორედ რუსეთმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი, გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებისაგან და მოგვცა საშუალება გაგვეგრძელებინა არსებობა, მეტიც ერად დავრჩენილიყავით.

მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია, უბრალოდ მოხდა ისე, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში - ჩვენი ფიზიკური გადარჩენის შანსი დაემთხვა რუსეთის ინტერესებს გაეფართოებინა ტერიტორიული დაპყრობები კავკასიის მიმართულებით. ჩვენი გადარჩენა არ შედიოდა რუსის გეგმაში. პირიქით, ის ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო; დაწყებული დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლით საქართველოში, სეპარატიზმის გაღვივებითა და მხარდაჭერით, ეკლესიების ძარცვა-გლეჯითა და ნაძარცვის რუსეთში გატანით, საუკეთესო ქართული ტერიტორიების მიტაცებით, ძირძველი ქართული მიწების მეზობელი სახელმწიფოებისათვის ჩამორიგებით, ქართული კულტურისა და ენის დევნით; რომელი ერთი ჩამოთვალო, მათ სიავესა და ბოროტებას დასასრული არა აქვს და ეს ყველაფერი დღესაც გრძელდება.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ კავკასიაში არიან ხალხები, რომლებზედაც რუსებს მზე და მთავარე ამოსდით, რატომ და იმიტომ, რომ ლოკვა იციან კარგად. მადლობა ღმერთს, რომ ამაში არ დავემსგავსეთ მათ.

დასავლეთი, რომელიც გადარჩენისა და ხსნის პანაცეად გავიხადეთ, ჩვეულების გათვალისწინებით, როგორც ჩანს თითსაც არ გაანძრევს საქართველოს დასახმარებლად. რუსეთი კი აქტიურ ქმედებებზე გადმოდის და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებში მაინც აღსდგეს. ევროპა, ასე ჩანს, რომ ამას შეგუებულია.

ასეთ ვითარებაში რა გამოსავალი რჩება საქართველოს, კვლავ გავაგრძელოთ საომარი რიტორიკა, იხტიბარი არ გავიტეხოთ, რუსულ დათვს მუშტები ცხვირწინ ვუქნიოთ? რამდენჯერ უნდა გამოვარდეს თავისი ბუნაგიდან და დაგვლეჯოს, რომ ჭკუა ვისწავლოთ?

არ მოვა ევროპიდან მონადირე - ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ. ჩანჩურა დასავლეთი თავს არ შეინუხებს საქართველოსთვის. კი ბატონო! ბევრს ილაპარაკებენ, ვითომდა ჩვენს საცოდაობაზე, მაგრამ ისე, რომ რუსებსაც აფიქრებინონ - არც შენ ხარ მთლად მტყუანიო. როგორც მოვლენები ცხადჰოფს - რუსეთი თუ თავისი იმპერიის კიდევ უფრო გაფართოებას მოინდომებს მას დასავლეთიდან მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობა შეხვდება და ისიც ლაყბობის იქით არ წავა.

ეს ევროპაა - იქ განცხრომით ცხოვრობას არიან მიჩვეული და სხვისი სატკივარი გულთან ახლოს არ მიაქვთ. სულხან-საბასაც ეგონა ერვოპაში, თუ ჩავედი იმოდენა ჯარს დამახმარენ - საქართველოს მტრებს კუდით ქვას ვასროლინებო, მაგრამ ამისი გაკეთება აზრადაც არავის მოსვლია, ისევე, როგორც ეს არავის მოუნდომებია ერთა ლიგის დროს, როდესაც ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრებს ფუჭად აიმედებდნენ; ევროპიდან დახმარების მოლოდინში - რუსეთი შემოვარდა და რა დღეც დაგვაწია ყველას კარგად ახსოვს. იგივე დაგვემართა ეხლაც, გაერო თუ მაერო, ნატო თუ კატო - ყველას მოიმედე ჩვენ ვიყავით, მაგრამ არაფერმა გვიშველა. შემოვარდა რუსი და კიდევ ერთხელ დაგვტორა.

ის ნაფლეთები, რომელსაც საქართველოს ვეძახით და ჯერ კიდევ შემოგვრჩა, - რამდენხანს შევინარჩუნებთ ძნელია სათქმელია. ფილმში „გიორგი სააკაძე“ არის ერთი ეპიზოდი, როდესაც შახ-აბაზის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველები სპარსელების შესაშინებლად იძახიან რუსი მოდის! - რუსი მოდისო! უბედურებაც ისაა, რომ რუსი კარგა ხანია მოსულია და წასვლასაც არ აპირებს.

ერთი სიტყვით, არავისი იმედი არ უნდა გვქონდეს - განსაკუთრებით კი მოლაყბე დასავლეთელი პოლიტიკოსებისა. ჭკუა უნდა მოვიკრიბოთ, არ უნდა ავჩქარდეთ, კარგად უნდა დავაკვირდეთ რუსეთის შიგნით განვითარებულ პროცესებს, რომელიც დროთა განმავლობაში სხვადასხვა ხალხებისაგან შეკოწიწებულ ერთობას უსათუოდ დაშლის. სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს. რუსულ იმპერიას შიდა პროცესები მოუღებენ ბოლოს. ეს იქნება საქართველოსათვის ხსნაც და გადარჩენის შანსიც.

აკაკი ვარაზაშვილი

არარსებული გაზეთის ე.წ. „დამატების“ გამო

ავადსახსენებელ საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელ, ხელისუფლების მაქებარ-განმადიდებელი წერილების წერა-გამოქვეყნების ტრადიცია გრძელდება, იქნებ დრო არაფერ შუაშია, იქნებ ბუნების ამოუცნობ საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე, რადგან ასეთი წერილების ავტორები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან.

წარმოუდგენელი ამბავი მოხდა, „ასეთი რამ ჟურნალისტიკის ისტორიას არ ახსოვსო“, დამემოწმა რამოდენიმე ღვაწლმოსილი ჟურნალისტი: „გასაყიდად“ გამოვიდა გაზეთის „დამატება“ (ფასი 15 თეთრი, ეს წარწერაც ყალბია, რამეთუ დამატებები ცალკე არ იყიდება), თუმცა გაზეთი, რომლის დამატებაცაა იგი, არ არსებობს, არც არსებულა და ვერც დამატებაზე - „აფხაზეთი“ იხილავთ მის სახელწოდებას, რომლის ქვესათაური გვამცნობს:

„დ. გურამიშვილის ქართულ-უკრაინული საერთაშორისო უნივერსიტეტ „იბერიას“ პერიოდული გამოცემის (?!) ყოველკვირეული დამატება“. მეოთხე გვერდზე ვკითხულობთ: „პასუხისმგებელი გამოცემისთვის სერგი (გიორგი) საჯაია“. „დამატება“ იმასაც გვატყობინებს, რომ იგი ყოველკვირეულია, თუმცა 14 აპრილის შემდეგ მრავალი კვირა გავიდა, მომდევნო ნომრები კი არავის უხილავს. რაში ენაღვლება ს. საჯაიას, - მან ხომ ამ ნომრის გამოცემით თავისი სათქმელი თქვა: არარსებული გაზეთის „დამატება“ თითქმის მთლიანად თავის პატრონსა და დამწინაურებელს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს გიორგი ბარამიას მიუძღვნა.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია „მიმართვა აფხაზ ხალხს“ ქართულ., ინგლისურ და რუსულ ენებზე (აფხაზურად არ უთარგმნიათ, უცხო ენების არმცოდნე აფხაზებისთვის უფრო გასაგები რომ გაეხადათ!) მიმართვა საფრანგეთიდან გაკეთდა, სადაც ე.წ. სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ა/რ ხუთკაციანი დელეგაცია: მისი თავმჯდომარის, განათლებისა და კულტურის მინისტრის, მედიაცენტრის ხელმძღვანელის და ორი ჟურნალისტის შემადგენლობით. დელეგაციის წევრთა რაოდენობა ს. საჯაიას მიერ გაზეთში მოთავსებულ „ქრონიკაში“ არ ჩანს, მისი ინფორმაციით მხოლოდ გიორგი ბარამია ყოფილა ვიზიტით საფრანგეთში, სადაც შეხვედრია ქართულ დიასპორას, ყვავილებით შეუმკია არზაყან ემხვარის საფლავი, ლევილის სასაფლაოდანვე გაუკეთებია აღნიშნული მიმართვა. გასაოცარია, როცა ჩამოთვლილ „ღონისძიებებს“ ხუთი დღე დასჭირდა და „საქმიან ვიზიტად“ მოინათლა, რაც შეეხება მიმართვას, მისი ჩანაწერი გადაიცა ჩვენი ტელევიზიით, რაც შესაძლებელი იყო საფრანგეთში დელეგაციის ჩასვლის გარეშეც, რითაც დაიზოგებოდა ეკონომიური კრიზისისა და დევნილთა უკიდურესი სიდუხჭირის დროს აფხაზეთის ა/რ მთავრობის ისედაც მწირი ბიუჯეტი.

ოთხგვერდიანი „დამატების“ მთელი ორი გვერდი უკავია ს. საჯაიას წერილს „აუუუუ, სად ხარ სინდისო, ანუ, როცა ხელცდუნება ხასიათშია!..“ ყურადღება რომ არ მივაქციოთ წერილის შესავალში ავტორის მიერ დასახული მიზნის გარეშე სხვადასხვა საკითხების ე.წ. გაშუქების ცდებს, კორესპონდენცია ემსახურება ერთი კაცის „ცხოვრება-მოღვაწეობის“ გამშუქებელ-მარეკლამებელ-მაამებელ-მაპირფერებელ-განმადიდებელ ამოცანას, თუმცა აქვე წინასწარ იზღვევს თავს და აკომენტარებს: „არავითარ შემთხვევაში არ ვაპიროვნებ იმ მოვალეობას და ვექილად დაუდგე მასთან დაპირისპირებულ ვინმეებს თუ ვიღაცეებთან ურთიერთობის რკვევაში, პასუხები ვუფრიალო მათ ან განმარტებანი დავარიგო, მე კაცურად მინდა ჩავწალდო ის საქილიკო ტონი, რომლის თანხლებითაც ეს ჩასაფრებულები იუთოებენ შემშრალ ჩანასველს“.

როდესაც ავტორი წერილის სათაურშივე მოუხმობს „სად ხარ სინდისო“-ო, ამასთან ყოფილი განათლებისა და კულტურის მინისტრის ბათუმში მივლინებას დანაშაულად და ბიუჯეტის ფლანგვად თვლის, არ უნდა ხუჭავდეს თვალს იმაზე, რომ სამთავრობო დელეგაციის საფრანგეთში გასეირნებაში ათეული ათასობით საბიუჯეტო ლარი დაიხარჯა. იმისათვის, რომ გიორგი ბარამია ახალგაზრდობიდანვე ეროვნულ მოღვაწედ წარმოაჩინოს, ყოველ ნაბიჯზე უსინდისოდ ცრუობს, ამასთან იმოწმებს პიროვნებებს, რომლებიც უარს ამბობენ მისი „სიმართლის“ დადასტურებაზე - არც კი იცნობდნენ მას (დ. ჯაიანი, შ. გორგოძე, რ. კემულარია და სხვები). იგი იქამდეც კი მივიდა, რომ დიდად გავლენიანი პირის სახელით გვატყობინებს, თითქოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ბატონ შოთა გორგოძესთან მისულა და გენერალ ვარლამ შადურის თანდასწრებით თავისთვის და ბარამიასთვის „მანქანის გადაადგილების თავისუფლების“ და „იარაღის ტარების სიტყვიერი“ ნებართვა მიუღია.

და ბოლოს, ს. საჯაიას უნდა მოვახსენოთ, რომ, რაც არ უნდა დაწეროს ან ილაპარაკოს გ. ბარამიას ეროვნულ მოძრაობაში ყოფნაზე, მეც და ამ მოძრაობაში ჩაბმული სხვა პირებიც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ და ერთხმად ვადასტურებთ, რომ იგი მისი ქვემძრომული პუბლიკაციით ურცხვად გვატყუებს! პუბლიკაციით, რომელიც გიორგი ბარამიას რვა ფოტოსურათით აქვს აჭრელებული, რითაც დათვურ სამსახურს უწევს თავის მფარველს, ხოლო ისეთი გამოცემა, როგორიც სერგი (გიორგი) საჯაიას „დამატება“ „აფხაზეთი“-ა, მკითხველის შეცდომაში შეყვანას ემსახურება და ეროვნულ მოძრაობას შეურაცხყოფს!

ნუგზარ მგალობლიშვილი

P.S. *ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტ „იბერიაში“ დაფუძნდა აფხაზეთმცოდნეობის სამეცნიერო ცენტრი, მისი მესვეურების გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად მიიჩნიეს შესაბამისი პერიოდული გაზეთის გამოცემა, რომელშიც განხილული იქნებოდა აქტუალური სამეცნიერო პრობლემები. რედაქტორობა ს. საჯაიამ იკისრა. შედეგი მკითხველისთვის ცნობილია, რითაც აღშფოთებულია, როგორც უნივერსიტეტის კოლექტივი, ისე დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა.*

1991 წლის 26 მაისს ზვიად გამსახურდია აირჩიეს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად

რატომ ეწინააღმდეგება ბესარიონ გუგუშვილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ვერსიას?

საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებათა შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიის შექმნამ (რომელსაც პრეზიდენტის უფროსი შვილი, პარლამენტარი კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობს) მოსვენება განსაკუთრებით დაუკარგა ეროვნული მთავრობის პრემიერ-მინისტრს ბესარიონ გუგუშვილს და პრეზიდენტის დაცვის იმ წევრებს, რომლებიც ბესარიონ გუგუშვილთან ერთად იმყოფებოდნენ პრეზიდენტის გარდაცვალების დროს (რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე და გოჩა კეკენაძე). სწორედ ამ ოთხეულის მიერ გავრცელდა ის თავზარდამცემი ინფორმაცია, რომ 1993 წლის 31 დეკემბრის ღამეს, ახალი წლის დადგომამდე რამოდენიმე წუთით ადრე, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. აღნიშნული ინფორმაცია, შევარდნაძის ხუნტისტურმა ხელისუფლებამ ოფიციალურად მასმედიით 1994 წლის 5 იანვარს გაავრცელა. 5 იანვრამდე, დევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას «თვითმკვლელობის» ინფორმაცია არ გამოჟონილა მისი გარემოცვისაგან. არც თვით იმ სოფლებშიც, რომელშიც მოკლეს და შემდგომ გადაასვენეს პრეზიდენტი (ჯიხაშკარი და ძველი ხიბულა).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 5 დღის განმავლობაში (31 დეკემბრიდან 5 იანვრამდე), პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარემოცვა, შევარდნაძის ხუნტისტურ რეჟიმთან თანამშრომლობით ხვეწდა და ამუშავებდა ორივე მხარისათვის სასურველი თვითმკვლელობის ვერსიის, რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობით გავრცელების დეტალებს, რომლის მთავარ ეპიზოდად და არგუმენტად იქცა პრეზიდენტის საფლავის ადგილსამყოფელის საიდუმლოდ შენახვა ხუნტისტური ხელისუფლებისაგან, ვითომდაც დაცვის არგუმენტით.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი გარემოცვისა და შევარდნაძის ხუნტისტური ხელისუფლების მიერ გავრცელებულმა «თვითმკვლელობის» ვერსიამ, 16 წლის განმავლობაშიც კი, ვერც მის მომხრეებსა და ვერც მოწინააღმდეგეებს შორის, დამაჯერებლობის ვერც ერთი პროცენტით ვერ იმუშავა, ზვიად გამსახურდიას პიროვნული ფაქტორების გათვალისწინებით. არამედ, სწორედ ამ ვერსიამ გააჩინა პარადოქსალური იმედი ზვიადის სიცოცხლის შესახებ,

ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ნაწილს დღემდე ასულდგმულებს მისი დაბრუნების (გამოჩენის) იმედი.

თბილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა (იგი ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო), ამა წლის კვირაცხოვლობას (11 აპრილს), ორიათასამდე მრევლის წინაშე იქადაგა: ზვიად გამსახურდია ცოცხალია, იგი იმყოფება ევრაზიის ერთ-ერთ მონასტერში, დაბრუნდება საქართველოში და ჩამოიყვანს მეფეს. ამიერიდან მე ზვიად გამსახურდიას ცოცხლებში მოვიხსენიებო... მას შემდეგ ცოცხალთა ლოცვებში იხსენიებს - კიდეც!

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი გარემოცვა (გუგუშვილი, მარგველანი, გვანცელაძე, კეკენაძე) აცხადებს, რომ პრეზიდენტი მოწამლული იყო და ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძალიან ცუდად გრძნობდა თავს (ხდებოდა, ვერ ჭამდაო). საზოგადოებისათვის დღემდე პასუხგაუცემლად რჩება კითხვა, თუ რა ვითარებაში მოიწამლა პრეზიდენტი და რით! თუ იგი საკვებით მოიწამლა, მაშინ იმავე საკვებით ან წყლით ისინიც ხომ უნდა მოწამლულიყვნენ. რამდენადაც ვიცით, დევნილ მთავრობას, საველე და ექსტრემალურ ვითარებაში საკვების ფართო ან განსხვავებული ასორტიმენტი არ გააჩნდათ და ყველანი (პრეზიდენტიც) ერთი საკვებით იკვებებოდნენ.

არის ერთი სიცარიელეც! ვინაიდან, აფექტის მდგომარეობა და მოტივაცია, როგორც ასეთის იმ მომენტისათვის აღარ არსებობდა, პრეზიდენტი, თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე, განსჯით უნდა მისულიყო.ასეთ შემთხვევაში მას, თავისი უკიდურესი გადაწყვეტილების ახსნისა და ერის მიმართ სათქმელი, წერილობით უნდა დაეტოვებინა, რამეთუ ზვიად გამსახურდიაში უდავოდ მაღალი იყო ერისა და ქვეყნის მიმართ პასუხისმგებლობის ხარისხი. საზოგადოების ყურადღება ერთ თვალსაჩინო საეჭვო გარემოებაზეც მსურს გავამახვილო: ტელევიზიებით გავრცელებულ კადრებში, ჩასასვენებელში მყოფ გარდაცვლილ პრეზიდენტს ხელებზე, რატომღაც წამოცმული აქვს უთითო თეთრი ხელთათმანები, ხოლო ხელები მკერდზე ბუნებრივად დაწყობილი კი არ აქვს, არამედ, არაბუნებრივად დაყრილი, როგორც დამტვრეულ-პარალიზებული.

ხელთათმანის დანიშნულება და ფუნქციაც, უთუოდ ამით არის განსაზღვრული - საზოგადოების თვალს დაუმალოს, შეუფუთოს დაზიანებული (ნაწამები) ხელები.

საზოგადოების უნდობლობასა და ეჭვებს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტის გარემოცვა (გუგუშვილი, გვანცელაძე, მარგველანი, კეკენაძე) «პედალირებენ» მათივე ერთადერთ «თვითმკვლელობის» ვერსიაზე (რაც საკუთარი თვალებით, არც ერთს არ უნახავს) და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მკვლელობის ვერსიაზე მომუშავე საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას, პრინციპულად არ თანამშრომლობენ მათთან, არამედ სხვადასხვა დემაგოგიური განცხადებებით, თავიდან იცილებენ გამოძიებასთან თანამშრომლობის ვალდებულებას.

ქვემოთ ვბეჭდავთ ბესარიონ გუგუშვილის კონტრ-დაკითხვის ტექსტს: (მკითხველებს შევახსენებთ, რომ ბატონი ბესარიონი დევანილი მთავრობის სტატუსით ცხოვრობს ემიგრაციაში - ფინეთში).

ლეილა ცომაია

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ე.წ. პარლამენტის „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის“ წევრებისა და წარმომადგენლების ფინეთში ჩამოსვლის შემთხვევაში მათი დაკითხვის შესახებ.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის დევნილობაში მთავრობის პრეზიდიუმის პრეს-სამსახურს:

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ე.წ. პარლამენტის „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის“ წევრებისა და წარმომადგენლების ფინეთში ჩამოსვლის შემთხვევაში დაუკავშირდეს მათ და ცადოს დაკითხოს ისინი ქვემორე კითხვარის შესაბამისად.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე,
პრემიერ მინისტრი
ბესარიონ გუგუშვილი
2010 წლის 27 თებერვალი,
ვანტაა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში კითხვარი და მეთოდური მითითებები

საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ე.წ. პარლამენტის „საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისის“ წევრებისა და წარმომადგენლების დასაკითხად:

1. ქართული საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი თქვენი კომისიის მეთაურის კოკო გამსახურდიას ფართო და ენერგიული საჯარო მოღვაწეობა ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიის წინააღმდეგ და მკვლელობის ვერსიის სასარგებლოდ (დაწყებული ფართოდ გაპიარებული საგანგებო სატელევიზიო ფილმებით და დასრულებული მრავალრიცხოვანი გამოსვლებით ტელევიზიასა და ბეჭდურ მედიაში).

შეკითხვა

* თვლით თუ არა, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით თქვენი კომისია შესაძლოა ობიექტური იყოს?

* აგროვებს თუ არა თქვენი კომისია მასალებს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის დამასაბუთებელ ფაქტებსა და მასალებსაც – თუ მხოლოდ მკვლელობის დამასაბუთებელი მასალებისა და დოკუმენტების შეგროვებითაა გატაცებული?

* კონკრეტულად – თქვით-

გაგრძელება მე-6 გვ.

დასაწყისი გვ. 5

მკვლელობის ვერსიის სასარგებლო რა ახალი მასალები იქნა მოპოვებული?

2. როგორც ცნობილია საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების ე.წ. პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს მიიღო დადგენილება (N 1104 — Iს) რომელშიც აღნიშნულია:

„1. საქართველოს პარლამენტი კვლავ ადასტურებს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობას საათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესაბამისად გადაისინჯოს სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ, რომელთა ბრალდება ემყარებოდა მითითებულ სახელისუფლებო სტრუქტურებში მათ მონაწილეობას და მათ პოლიტიკურ მრწამსს.“

შეკითხვა:

* გამომდინარე ზემორე დადგენილებიდან – მიიჩნევთ თუ არა, რომ სიკვდილის მომენტისთვის ზვიად გამსახურდია იყო საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი და საქართველოს ლეგიტიმური მთავრობა იყო მინისტრთა კაბინეტი ბესარიონ გუგუშვილის მეთაურობით? (მეთოდური სახელმძღვანელო — პასუხი: ხო-არა).

* გამომდინარე ზემორე დადგენილებიდან – მიიჩნევთ თუ არა, რომ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მომენტისათვის საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით არ იყო საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება და ამდენად კრიმინალური, დანაშაულებრივი სტრუქტურა იყო? (მეთოდური სახელმძღვანელო — პასუხი: ხო-არა). დამატებით

* თუ მიიჩნევთ რომ „ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მომენტისათვის საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით არ იყო საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლება და ამდენად კრიმინალური, დანაშაულებრივი სტრუქტურა იყო“ – რატომ აქამდე არაა წამოწყებული საქართველოს იმდროინდელ ფაქტობრივი ხელისუფლების მიმართ, როგორც კრიმინალური სტრუქტურის მიმართ სამართლებრივი დევნა? (მეთოდური სახელმძღვანელო — დაწვრილებითი პასუხის მოთხოვნა).

3. ელექტრონულ მას-მედიაში უკვე რამდენიმე წელიწადია გამოქვეყნებულია 1994 წელს ზვიად გამსახურდიას ცხედრის საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვენების საერთაშორისო კომისიის მუშაობის ვიდეოდოკუმენტები – როგორც ჩეჩნეთში, აგრეთვე – საქართველოში. ამის მიუხედავად და ზვიად გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული უდიდესი აჟიოტაჟის მიუხედავად, არც თქვენს კომისიას და არც საქართველოს ტელევიზიებს არ უზრუნიათ, რათა ქართული საზოგადოებრიობისათვის გაეცნოთ აღნიშნული ვიდეო დოკუმენტები. (მეთოდური სახელმძღვანელო: დაკითხვისას „კომისიის“ წამომადგენლებს მიეწოდოს, ეჩვენოს აღნიშნული ვიდეოდოკუმენტები მობილური კომპიუტერიდან და მოეთხოვოთ დაუყონებლივ გაეცნონ მათ).

შეკითხვა:

* რატომ, რა მიზეზითა და საბაბით უმალავენ ქართულ საზოგადოებრიობას თქვენი კომისია და საქართველოს ტელევიზიის არხები ამ საკვანძო და უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას?

4. როგორც ფართოდაა ცნობილი – 1994 წელს ზვიად გამსახურდიას ცხედრის გროზნიში გადადასვენებისთანავე იგი მოთავსებული იქნა ქალაქ გროზნის პროზექტურაში, სადაც ცხედარი ზვიად გამსახურდიას ვაჟების ცოტნესა და გიორგის თვალწინ (ესწრებოდნენ, აგრეთვე ოჯახის სხვა წარმომადგენლები და პირადი მცველები), ჩეჩნეთის პროკურატურისა და სამედიცინო ექსპერტების თანდასწრებით (სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი-პათანატომი რუსლან



აბუს ძე აჰმედხანოვი) გაშიშვლებული და დეტალურად დათვალიერებული და დაბანილ-გაწმენდილი იქნა (რის შემდგომ ცხედარს ჩააცვეს ახალი ტანსაცმელი და ჩაასვენს ახალ კუბოში).

შეკითხვა:

დაკითხული იქნენ თუ არა თქვენი კომისიის მიერ ამასთან დაკავშირებით ცოტნე და გიორგი გამსახურდიები და სხვა დამსწრე პირები – რათა დადგენილიყო სხეულის მდგომარეობის გამოძიებისთვის საინტერესო დეტალები და ნატყვიარების მდებარეობა?

5. როგორც ცნობილია ზ.გამსახურდიას თბილისში გადასვენებისას რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის პროკურორმა ვალერი კუზნეცოვმა არაერთხელ განაცხადა: „в связи с обнаружением гроба с человеческими останками и по результатам этой проверки будет решен вопрос о возбуждении уголовного дела“. „Валерий Кузнецов заявил, что по факту обнаружения останков назначена доследственная проверка, по результатам которой будет решен вопрос о возбуждении уголовного дела. По словам Кузнецова, решение о возбуждении дела будет зависеть от того, найдут ли при проведении экспертизы признаки насильственной смерти или нет.“

შეკითხვა:

კუზნეცოვის სიტყვების შესაბამისად – გაქვთ თუ არა მოპოვებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა შედეგით დამთავრდა ჩეჩნეთის პროკურატურის წინა საგამომძიებლო შემოწმება (доследственная проверка), იპოვა თუ არა ჩეჩნეთის პროკურატურამ ძალადობრივი სიკვდილის ნიშნები? (მეთოდური სახელმძღვანელო: ხო-არა), ხოლო – თუ ხო, იპოვა – აღძრა თუ არა, შესაბამისად, საქმე ზვიად გამსახურდიას ძალადობრივი სიკვდილის გამო?

6. საქართველოს ტელევიზიით ნაჩვენები იქნა ვიდეო დოკუმენტი, რომელშიც ჯონსონ კვარაცხელია აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას პისტოლეტი „სტეჩკინი“ და გასროლილი გილზა, რომლებიც დამალული იყო მის განკარგულებაში, მისგან წაიღეს მანანა არჩვეიძის წარმომადგენლებმა.

შეკითხვა:

* დაკითხული იქნენ თუ არა თქვენი კომისიის მიერ აღნიშნული პისტოლეტისა და ვაზნის ამჟამინდელ არსებობასთან დაკავშირებით ჯონსონ კვარაცხელია, პისტოლეტისა და ვაზნის წამღები პირები და მანანა არჩვაძე?

* ჩატარდა თუ არა საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პროკურატურის მიერ რაიმე მცდელობები ნაპოვნი ყოფილიყო აღნიშნული იარაღი?

7. როგორც ცნობილია ზვიად გამსახურდიას ცხედარს სიკვდილის მეორევე დღეს ბალზამირება ჩაუტარა და სხეული დეტალურად შეისწავლა ექიმმა დავით ჯალაღონიამ, რომელმაც თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: ტყვიის ადგილი და გამოდიოდა მარცხენა მხარეს, უკან, დვრილისებრ მორჩში და ყველაფერი გამონგრეული ჰქონდა... იარაღი ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი... თვალის გასწვრივ ძვალი დამტვრეული არ არის. დამწვარიც კი არ იყო, მაგრამ დენთის ნაკვალევი შეიმჩნეოდა.“

შეკითხვა:

* იყო თუ არა თქვენი კომისიის მიერ დაკითხული ექიმი დავით ჯალაღონია?

* რატომ უმალავს თქვენი კომისია ფართო ქართულ საზოგადოებრიობას ფასეული თვითმხილველის, ექიმ დავით ჯალაღონიასეულ ძალზე არსებით ინფორმაციას?

8. როგორც ფართოდაა ცნობილი ზვიად გამსახურდიას ნეშტის დეტალური და დაწვრილებითი სამედიცინო და კრიმინალოგიური შესწავლა მოხდა მისი გროზნიდან თბილისში გადმოსვენების დროს როსტოვში (124-й Центральная лаборатория медико-криминологической идентификации, ამჟამად 16-ая лаборатория СКВО). რუსეთის ორგანოების შესაბამისი დოკუმენტი – ძალზე არსებითი და უკიდურესად მნიშვნელოვანი თქვენი კომისიის საქმიანობისათვის – გადაეცა და გააჩნია ზვიად გამსახურდიას ოჯახს და ოჯახი მას უკვე სამი წელია უმალავს ქართულ საზოგადოებრიობას.

შეკითხვა:

* რა იღონა თქვენმა კომისიამ რათა მოეპოვებინა აღნიშნული დოკუმენტი გამსახურდიას ოჯახისაგან?

* იქნენ თუ არა აღნოშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით დაკითხული ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრები მანან არჩვაძე, ცოტნე და გიორგი გამსახურდიები?

9. კოკო გამსახურდიას სატელევიზიო ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“ აღნიშნული იყო, რომ თითქოს როსტოვის ლაბორატორიის დასკვნაში ეწერა (კადრში ჩანს რუსული ტექსტი) რომ ტყვია, რომელმაც მოკლა ზვიად გამსახურდია ნასროლი იყო „50 სანტიმეტრის სიშორიდან“.

შეკითხვა:

* ნამდვილად წერია თუ არა როსტოვის ლაბორატორიის დასკვნაში (რომლის ტექსტიც, არც კოკო გამსახურდიას და არც თქვენს კომისიას არ გააჩნია) რომ ტყვია ზუსტად და სწორედ „50 სანტიმეტრის სიშორიდან“ იყო ნასროლი, თუ ეს კოკო გამსახურდიას ფალსიფიკატია?

10. გააჩნია თუ არა თქვენს კომისიას რაიმე უცილობელი და ობიექტურ ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებული (და არა მოწმეების ჩვენებებზე – რომელთაც, უკვე ფართოდ ცნობილია, თქვენი კომისია არ ენდობა) დოკუმენტი, რომელიც დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ზვიად გამსახურდია ნამდვილად მკვდარია?

11. გააჩნია თუ არა თქვენს კომისიას რაიმე უცილობელი და ობიეტურ ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებული (და არა მოწმეების ჩვენებებზე – რომელთაც უკვე ფართოდ ცნობილია თქვენი კომისია არ ენდობა) დოკუმენტი, რომელიც დამაჯერებლად ასაბუთებს თუ რა იყო ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზი?

12. კოკო გამსახურდიამ მას-მედიაში ფართოდ განაცხადა, რომ „ზვიად გამსახურდია სადისტურად დახვრიტეს 1993 წლის 29 დეკემბერს“.

შეკითხვა:

* რატომ ავრცელებს კოკო გამსახურდია სისტემატურად ამ და ამგვარ შეუმოწმებელ და მცდარ ინფორმაციას?

* შესაძლებელია თუ არა იმ ადამიანის მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელიც სისტემატურად ავრცელებს შეუმოწმებელ და მცდარ ინფორმაციას?

დასასრული მე-7 გვ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში triumpi წერს:

უმთავრესი კითხვა ესაა ჩემის აზრით:

„ცნობს ლეგიტიმურად თუ არა სამხედრო პუტჩის და შეიარაღებული გზით განდევნილ კანონიერ ხელისუფლებას დე-ფაქტო პრეზიდენტი და ხელისუფლება?“

და მეორე:

ვის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს თავს დე-ფაქტო ხელისუფლება და თუ არსებობს კანონიერი ხელისუფლების უფლებამოსილების შეწყვეტის კანონიერი აქტები?

ხალხური ენით კი ასე ვიტყვი:

პუტჩის მძიმე სამხედრო დანაშაულთან და მკვლელობებთან პასუხის მოუთხოვნელობა ნიშნავს თუ არა ალიანსს და მონაწილეობის გაგრძელებას პუტჩში დღესაც? თუ დამნაშავეთა დაუსჯელობით მფარველობა უფრო მძიმე დანაშაული არაა? – არის და ამ ვერდიქტის გამომტანი „თემიდა“ რომ დუმს... რა იარლიყს და პასუხისმგებლობას იმსახურებს?

ნაქურდალ-ნაოხარ-ნაყაჩაღარის და“მიცვალებულის“ ქონების გადმოცემა მანთავისუფლებს მოვალეობისაგან, რომ დავუბრუნო კანონიერ მფლობელ-მემკიდრეს მოთხოვნისას? – არა! და თუ უარს ვიტყვი – ვინ ვიქნები მე იურიდიულად?.. მორალსა და ზნეობაზე აღარაფერს ვიტყვი...

აქ არაა ლაპარაკი პიროვნებებზე – სახელმწიფოებრივ სამართალზეა და სამართალმემკვიდრეობაზე.

კონსტანტინე გამსახურდიას პასუხები ბესარიონ გუგუშვილის შეკითხვებზე

1. უპირველეს ყოვლისა, მინდა საზოგადოებას ვამცნო იმ ფაქტის შესახებ, რომ ფინეთიდან ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი კომისიის სახელზე გამოაგზავნა ძალიან საინტერესო შეკითხვები, რომელთაგანაც მინდა რამოდენიმეს ვუპასუხო. ბატონი გუგუშვილი კითხულობს, რა მასალები მოვიპოვეთ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის თეზისის სასარგებლოდ. თვითმკვლელობის თეზისს, რაც შეეხება, მის სასარგებლოდ მუშაობს მთელი სახელმწიფო მანქანა, როგორც 2004 წლამდე, ისე 2004-ის შემდგომ პერიოდში თავისი რესურსებით და შესაძლებლობებით, დაკითხულია ყველა მოწმე და ამოღებულია მტკიცებულებები, რომლითაც ცდილობენ თვითმკვლელობის ვერსიის დასაბუთებას და ლეგიტიმაციას. იმაზე მეტის გაკეთება ამ მიმართულებით, რასაც ამდენი ხანია ხელისუფლება ცდილობს, როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის, ჩვენს და ნებისმიერი სხვა ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. ამიტომაც უმჯობესია ბატონ გუგუშვილს ამ შეკითხვით ხელისუფლებისთვის მიემართა.

2. კანონიერი და არაკანონიერ ხელისუფლებაზე დავა უსარგებლოდ მიმაჩნია, საითკენაც ბატონ გუგუშვილს სურს წაგვიყვანოს თავისი კითხვებით. თავს ნურავინ მოვიტყუებთ, რომ რომელიმე ქვეყანა დედამიწის ზურგზე კანონიერად სცნობს ძველ უზენაეს საბჭოს, ხოლო სააკაშვილის ხელისუფლებას უკანონოდ განიხილავს. ასეა იმ ქვეყნის ხელისუფლებაც, რომელმაც თავშესაფარი მისცა ბესარიონ გეგუშვილს.

3. რაც შეეხება საერთაშორისო კომისიის მუშაობის ამსახველ ვიდეომასალას, რომელიც გუგუშვილის თქმით, თურმე გამოქვეყნებულია რამოდენიმეჯერ ელექტრონული მედიით - აღნიშნულის არსებობა ჩემთვის პირადად აქამდე უცნობი იყო, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ ისეთი, რის დასადგენადაც მუშაობს სწორედ კომისია. ამიტომ, უმორჩილესად ვთხოვ ბატონ ბესარიონს, როგორც პირადად ჩემი, ისე მთელი კომისიის სახელით, ითანამშრომლოს კომისიასთან და მოგვაწოდოს მის ხელთ არსებული ვიდეო-აუდიო მასალის ასლები. ამას ვამბობ მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გუგუშვილის მთელი რიტორიკა და პათოსი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს - გაამართლოს კომისიასთან საკუთარი ართანამშრომლობა.

4. რაც შეეხება პისტოლეტ «სტეჩკინს» და გასროლილ გილზას, რომლის წამღებადაც ბატონი ბესარიონ გუგუშვილი ასახელებს ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას და კომისიას მის დაკითხვას თხოვს, გასაგები მიზეზების გამო ქალბატონ მანანას დაკითხვა დღემდე არ მოხერხდა და ვთხოვთ ბატონ ბესარიონს, რომლის წინაშეც მისივე სიტყვებით, პირობა თუ ხელშეკრულება დაუდია ქალბატონ მანანას, რომ საქმის გამოძიება არასდროს არ მოხდებოდა, გვიშუამდგომლოს, გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და დაითანხმოს ქალბატონი მანანა კომისიასთან თანამშრომლობაზე. აღნიშნული იარაღი მოძიებული რომ არ ყოფილა ოფიციალური ხელისუფლების მიერ და კიდევ სხვა ბევრი მნიშვენლოვანი რამ არ გაკეთებულა, სწორედ ამიტომ ცდილობს კომისია ბურუსის გაფანტვას ამ საქმის ირგვლით. რაც შეეხება გასროლის დისტანციას, როსტოვის ექსპერტიზაში ნახსენებია «ახლო მანძილი», რაც გულისხმობს დაახლოებით 50 სანტიმეტრიდან მიბჯენამდე. სწორედ ასეა ეს ფაქტი გადმოცემული ფილმში «დინების საწინააღმდეგოდ» და არა ისე, როგორც ბატონი გუგუშვილი წარმოადგენს. აქვე ბატონი ბესარიონი ადასტურებს და ამბობს, რომ ტყვია და გილზა ჯონსონ კვარაცხელიასთან ინახებოდაო. მაშინ რა ვუყოთ მოწმეთა, იგივე დაცვის უფროსის და სხვათა ჩვენებებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ განასროლი ტყვია და მასრა ვერც ერთი ვერ იპოვეს შემთხვევის ადგილზე?! სწორედ ეს და არაერთი მრავალი წინააღმდეგობა იყო პრეზიდენტის თანმხლებ პირთა ჩვენებებში, რამაც გააჩინა ეჭვი მათ სიმართლეში და თვითმკვლელობის ვერსიის უსაფუძვლობაში.

5. რაც შეეხება ექიმ დავით ჯალაღონიას დაკითხვას, აღვნიშნავ, რომ მოწმეთა დაკითხვა ჯერ არ დამთავრებულა და ამ მიმართულებით დასკვნები ნაადრევია. თუმცა დავით ჯალაღონია ბესო გუგუშვილის თქმით მიიჩნევს, რომ გასროლა, რომლის შედეგადაც დაიღუპა პრეზიდენტი, მთლად მიბჯენით არ არის განხორციელებული. ესეც თავისთავად დამაფიქრებელი გარემოებაა და სწორედაც რომ ეწინააღმდეგება თვითმკვლელობის თეზისს. ასევე ჩვენთვის უცნობია ბატონ გუგუშვილის მიერ ნახსენები ჩეჩენი ექსპერტის დასკვნა, რომელიც ვითომდაც ამტკიცებს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობას. მეტად უცნაურია, რომ ასეთი დასკვნა გუგუშვილს, არც ერთ, მათ შორის არც ტელეიმედისთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში უხსენებია 2004 წელს. პირიქით კი გვახსოვს, თუ როგორ ჩიოდა გუგუშვილი ექსპერტიზის არარსებობაზე თავის ინტერვიუში და ადანაშაულებდა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას. ამიტომაც კეთილი ინებოს და გადმოგვიგზავნოს ეს დასკვნა, თუკი ის საერთოდ არსებობს.

6. აუცილებლად მინდა განვაცხადო ერთ ფაქტზე: ზვიად გამსახურდიას პარლამენტის წევრსა და ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ გივი თაქთაქიშვილს, რომელიც ამჟამად ჰოლანდიაში მოღვაწეობს და ჩვენს შორის რამოდენიმე დღის წინ შედგა საუბარი, რომლის შინაარსის ერთ ნაწილსაც მე ბატონ გივის ნებართვით და დასტურით გავახმოვანებ: ბატონ გივის და მის კოლეგებს მიუთითებიათ ქ. გროზნოში 1994 წლის თებერვალში იმ წინააღმდეგობებზე, რომელიც აშკარად შეიმჩნეოდა გუგუშვილის და დაცვის 2 წევრის მონაყოლში, რაზეც ბატონ ბესარიონს უპასუხია - «რა მოხდა მერე, დავჯდებით მე, რობინზონი და ბაჩუკი, შევაჯერებთ და ყველა წინააღმდეგობას მოვხსნითო». ბატონი გივი სვამს შეკითხვას, რას ნიშნავს ეს, თვალებში მტვრის შეყრას თუ გონების დაბნელებას? მაგრამ, როგორც ჩვენ ვხედავთ ეს წინააღმდეგობები დღემდე არ არის მოხსნილი და ამის დასტურია პროკურატურის საგამოძიებო მასალები აღნიშნულ საქმეზე.

7. რაც შეეხება შეკითხვას, ვფლობთ თუ არა ჩვენ დოკუმენტს, რომელიც დამაჯერებლად ასახავს ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზებს, მოკლედ ვუპასუხებ - დიახ, უკვე ვფლობ. ესაა როსტოვის სასამართლო/სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დიდი წვალებისა და უამრავი ბარიერის გადალახვის შედეგად მივიღეთ. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ დნმ-ის ანალიზით ცხედარი ნამდვილად ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის და ამ ცხედარს დაზიანებული აქვს 9 ნეკნი, ბოქვენის ძვალი, აგრეთვე შეიმჩნევა დაზიანებები თავის ქალაზე, შემავალი და გამომავალი ხვრელოვანი მოტეხილობები, მათ შორის ტყვიის გამავალი არხით და სხვა დაზიანებები.

8. ბატონი გუგუშვილი მოითხოვს ჩემგან დავდოთ რაიმე მტკიცებულება მოწმეთა ჩვენების გარდა, რომ პრეზიდენტი მოკლულია. რადგან საკითხი ასე დადგა, ჩვენ ვთხოვთ ბატონ ბესარიონს, გარდა მოწმეთა ჩვენებისა, წარმოადგინოს რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაამტკიცებდა მისი და დაცვის 2 წევრის ყოფნას პრეზიდენტთან ერთად ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან წამოსვლის შემდეგ პრეზიდენტის გარდაცვალების ადგილას, ღურწკაიების სახლში, სოფელ ძველ ხიბულაში.

9. რამდენადაც ბატონი ბესარიონ გუგუშვილი ახდენს რამოდენიმე ციტირებას ვიკიპედიიდან ანუ ინტერნეტის ენციკლოპედიიდან ზვიად გამსახურდიას ე. წ. წერილზე, რომელიც ვითომდაც თვითმკვლელობის წინ დაუწერია და თითქოს ის ამ ქმედებას ასრულებს სრულ გონებაზე მყოფი, მმართველი რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად, ისმის კითხვა: რატომ დუმდა აქამდე ამ წერილის არსებობის შესახებ თავად და იგივე დაცვის 2 წევრი, თუკი ეს სიმართლეს შეესაბამება?! და მეორეც, რატომ არასოდეს არ ხსენებულა ასეთი წერილის არსებობის შესახებ 2009 წლის ნოემბრამდე, ანუ კომისიის შექმნის თარიღამდე?! დასკვნას ნებისმიერი ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი გამოიტანს. ჩვენ სრულ უფლებას ვიტოვებთ არ განვიხილოთ აუთენტურად მსგავსი წერილი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს «წერილი» ჯერ ქართულ საიტებზე გაჩნდა და მხოლოდ მის შემდეგ - ვიკიპედიაში. სხვათა შორის იქვე მითითებულია, რომ ეს წერილი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1994 წელს გამოაქვეყნა. კომისიის წარმომადგენელი ესაუბრა იჩქერიის რესპუბლიკის წარმომადგენელს ერვოპაში ბატონ ახმედ ზაკაევს, რომელმაც კატეგორიულად უარყო ასეთი წერილის არსებობის და მით უფრო გამოქვეყნების ფაქტი.

აქვე მინდა ცალსახად განვაცხადო, რომ კატეგორიულად არ ვეთანხმები მასმედიაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მოწინააღმდეგე მხარეები ვართ ჩვენ, კომისია და ის პირები, ვინც დღემდე მისცა ჩვენებები ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობაზე. მოწინააღმდეგე მხარედ მე მივიჩნევ იმ უკანონო და ძალადობის გზით მოსულ რეჟიმს, რასაც ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი ჰქვია. ეს რეჟიმი მთელი თავისი რესურსებით და ძალოვნებით ახორციელებდა ზვიად გამსახურდიას დევნას 1993 წლის შემოდგომაზე. გამორიცხულია, ზვიად გამსახურდიას დევნა მომხდარიყო ედუარდ შევარდნაძის ბრძანების გარეშე, რასაც ადასტურებენ სწორედ შევარდნაძის რეჟიმის ძალოვანი მაღალჩინოსნები. ხშირად მეკითხებიან, რატომ გჯერათ ამ ადამიანების, რომლებიც შეიძლება პოლიტიკურად დაინტერესებულნი იყვნენ? იმიტომ, რომ მე არ მომისმენია ამის საწინააღმდეგო ჩვენება, გარდა თავად ედუარდ შევარდნაძის მტკიცებისა, რომ მან არაფერი იცოდა. მასთან, ზემოთაღნიშნული ჩვენებები თანხვდება ფაქტობრივ გარემოებებს და დასტურდება იმ ქმედებებით, რაც ხორციელდებოდა ზვიად გამსახურდიას მიმართ დევნილობაში ყოფნისას. აქვე საინტერესოა ე. შევარდნაძის 2 უცნაური ციტატა, რომელთა ნახვაც შეიძლება გაზეთ «ასავალ-დასავალში»: «ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის შესახებ გვიან გავიგე» (2010 წლის 1-7 თებერვალი) «ზვიადის მკვლელობის მოწმე მხოლოდ 2 ადამიანია: გუგუშვილი და მარგველიანი» (2010 წლის 15-21 თებერვალი) ამას კი, ქართულ ენაში წამოცდენა ჰქვია.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

შოშიებმა ქალაქი მიატოვეს

ჯემალ მჭედლიშვილი

ნ ო ვ ე ლ ა

- თემოს გაუმარჯოს, თემოს! - შორიდანვე შემომძახა ნუგზარმა, როგორც კი ყოფილ «ლაღიძის წყლებს» მივუახლოვდი.

- შენ შემოგევლე, ბიჭო, საიდან გაჩნდი, საუკუნეა შენთვის ქალაქში თვალი, არ მომიკრავს...

- შენსავით დედაქალაქში კი არ დავბადებულვარ, ძამა, თვალში მაზოლი, რომ ამოგიყვანო! არც გადამყიდველადა ვარ დაბადებული, ბაზრობებზე საგდებად ქალაქში რომ გადმოვსულიყავ, თუმც სხვაზე ნაკლებ, არც მე მაქვს მოჭერილი მუცელზე ქამარი! - წაუგურულა და გადამეხვია ჩვენებურად, მთელი გრძნობით გადამკოცნა. არც მე დავრჩენილვარ ვალში - ოზურგეთელი ნუგზარი ხომ მთელი კლასის საყვარელი ბიჭი იყო, ყრმობის დროს ბიძის მიერ ქალაქში სასწავლებლად გადმოყვანილი, კოხტა, მოცეკვავესავით წერწეტა, უხვსიტყვიანი, ცოტა ფიცხი, ფხუკიანი, მაგრამ სამართლიანი, უაღრესად კეთილი, ბოროტად თუ არ გაუთამამდებოდი და დაჩაგვრას არ მოუნდომებდი, გადაგყვებოდა, შენი გულისთვის ტყვიას შეუშვერდა მკერდს! ამიტომ გვიყვარდა კლასში ყველას, მეგობრობის იდეალად მიგვაჩნდა და ასეთიც იყო.

მიუხედავად ასაკისა, მთლად არ გამოცვლილა: თმა შევერცხლისფერებოდა და მცირეოდენ ნაოჭს შუბლი დაეღარა, ეს იყო და ეს - ისევ ისეთი ნუგზარი იყო, როგორიც სტუდენტობის დროს... დამავიწყდა მეთქვა, სკოლის დამთავრების შემდეგ ის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა, მე უნივერსიტეტის, მაგრამ მაინც არ გაყრილა ჩვენი გზები, კვირაში ორი-სამი დღე ერთად ვიყავით და ასე გრძელდებოდა ჩვენი მეგობრობა.

- რას დაგიღია შოშიასავით პირი, შე აბდალა, შევიდეთ სადმე «პივბარში», რესტორნის ფული, ორივე ერთად რომ გავიყიდოთ, მაინც ვერ შეგვიგროვდება, წავიდა ძამა ძველი დრო, სტიპენდიებით სამი-ოთხი დღე რომ ვქეიფობდით: ცოტა მოვიქაფოთ პირი კათხა ლუდთან. რამდენი ათეული წელია ერთმანეთი არ გვინახავს! ხუმრობითვე დაამთავრა და მკლავში გამიყარა ხელი.

- «პივბარს» სადღა ნახავ აქ, გადაირიე! რუსთაველიც და მთელი ქალაქიც, გენაცვალოს ჩემი თავი, სუბანკებით, აფთიაქებით და სუპერმარკეტებით გაავსეს, ამ ჩემი ცოდვით სავსეებმა... ბიჭო, წიგნის პირველ მაღაზიას, «საუნჯეს» რომ გაუყიდი მკითხველს და ჩვენს კოლორიტულ, საამაყო «ლაღიძის წყლებს», «პივბარს» დაგიტოვებენ?! - ვუპასუხე და თანაც, რაკი მწერალთა კავშირში მივიჩქაროდი, რომლის დიდებული შენობაც, დავით სარაჯიშვილის ნაგები და ხოშტარიას მიერ ქართველი მწერლებისთვის ნაანდერძევი, ასევე უკვე აღარ გვქონდა, მასაც ალბათ გასაყიდად ამზადებდნენ, სამადლოდ, სახალხო დამცველის ორიოდე ბუდრუგუნა ოთახში ვიყავით შეკედლებული, იქაც თითო საათით ძლივს ვიკრიბებოდით, ვთხოვე საღამოსთვის გადაგვედო «პივბარში» ბაასი.

- თუმცა, რაღა «პივბარი» აგვიტყდა, სახლი არა მაქვს თუ?! პატარა ვახშამს მოვამზადებ, ლუდსაც ამოვიტან, კარგი ჭაჭის არაყიც მაქვს და ლალის გადანახული სამლიტრამდე ღვინოც. ჩვენები ქუთაისში წავიდნენ, სიმამრთან, სახლში მარტო ვარ, შევუბეროთ და შევუბეროთ! - შევთავაზე გულმხურვალედ.

- ვნახოთ, ძამა, ვნახოთ! მე მგონი ამჯერად არაფერი გამოგვივა... ამ საღამოს მაინც ვერაფრით შევძლებ, დილას ჩამოვედი და ბიცოლას მეტი არავინ დამხვედრია სახლში, ბიძია, ბიძაშვილები ჯერ კიდევ სანახავი მყავს! ხვალ კი ალბათ უკან გავბრუნდები, სულ ორი დღით ვარ ჩამოსული! შემდეგისთვის გადავდოთ!

- ლიხაური, ბიჭო, საქვეყნოდ ცნობილი სოფელია, მაგრამ მაინც არსად გაგექცევა! შენზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი, ლიხაურელია! - კბილი გავკარ ხუმრობით.

- უკვე იკბინები, ხომ! შენ იმასხრე და ლიხაურში დღესაც ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანი ცხოვრობს, შენზე არანაკლებ ტვინიანი! ბატონ ექვთიმესგან განსხვავებით, ნაკლებად განათლებული, მაგრამ ჭკუით ისეთივე გახსნილი, როგორიც თაყაიშვილი იყო!

- მაგით რა გინდა თქვა, ვერ მივმხვდარვარ!

- აი, ხომ ხედავ! ვერც მიხვდები! - მომიგო ნიშნისმოგებით. - ამასწინათ ერთი მათგანი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გლეხ-კაცი მეკითხება: ვიცი, ბიძია, ჭკვიანი და განათლებული ბიჭი ხარ, მაგრამ ერთ კითხვაზე თუ მიპასუხებო. ბრძანეთ-მეთქი. აბა, რა განსხვავებაა ჩვენს ნაცებსა და გერმანელ-ფაშისტ ნაცებს შორისო. ცოტა არ იყოს, დავიბენი, რა უნდა მეპასუხა, როცა ვერაფერს მივხვდი. მერე გულუბრყვილოდ ვიხუმრე: იმათ ნაციონალ-სოციალისტები ერქვათ, ამათ კი ნაციონალური მოძრაობა, ანუ ნაციონალები-მეთქი, გულიანად გაიცინა: ვერ გამოიცან - გერმანელი ნაცები, ბიძიკო, თავისი ქვეყნის კეთიდღეობისთვის იბრძოდნენ, გერმანელი ერის მსოფლიოში გასაბატონებლად! ესენი კი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იბრძვიან: ქვეყანას ანგრევენ და აქუცმაცებენ, ენას რყვნიან, ჩვენს სიმდიდრეს უცხოელებს სთავაზობენ და ამას პრივატიზაციას ეძახიან, თანაც გროშების ფასად; გააღატაკეს და დაამჩვარეს ერი! ქართველი მათხოვარი გენახა აქამდე? ახლა ყოველ ნაბიჯზე ზის სიამაყედაკარგული! თავიანთი უცხოელი პატრონებისგან საქართველოს წაშლა აქვთ დავალებული მსოფლიო რუქიდან, როგორც უძველესი, ყველასგან განსხვავებული სახელმწიფოსი - თავისი გმირული ისტორიით, ყველასგან განსხვავებული დამწერლობით, ულამაზესი ენით, შეუდარებელი კულტურით, განუმეორებელი ტრადიციებით, ამას მოითხოვენ მათგან გლობალისტები - ან შეუსრულებენ სურვილს, ან ყოველგვარ სიკეთეს დაკარგავენ თავიანთ სავარძლებთან ერთად...

- დიდება შენდა, ღმერთო! რა საოცრებაა, რომ თვით გაუნათლებელ ადამიანებში არსებობენ ასეთი ღრმად მოაზროვნე, ბრძენი ადამიანები, თანაც ისეთ ქვეყანაში, სადაც დღეს წიგნს თითქმის აღარავინ კითხულობს! აი, სწორედ ასეთი მამულიშვილები აკლია ჩვენს ეგრეთწოდებულ პოზიციასაც და ოპოზიციასაც - ქვეყნის მომავალზე ზრუნვა ხომ სწორედ მათ აქვთ ატაცებული ხალხის თვალში, სხვას ვის რას ეკითხებიან! პოზიციის პოზიცია ისედაც დიდი ხანია ცნობილია ბრმისთვისაც და ყრუსთვისაც კი! ჭეშმარიტ მამულიშვილთა მცირე ჯგუფის გამოკლებით, ოპოზიციური პარტიებიც, რომელთა ლიდერების უმეტესობამ ერთხელ უკვე დაჭაშნიკა მაღალი თანამდებობების გემო, კვლავ თბილი სავარძლებისა და პორტფელების ძიებაში არიან!

- მართალი ხარ, ძამა, ასი პროცენტით მართალი! პიროვნებებს, რომლებმაც ერთხელ ვერ გაამართლეს ხალხის ნდობა, პასპორტებიდან ამოგგვლიჯეს ჩვენი საამაყო ეროვნება და უეროვნო ამერიკანიზაციის მოდელის ექსპერიმენტი მოისურვეს საქართველოში; რომელთაც ფილიპია მახარაძის დარად ილია ჭავჭავაძის, ბუმბერაზი პოეტის და მწერლის, ერის მამის სიდიადის იგნორირებით მოაქვთ თავი, რომლებიც «თელასის» შეფებთან და სხვა წურბელებთან ერთად წლების მაძილზე გაღატაკებული თავისი ერის ძარცვაში მონაწილეობდნენ და სულმნათ ზვიად გამსახურდიას ახალფეხადგმულ, ერთადერთი ეროვნული ხელისუფლების დამხობაში აქტიურობდნენ, ერის სათავეში მოსვლის პრეტენზია როგორ უნდა ჰქონდეთ!

- გენაცვალე გამჭრიახობაში! შაბლონად იქცა ეს სიტყვა, ჩემო ნუგზარ, მაგრამ უკეთესს ვერ ინატრებ - ხალხი ნამდვილად ბრძენია! მას, არც მამულიშვილთა თავდადება ავიწყდება და არც რენეგატ-ტახტისმაძიებელთა ცოდვიანი წარსული! ხალხისთვის გამოუსადეგარი და უბედურების მომტანი ხელმძღვანელობა რომ შეცვალო, მკვეთრად უნდა განსხვავდებოდე მათგან, ერთნაირი წარსული არ უნდა გაკავშირებდეს ამ ხალხთან, კრისტალურად გამჭვირვალე უნდა იყო! თუ ბუნება შეიცვალე, თუ ჭეშმარიტად დაგაფიქრა ქვეყნის მდგომარეობამ, თუ დღეს მაინც ნამდვილად გაღელვებს შენი ერის დამღუპველი მომავალი, კი, ბატონო, მიიღე აქტიური მონაწილეობა განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რითაც შენს ცოდვებსაც გამოისყიდი, სახელისუფლებო თანამდებობებზე კი, დიახაც, ნუ განაცხადებ პრეტენზიას! აი, მაშინ დაფასდებიან ეგ ცოდვილები და შესაძლოა გულწრფელობის ფასად ამის შემდეგ შეუნდონ უფალმა და თანამოძმეებმა ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული!

- ღმერთო, შენ გადაარჩინე ჩემი ერი და მამული! - პირჯვარი გადაისახა ნუგზარმა. - ნუთუ ამ ოპოზიციიდან და ათეულობით პარტიიდან, დედამიწის ზურგზე ყველა პარტია რომ გააერთიანო, მაინც რომ ვერ გამოვა მაგდენი ერთად აღებულიც კი, ვერავინ ამჩნევს როგორ შემოგვისიეს ჩინელები, ეს ყვითელი ჭირი, რომელიც დღემდე უშველებელ ტერიტორიაზე გაშლილ რუსეთსაც კი ზარავს და ვერაფერს უხერხებს! ბრძოლა არსებობისათვისო, ხომ გაგიგია, და ამ ბრძოლას მგლური კანონი აქვს; ვინც თავისას გაიტანს, ის გაიმარჯვებს! ჰოდა, შედიან ყველგან უჩუმრად, სადაც შეესვლებათ და აკეთებენ თავიანთ ბიოლოგიურ საქმეს, საკუთარ ქვეყანაში რომ აკრძალული აქვთ! ათიოდ წელიწადში ისე გადაგვყლაპავენ, ჩვენთან ადრე დამკვიდრებული ყველა ეროვნული უმცირესობა და დღეს შემოსული «ხიზნები», რომ არაბები და თურქები, ზანგები და შუაზიელები სანატრელი გაგვიხდება! ახლა ათასობით ოჯახი ბოშაც ჩამოუსახლებიათ სერბეთიდან, თითქოს მანამდე აქ მცხოვრებნი არ გვეყოფოდა. არც ესენი მრავლდებიან ჩინელებზე ნაკლებ - 12 წლის გოგონები უკვე საკუთარ შვილებაკიდებულნი დაძრწიან საქურდავად და სამათხოვროდ! «დაეხმარე» და გაუზარდე ფეხებზემკიდაობით გაკეთებული ლეკვები, ქართველო! ხედავს ამას ვინმე?! ერთ ოპოზიციონერს კი წამოსაცდენია ამაზე სიტყვა.

- გლობალიზაციის აჩრდილი დაძრწის ქართულ მიწაზე, ძამიკო! რატომ დაინახავენ ერის გადაგვარებისათვის ქურდულად განხორციელებულ ღონისძიებებს! ყველა, ვინც ამ მოჯადოებულ წრეშია გაბმული, ცოლით, შვილებით თუ შვილიშვილებით, უცხოური ფირმა ავტომობილებით დაგრიალებენ, ზვიად გამსახურდიას მიერ უცხოელი სტუმრის მისაღებად შეძენილი ორი ნახმარი «მერსედესი» კი ყოველწუთიერ სალანძღავად ჰქონდათ ყელში გაჩხერილი! ვერც ჩინურ მაღაზიათა რიგებს ხედავენ, ვერც ცენტრალური გამზირების ტროტუარებზე ფიანდაზად გაშლილ ფარდაგებზე გაწყობილ ჩინურ უხარისხო წვრილმან საქონელს, თავზე მწყემსებივით წვრილთვალება გოგო-ბიჭები რომ დასტრიალებენ და ჩვენს გაჭირვებულ მოქალაქეებს ჰიპნოზიორებივით, ანდამატივით რომ იზიდავენ. ერთხელ ერთ აყლაყუდა ქართველს ვკითხე: მაგ გადასაყრელ საქონელს რომ უსაღებ, მერე ეგ აქედან უკან დამბრუნებელია-მეთქი? იცი, რა მიპასუხა?

- თქვენ გამოიტანეთ საქონელი და თქვენგან ვიყიდით - აბა, სუპერ-მარკეტების ფული მე ვინ მომაშავაო!

- შენ როგორ ფიქრობ, თემო, მართალია, თითქოს სომხეთის კათალიკოსს დაეწყევლოს ყველა სომეხი, ვინც ჩინელებისგან რამეს იყიდდა? შეშინებიათო ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს მღვდელმთავრის წყევლის და გაკოტრებამდე მისულ ჩინელებს, ბარგი-ბარხანა ჩალაგებულებს, საქართველოსთვის მოუშურებიათ აქ მყოფი თანამემამულეების «რეკომენდაციით». აქ კი ადრე მოსულებსაც და სომხეთიდან ჩამოსულებსაც კარგად მოუკიდიათ ფეხი...

- სისწორის რა მოგახსენო, მეც შენსავით მოვკარი ყური მაგ ჩემთვის, არც თუ გასაოცარ ინფორმაციას, მაგრამ არც გამიკვირდება სომხების მხრიდან ასეთი «ბეზპარდონნი» რევერანსი! ასეთივე გულცივობის წყალობით ხომ მათ ქვეყანაში რუსის მეტმა ვერავინ იხარა... ეს უკანასკნელიც მანამდე იქნება იქ, სანამ მასპინძლებს სჭირდებათ! სხვა ყველა არასომეხი დიდი ხანია გასახლდა სომხეთიდან. აი, ამიტომ ამაყობენ ჰაოსის ძენი თავიანთი მართლაც ეროვნული სახელმწიფოთი... რა გადააგვარებთ მათ საკუთარ სამშობლოში!

- არა, ბიჭო, საქართველოსთანა ინტერნაციონალურ ინკუბატორ-სასელექციო ლაბორატორიას მოგიწყობენ! ჩინური ინვესტიცია მოვიზიდეთო! არც მათ ინვესტორებს მოაქვთ თავი დელიკატურად, საქართველოს უნიკალური ჯიშის მცენარეებით გაშენებული ტყეები ციმბირის ტაიგა ჰგონიათ და ანადგურებენ, დაუზოგავად! აბა, ჰკითხე ერთი წალენჯიხა-ჯვარში მცხოვრებ მეგრელებს!

- მთლად ცხელ-ცხელი ამბავი გითხრა: 235 ცულის ტარად გარჭობილ ჩვენს თანამემამულე «ინტელიგენტს» უბილწესი წერილი მიუწერია უწმინდესი და უნეტარესისთვის, ხოლო პრეზიდენტისთვის ულტიმატუმი წამოუყენებია მეორე წერილით: მართლმადიდებლობას რო ეხმარები ფინანსურად, კეთილი ინებე და გაუთანაბრე მათ ყველა სხვა რელიგიური გაერთიანებები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობს ან ახლა მკვიდრდება, მათ შორის მუსულმანები, სომხური ეკლესია, იეღოვას მოწმეები და ასე შემდეგო... გაგვიგონია, მართლმადიდებელ წინაპართა შთამომავალ ქართველთა ასეთი გათავხედების

გაგრძელება მე-9 გვ.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

ნოდარ ჯალაღონიას ლექსები

«წუთისოფლის სტუმრები ვართ»

«წუთისოფლის სტუმრები ვართ» - ასე უთქვამთ
ჩვენში ადრე,
მაგრამ ყველა მოსულ ქართველს თავის ქვეყნის
ვალი ადევს.

სტუმრად მოსვლა ვინც ისურვა ვეღარ შერჩა
ქართულ მიწას,
ვერ იგუა საქართველომ და მასპინძლად ვეღარ
იქცა.

სამშობლო კი, აცოცხლა და ადიდგულა ქართულ
სულმა,
ვინც ნამდვილი ქართველია, არ მოსულა ჩვენში
სტუმრად.

ვინც ბოლომდე უერთგულა ქართულ ცას და
ქართულ მიწას,
ის ცოტნე და ის თევდორე საქართველოს დღესაც
იცავს.

სამშობლოსთვის იცოცხლა და არაც არასდროს
არ მოკვდება
ის ქეთევან დედოფალი, მართლაც, ჩვენი
ქართველის დედა.

ის დავითიც, ის თამარიც, დიდი შოთა რუსთაველი,
ის ცხრა ხერხეულიძე და ის სამასი არაგველი.

ვინც დიდგორის, ბასიანის და კრწანისის
მიწად იქცა,
ყველა ისევ აქ არის და ისევ საქართველოს იცავს.

რა სტუმარი, რის სტუმარი, რას მიქვია სტუმრად
მოსვლა,
საქართველოს მატიანეს ისევ მათი მადლი
მოსავს.

მკვდარია თუ ცოცხალია, თავის ცის და მიწის
მცველი
ყველა არის საქართველოს პატრონი და
მასპინძელი.

თუ მამულს არ ვუპატრონეთ

ნუღარ ვიქნებით მარტოდენ,
სხვათა ცქერით და იმედით,
სამშობლოს ვერვინ უშველის,
ჩვენ თვითონ თუ გავიმეტეთ.

უნდა, წუხილს და გოდებას
და წუწუნს გადავეჩვიოთ,
ქართველებს გულის გატეხვას,
თავის გატეხვა გვერჩიოს.

თუ მოუმრავლდა ქვეყანას
ორგულები და ლაჩრები,
თუ მამულს ვერ ვუპატრონეთ,
უპატრონოდ ჩვენ დავრჩებით.

ვეღარ გვიშველის მარტოდენ,
ოხვრა და წივილ-კივილი,
თუ არ ვიცოცხლეთ სამშობლოს
წუხილითა და ტკივილით.

თუ დავივიწყეთ მარაბდა,
«ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს»
ავტორი,
თუ წინაპართა სახელებს,
საფლავებს
ვერ ვეპატრონეთ,

«ქართლის ცხოვრების»
ფურცლები
თუ დაგვრჩა გადაუშლელი,
სამშობლოს ვერვინ უშველის
ჩვენ თვითონ თუ არ ვუშველეთ.

დღესაც, ხომ მიწა დიდგორის
გვასულდგმულებს და გვახელებს
და უნდა მივყვეთ, მივსდიოთ
დიდ წინაპართა სახელებს.

ქართველი ქალი ქვეყნისთვის ხან ხმალი იყო ხან ფარი

როს მტერი მოგვადგებოდა
ბოღმით, მახვილით, ლახვარით,
ქართველი ქალი ქვეყნისთვის
ხან ფარი იყო, ხან ხმალი.

თავისი ქვეყნის ჭირ-ვარამს
ვერა, ვერ ეგუებოდა,
ხელში იღებდა იარაღს
და წავკისელი ხდებოდა.
თან «იავნანას» მღეროდა
და სამშობლოსთვის კვდებოდა.

გაგრძელება მე-10 გვ.

დასაწყისი გვ. 8

და გადაგვარების დონე?! ისტორიულ-ეროვნულ სარწმუნოებას უთანაბრებენ, ეს მართლა ბეცი «დემოკრატები» იმ სექტებსა და სარწმუნოებებს, რომლებიც მას ებრძვიან და მისი ავტორიტეტის შელახვის ცდაში არიან ყოველ წუთს... იმ სახელმწიფო სარწმუნოების, რომელმაც გადაგვარება-გადაშენებას გადაარჩინა ჩვენი ერი! მამულიშვილებს კი, ვინც გლობალიზაციის დამღუპველ მიზნებს ახმაურებს, შოვინისტებს უწოდებენ! ამას აკეთებენ იმისათვის, რომ სულგაყიდულებს არ შემოაკლდეთ უცხოელ პატრონთა გრანტები და შემოენახათ მათ მიერ გამაგრებული თბილი სავარძლები და პორტფელები, რომელიც ერთდროულად მათი ქონების დამგროვებელიცაა!

- დავანებოთ ამ პოლიტიკას თავი, ვიდრე გული არ გაგვსკდომია, ჩვენ ხომ უპატრონო, ობოლი ერი ვართ, არც აქ და არც ქვეყნის გარეთ არავის შესტკივა გული ჩვენს აწმყოსა და მომავალზე, თვით ჟორდანიას დროინდელ ემიგრანტთა შთამომავალთაც კი! ბაგრატიონთა მემკვიდრეები კი, უცხო ქვეყნების მანდილოსანთა ნაშიერები, ერთმანეთს ეცილებიან სამეფო ტახტს, თუკი ოდესმე ეს მათმა ყოფილმა მამულმა ისურვა, თუმცა არც ერთ მათგანს არა აქვს ის მამულიშვილური ტკივილი, დავით აღმაშენებელსა და პატარა კახს რომ უღრღნიდათ გულს! ოცდამეერთე საუკუნეში ხომ, ვისაც როგორ უნდა, ისე გვათამაშებს კატის მიერ დაჭერილ-დაჰიპნოზირებული თაგვივით! ჩვენი აღშფოთებით მაინც ვერაფერს გამოვასწორებთ, თუ «ამბოხებულმა» ოპოზიციამ, სამასიათასიანი მხარდამჭერი რომ დასდევდა ფეხდაფეხ, ვერა თუ არ გამოასწორა, ჩვენ რის გამომსწორებელი ვართ! სამასი ათასი მეომარი, გაიხსენე, არც ერთ მტარვალს არ ჰყოლია ათეულ ათასობით საუკუნოვან ბრძოლებში საქართველოსთან, ქვეყანას კი მაინც იპყრობდა!

- კარგი, მაგრამ ის მაინც მითხარი, რა გჭირს ისეთი, ორიოდე დღე რომ არ შეგიძლია დარჩე, თბილისი ხომ შენი სიჭაბუკის უსაყვარლესი ქალაქია! არა მგონია, არ მოგნატრებოდეს ამდენი ხნით გურიაში გადაკარგულს!

- მონატრება, ძამა, ყველაზე დიდი და სათუთი გრძნობაა, როგორ არა მაქვს ნოსტალგია,. როგორც შენა თქვი, ჩემი სიჭაბუკის უსაყვარლესი დედაქალაქი-სადმი, მე ხომ აქ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე და უკლებლივ შევისისხლხორცე ყველაფერი, რაც შენ გაკავშირებს მასთან! მაგრამ საქმე დროულ დაბრუნებას მოითხოვს! დრო ბურჟუებისთვის ფულია, ჩემთვის კი მოსწრების ტოლფასი! დავბერდით, საქმე ცოტა გავაკეთეთ, ის კი, რაც შეიძლება მეტის გაკეთებას მოითხოვს ჩვენგან! შენ კიდევ არაერთი წიგნი გაქვს გამოსაცემი, მე კი ჩემი მოლბერტი, პალიტრა, დაგრუნტული ტილოები, ფუნჯები და საღებავებიანი «ტიუბიკები» მელიან სოფელში. ჩამოდი ჩემთან რამოდენიმე დღით მაინც, პროვინცია - სილაღეა, იქ არ დაიკარგები, როგორც ქალაქში, - სიწყნარე, ბუნება, ყოველგვარ ხელოვნურად შექმნილ დინამიკასთან დაპირისპირებული, უფლის მიერ დაწესებული მოძრაობა-უძრაობით, თითქოს დროის მსვლელობითაც ქალაქთან გაუწონასწორებადი. დრო იქ უფრო ნელა და მშვიდად გადის, აუჩქარებელი ტემპით. სოფლის იდილია მეორე სიცოცხლის მომნიჭებელია: ხავერდოვანი ტყეებით თუ ფუტკარმისეული მინდვრის ყვავილებით ახალიჩებული ველებით, ჯანსაღი ჰაერით, ჩასუნთქვის დროს ფილტვებს რომ გტკენს, ფრინველებით თუ ცხოველებით, მამლის ყივილით და ძროხის ბღავილით გათენებული ცისკრით, ცხენის ჭიხვინით და თიკნის კიკინით, ისეთი გულითადი და მართალი ადამიანებით, მე რომ გამოცდა მომიწყო არა გულღრძოდ, როგორც უსწავლელმა ნასწავლს, გამარჯვებულის პათოსით, არამედ ბრძნული, ცხოვრების მიერ ნაბოძები გამოცდილების თავმდაბლური გააზრებით, სიღატაკისა და გაუტანლობის საუკუნემ მუხლზე რომ ვერ დააჩოქა მისი სული და იუმორი! იქ ყველაფერი ჯერ კიდევ ხელმიუკარებელია და წაურყვნელი მოძალადე თანამედროვე საქმოსნებისგან, იქ ჯერ ინვესტორის ბინძური ფეხი არ დადგმულა უმანკო თოთო ბალახზე, რომელიც ფულის ფასად ხალხის სიმდიდრეს ითვისებს და ანადგურებს... ამიტომ გამომდის იქ ნამუშევრებიც ბუნებრივი, ყოველნაირი გავლენა-ზეწოლისაგან შეუბილწავი, ისეთი, როგორიც უნდა იყოს! აი, შევიძენ ორიოდე ნახატის გაყიდვის შემდეგ დანაზოგი თანხით საღებავებს და გავუდგები გზას... ჩამოდი ერთხელ, ძამა, არ ინანებ, ჩამოდი ჩემთან სოფელში და დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეში! თანაც, ერთ კვირაში ისეთ წიგნს დაწერ, არასდროს რომ არ დაგსიზმრებია! თუ გოჭსა და ინდაურს ვერ დაგიკლავ, სად არის მათი შენახვის საშუალება, თორემ კი, არ დამემდურები, შიმშილით კი არ დავიხოცებით, ვჭამოთ ის, რაც გვექნება! - გაიღიმა თავისი კეთილი ღიმილით, ესოდენ რომ უხდებოდა, როგორც ყველა კეთილსა და მართალ კაცს და მკერდში ჩამეხუტა.

თვალები ამიცრემლა მეგობრის გულწრფელმა მოწოლოგმა...

ქალაქის მთავარი ძარღვი, ყოველთვის სისხლსავსე რუსთაველის გამზირი სოფლის შარასავით დაცარიელებულიყო, კანტი-კუნტად მიმოდიოდნენ გამვლელები, არავინ გვამჩნევდა, არავის აინტერესებდა ჩვენი გულდაკოდილი საუბარი, რომელიც ზოგჯერ ისეთ ექსტაზში გადადიოდა, ეთიკასაც რომ გვავიწყდება და ქუჩაში მიღებულ ტონზე ზემაღლად ჟღერდა, მაგრამ არავინ გვამჩნევდა, მოგახსენეთ, არავის აინტერესებდა ჩვენი არსებობაც კი, ყველას თავისი დარდი ახრჩობდა და გაუსაძლისობით გულჩათხრობილი მიაბიჯებდა თავდახრილი, გამოსავალი რომ ვერ მოეძებნა ახალი ცხოვრების მიერ ჩაწიხლულს და თავისი უკულმართი ბედის მიერ გამოუვალ კუთხეში მიმწყვდეულს...

გამზირის დასაწყისიდან ჩვენამდე აღწევდა ყრუ გუგნი, იქ, პარლამენტის შენობის წინ მდებარე მოედანზე, ჯერ კიდევ იკრიბებოდნენ იმედისნასახშემორჩენილი, ბედის ანაბრად მიტოვებული თბილისელები და პროვინციებიდან შემთხვევით ჩამოსულნი მათი თანამემამულენი... ვინღა იოცნებებდა 300 ათას მომიტინგეზე, მაგრამ ხანდახან რამდენიმე ათასი მაინც მიდიოდა, მიდიოდა და ყურს უგდებდა ოპოზიციის ლიდერთა გამოსვლებს, რომელთა დანაპირები, პირადად მე უკვე ძილისპირულივით ჩამესმოდა...

ჩამავალი მზე თითქოს გაყინულიყო, საცოდავად ბჟუტავდა მისი ძალაგამოცლილი სხივები ნაადრევად მიძინებულ ჭადრის ტოტებს შორის. ეს ტოტები, იმ კეთილად გასახსენებელ დროს, როცა ხალხს არ შიოდა და არ სციოდა, არც ავადმყოფობის ეშინოდა და არც სწავლის ფულის გადახდის, არც უმუშევრობის და არც მოსალოდნელ, გაუსაძლისად ქცეული სიბერის წლების, როცა საქართველო ჯერ კიდევ დაუჩეხავ-გაუყიდავი იყო, ტკბილად მოჟღურტულე შოშიებით იყო დახუნძლული. არ გაემტყუნებათ რუსთაველის გამზირის 50 კვადრატულ მეტრზე დეკემბერ-იანვრის «სახალხო რევოლუციის» მომწყობი პუტჩისტების მიერ ქართველების ამოსაჟლეტად რუსი ოკუპანტების ნაჩუქარი ტანკ-ქვემეხებიდან ატეხილი ბათქა-ბუთქით გულგახეთქილ შოშიებს, რომლებიც ისე შეშინდნენ, რომ საყვარელი ქალაქიდან უცხოეთში გაფრენილები უკან აღარ დაბრუნებულან. შოშიები მოსალოდნელმა შიმშილობამაც დააფრთხო, ისე, როგორც შემდგომ წლებში მილიონობით ჩვენი თანამემამულე, რომელთაც ასევე მიატოვეს თავიანთი სამშობლო და ოჯახის არსებობისათვის გროშების მოსაპოვებლად სხვათა ქვეყნებს მიაშურეს... აღარ დაბრუნდებიან შოშიები...

ლიტერატურული გვერდი

ნოდარ ჯალაღონიას ლექსები

დასაწყისი გვ. 9

ახლაც ბურჯებად უდგანან
მამულს ქართველთა დედები,
ქვეყნის და ერის უღელი
რომ მიაქვთ თავგამეტებით.

პირნავთელი ხართ დედებო,
დღესაც სამშობლოს წინაშე,
ოჯახის ლუკმაპურისთვის,
რომ დგახართ ქარში, წვიმაში.

ოჯახის გადასარჩენად
მშობლიურ კერას რომ ტოვებთ
და უცხოეთში რომ ებრძვით
დარდს, ვარამს და სიმარტოვეს.

ქვეყნის, ოჯახის, აკვნების
თავგანწირულნო მხედრებო,
მართლაც და დედაკაცებო,
მართლაც და ქართვლის დედებო.

დედების ცრემლი

„იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა ტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა“.
ხალხური

„იარებიან დედანი ტირილით თვალცრემლიანი“,
ვაგლახ, რომ ჟამი დამდგარა ცუდი და ავვიზნიანი.

ოდით ძმები და მოყვრები და ერთმანეთის
გამტანნი,
ახლა მტრობენ და ქიშპობენ შეცდენილები
სტანის.

იქით ცრემლებად იღვრება დედა აფხაზი
შვილისა,
ამბობს, ქართველის დედაიც ვიცი რომ ჩემებრ
ტირისა.

აქეთ ქართველიც არ ცხრება, არ ეპუება ელდასა,
- წავიდე, სამძიმარ ვუთხრა მოკლულ აფხაზის
დედასა.

ასე ეძებენ ერთმანეთს ტირილით
თვალცრემლიანნი,
მიტევება და შენდობა არასდროს არის გვიანი...

აღარ გვჭირდება გამრიგე სხვა ქვეყნისა და სხვა
რჯულის,
ჩვენი დედების ცრემლები იქნება ჩვენი მსაჯული.

და მგლოვიარე დედები ერთერთს უმზერენ
ვედრებით,
ერთმანეთსა ჰგავს ცრემლები ყველა
შვილმოკლულ დედების.

და მჯერა, მოვა დრო-ჟამი და ნურვინ ნუ
გაიკვირვებს
მოკლულ ბიჭების საფლავზე ორივე ერთად
იტირებს.

რადგან ღმერთია მოწყალე და ბოლო სიტყვას ცა
იღებს,
იმ სისხლსაც დედის ცრემლები გადარეცხავს და
წაიღებს.

გაქრება ქიშპი და მტრობა და არასოდეს
დავშრებით,
საქართველოში ისევე ძმად და მოყვრებად
დავრჩებით.

* * *

როცა გადავშლი „ქართლის ცხოვრებას“,
სისხლით და ცრემლით ნაწერ სტრიქონებს,
საშმობლოსათვის ნაწამებ გმირებს
როცა ვხედავ და როცა ვიგონებ,

მე მეცოდება და მენანება,
(სხვა რაღა დამრჩა აბა, სათქმელი),
მე მეცოდება - კარგი სმა-ჭამით
გალაღებული ყველა ქართველი.

* * *

„სატრფოს სიყვარული ნეტარებაა,
სამშობლოს სიყვარული - სიამაყე“.
ლია ანდღულაძე

საცოდავია ყველა ქართველი
ვინც უფლის ნებით ვეღარ ამაღლდა,
ვისაც სამშობლო არ ყვარებია
და არ უვლია ქვეყნად ამაყად.

საცოდავია ვინც ვერ იგებდა
თავის ქვეყნის და ხალხის იარას,
ვინც სამშობლოში წელგამართულმა
ვერ იცხოვრა და ვეღარ იარა.

თუმცა, კარგია ის ნეტარება,
ეს სიამაყე მაინც სხვა არი,
მაინც სხვა არის თურმე, სამშობლოს
ხოტბა, გალობა, ხმა და საარი.

და თქვენი, სულიც, ჩანს ქალბატონო,
მამულზე ფიქრით ისე ამაღლდა,
სუფთა გულით და სუფთა გონებით
ქართულ მიწაზე დგახართ ამაყად.

სამშობლო ჩვენი უპირველესი
სალოცავი და საფიცარია,
ვინც სამშობლოთი არ იამაყებს
სამშობლოსათვის ცოცხლად მკვდარია.

წუთია წუთისოფელი

რადგან, წუთია წუთისოფელი,
დრო-ჟამმა ბრძოლის ველად აქცია
და საფლავისთვის, სიცოცხლეშივე
არის შუღლი დაგაწამაწია.

სასაცილოა ეს ყველაფერი
და უაზრო ფიქრს ვეღარ ავყვები.
სულ არ მაწუხებს თუ რა ერქმევა
იმ საფლავს სადღაც დავიმარხები.

სულ არ მაწუხებს თუ არ ერქმევა,
ოღონდ ქართული მიწა მეყაროს,
ოღონდ მამულზე ფიქრით, ოცნებით
სულმა ილხინოს და ინეტაროს.

თორემ, ცხოვრებამ ბევრჯერ გვანახა
ვინ ვინ არის და ვინ სად მარხია,
რომ ყველაფერის ბჭე და მსაჯული
ისევ დროა და ისევ ხალხია.

და მეც უაზრო, ფიქრებს ამაოს,
ვეღარ ვენდობი და ვერ ავყვები.
სულ არ მაწუხებს თუ რა ერქმევა
იმ საფლავ, სადაც დავიმარხები.

ოღონდაც, სულმა საქართველოსთვის
იქაც ილოცოს და ინეტაროს,
ოღონდ ქართველად დავიმარხო და
ოღონდ ქართული მიწა მეყაროს.

როდესაც ვისმენ ლოცვა-გალობას
ასე მგონია და არა ვცდები,
ეკლესიაში მრევლი მრავლდება
და სამშობლოში ჯარისკაცები.

როცა იზრდება სამწყსო და მრევლი,
ჩანს იზრდებიან არაგველებიც,
იბადებიან თევდორეები,
ქეთევანები, წავკისელები.

და ყველას, ვისაც უფალი უყვარს,
თავის სამშობლოც უნდა უყვარდეს
და მარაბდაზე არაგველებმა
სამშობლოს ვალი გადაუხადეს.

ამიტომ მჯერა, ჭირში და ლხინში,
აღარ დავრჩებით ქვეყნად მარტონი,
ვართ ღვთისმშობელის წილხვედრი მიწა
და ქრისტეღმერთის კვართის პატრონი.

* * *

ისეთი ბაქი-ბუქია
ვეღარ ვაკეთებ არჩევანს,
გაჭირდა საქართველოში
გმირის და ლაჩრდის გარჩევა.

ცხოვრება ხდება თანდათან
უნდობი და ეჭვიანი,
ამიტომ გვიჭირს გარჩევა
სულელისა და ჭკვიანის.

ამდენი ქოსარტყუილა
აბა, რა მოსაწონია,
ყველას მეფობა რომ უნდა
და თავი ბრძენი ჰგონია.

არც ქვეყანას და აღარც ხალხს
ნამდვილად აღარ სჭირდება,
სამშობლოს სიყვარულისთვის
ვინც ითხოვს ტახტს და დიდებას.

* * *

ეს ჭრელი წუთისოფელი
ყველა მოსულის ხვედრია,
ზოგისთვის ბედისწერა და
ზოგისთვის კიდევ ბედია.

ამაოდ ცდება ეტყობა,
ბევრი მოგვი და მისანი,
ძალიან ცოტამ თუ იცის
ამ ქვეყნად მოსვლის მიზანი.

* * *

გვიჭირს ქართველებს ცხოვრება,
თურმე, კერპების გარეშე
და არის ერთიმეორის
მტრობა, შუღლი და თარეში.

ეს ყველაფერი, ჩვენს თავზე
სისხლის წვიმებად გროვდება,
ვიცით კერპების მსხვრევა და
მერე, მოთქმა და გოდება.

* * *

ისევ ირევა წუთისოფელი,
მწარე ფიქრებმა დამიმარტოვეს,
პოეტს ვინ ჩივის, საქართვლეოში
ვატყობ, დღეს ლექსსაც არ ჰყავს პატრონი.

ეს უგულობა და გულგრილობა
ჩანს ყივჩაღივით შემოგვეყარა.
არ ეკადრება ეს საქართველოს
პოეზიის და შოთას ქვეყანას.

26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღე

მერაბ კოსტავას მიერ წარმოთქმული უკანასკნელი სიტყვა კინოს სახლის წინ გამართულ ანტიიმპერიალისტურ მიტინგზე 1989 წლის 11 ოქტომბერს

მამულიშვილნო! ძმანო და დანო!

რუსეთის იმპერიის ისტორიაში დამთავრდა შემოკრებისა და ინტეგრაციის დრო. რუსეთის იმპერიას ყავლი გასდის! ახლა იწყება რუსეთის დეზინტეგრაციის და დაშლის ჟამი. ასეთი იყო ნებისმიერი იმპერიის ისტორია; ჯერ შემოკრება ამ ერის, იმპერიის განმახორციელებელი ერის გარშემო, ინტეგრეცია, გაფართოება, გაბერვა და შემდეგ დაშლა ცალკეულ სახელმწიფოებად. ასე დაიშალა, მეგობრებო, მაკედონელის იმპერია, ესპანეთის, ფილიპე II-ის იმპერია. იგივე მოელის რუსეთის იმპერიასაც.

ძმანო და დანო!

იმპერია მოითხოვს გარკვეულ დაკვირვებას. რუსეთის ფედერაციის მთავრობა, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, ხვდება, რომ ასეთი დიდი სახელმწიფოს, სისხლით შექმნილი, სხვადასხვა ერის ძვლებზე აშენებული და ასე გაბერილი სახელმწიფოს არსებობა, მისი მართვა, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური მთლიანობის შენარჩუნება შეუძლებელია და იგი დაიშლება.

საქართველო ბუნებით უპირისპირდება რუსეთის იმპერიას და მის ვერაგულ ბუნებას. ეს პირდაპირი დაპირისპირებაა, მეგობრებო! მიუხედავად იმგვარი საშიში გეოგრაფიული ადგილისა, როგორიც საქართველოს არგუნა განგებამ, საქართველოს აქვს სურვილი იმპერიას ჩაასოს ისარი გულში. ასე, რომ დღევანდელი აქციის მიზანი, სწორედ, ისრის გაყრის ტოლფასია.

საქართველო ღირსია, რომ ჰყავდეს ეროვნული არმია!

ძმანო და დანო! ჩვენი ახალგაზრდები აპირებენ საპროტესტო აქციის ჩატარებას, რათა არ წავიდნენ დამპყრობლის არმიაში. მოგახსენებთ, რომ ნატოს კავშირი შემდგარია დემოკრატიული პრინციპებით, რადგან იგი შედგება ეროვნული არმიების კავშირისაგან. საბჭოეთში კი თავიდანვე ეცადნენ ზემოთ ნათქვამი პრინციპის მოშლას. ქართველი ერის ნებაა უარის თქმა დამპყრობლის არმიაში სამსახურზე.

ჩვენ გავიმარჯვებთ!

მართალია ეს ნაბიჯი არის საფრთხით აღსავსე, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვებთ!



ტექსტი დეშიფრირებულია სააგენტო «მაცნეს» აუდიო მასალებზე დაყრდნობით, 1989 წ. გამოაქვეყნა გაზეთმა «ფორუმი» 11 — 18 ოქტომბერი, 1994. რედაქტორი ვახტანგ ბახტაძე.

ბასული ჯაჭულის ეჩმი დასაბახსოვრებელი ადგილი ამბავში

გასულ ზაფხულს, მე და ჩემი მეგობარი მთაწმინდაზე ავედით, კიბე ავათავეთ თუ არა და უშუალოდ პანთეონიც დაიწყო, მე მარჯვენა მხარეს გავეშურე, ჩემი მეგობარი - მარცხენა მხარეს. ზვიადის საფლავს რომ მივუახლოვდი, დავინახე ორი ახალგაზრდა, ასე 32-33 წლისანი, ზვიადის საფლავის ბოლოს დგანან, ყველი და პური უდევთ, ერთი ბოთლი ღვინო უდგათ და ბაასობენ. სანთლები დავანთე თუ არა, ჩემს მდუღარე ცრემლებს იმ ახალგაზრდებმა კითხვა მიაგებს: ქალბატონო იცით, ეს რა კაცი იყო? მგონი ვიცი-მეთქი, ვუპასუხე... მაგრამ პასუხი ეტყობა, არც მოუსმენიათ, თავის კითხვას თავადვე პასუხობდნენ ისე, რომ ან ერთდროულად ლაპარაკობდნენ, ან ერთმანეთს არ აცლიდნენ: ეს კაცი უდიდესი ჰუმანისტი, დიდი პატრიოტი, დიდი ქართველთმოყვარე და არა მარტო ქართველთა, ყველა ერის უზადო მოყვარული კაცი იყოო. ეს კაცი ცოცხალი რომ დაეტოვებინათ, ქვეყანა აყვავდებოდა, მაგრამ ვის უნდა ამ ქვეყნის აყვავებაო და ჩემი იქ ყოფნის პერიოდში რამდენჯერმე დალიეს ზვიადის ხსოვნის სადღეგრძელო...

ამასობაში, მეგობარიც შემომიერთდა. ეკლესიაში შევედით, მერე ვაჟას საფლავთან კარგა ხანს ვიდექით, მერე წამოსვლა გადავწყვიტეთ... მთაწმინდის პატარა მოედანთან მანქანა დავინახეთ, რომელიც ასვლისასაც შენიშნული გვყავდა, რადგან იგი, ალბათ, ათასი ნაჭრისგან იქნებოდა შეკოწიწებული და ყველაზე დიდი ნაჭერი გაშლილი ხელისოდენი იქნებოდა, მეტი - არა. ამ მანქანაში ზვიადის საფლავთან მდგარი ის ყმაწვილები შევნიშნე. მიგვიპატიჟეს, - დაბრძანდით, ჩაგიყვანთო. ჩავსხედით. რაღაც შაბლონური საუბარი გაიბა. ისეთი, როგორიც შემთხვევით შემხვედრთან შეიძლება გქონდეს, რომ ამ დროს, ერთერთის მობილურმა ტელეფონმა დარეკა. ახალგაზრდამ უპასუხა. ელაპარაკებოდა სომხურად. საუბარი რომ დაამთავრა, ვუთხარი: სომხური გცოდნიათ, საიდან იცით-მეთქი? მიპასუხა: ჩვენ სომხები ვართო. ძალიან გამიკვირდა იმიტომ, რომ არც ზვიადის საფლავზე, არც მანქანაში მათი არაქართული კილო არ შემინიშნავს, ფიზიკურადაც, ძალზე დახვეწილი, სასიამოვნო ახალგაზრდები იყვნენ.

ეს არაქართველი ახალგაზრდები ასე ჯანსაღად და ობიექტურად მსჯელობდნენ ზვიადზე, რომლის ძალა, მნიშვნელობა და მისია, დღემდე, 17 წლის შემდეგაც არ იციან იმ ბეჩავმა, საცოდავმა ქართველებმა, რომელთაც სწავლაც არ აკლიათ და თავიც დიდი ვინმე ჰგონიათ! - ხოლო შეგნება-გაგებისა, რა მოგახსენოთ... სწორედ რომ საოცარია და ვინ იცის, რამდენი ასეთი დიდებული, გაგებული არაქართველი, დაიარება ჩვენს შორის... ასეთი შემთხვევის გამო უთქვამს ჩემთვის ჩემს უდროოდ გარდაცვლილ, უნიჭიერეს გიგლა სარიშვილს:

- ეჰ, ვინ იცის, რამდენი სულის მეგობარი გვყავს ამერიკაში და რა დასანანია, რომ ახლოს არ ვიცნობოთო მათ.

გელა შალვაშვილი

მისი დაბადების თარიღიც ნიშანდობლივი იყო



ვარაზ ვარაზაშვილი — სათნო, მოკრძალებული, საკუთარი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი, მერაბ კოსტავასავით, 26 მაისს მოევლინა ქვეყნიერებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისთვისაც, როგორც ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის, იმპერიალისტური მონობის უღლისაგან ერისა და ქვეყნის გათავისუფლების პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი იყო და ამადაც, მთელი არსებით ჩაება ამ იდეურ მოძრაობაში. პატრიოტული სულისკვეთებით გაწევრიანდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიერ დაარსებულ «წმინდა ილია მართლის საზოგადოებაში» და გვერდიდან არ მოსცილებია ღირსეულ ლიდერებს. ვარაზ ვარაზაშვილს, არც მაშინ დაუზოგავს საკუთარი სიცოცხლე, როდესაც იმპერიალისტურმა რუსეთმა სამხედრო ინტერვენცია განახორციელა სუვერენული ქვეყნისა და 87%-ით არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ვარაზ ვარაზაშვილს ხელში, თუმცა იარაღი არ აუღია, მაგრამ თავისუფლებისა და დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად გულანთებული შევიდა ინტერვენციის ეპიცენტრად ქცეულ უზენაეს საბჭოში და შიშველი ხელებით დადგა ეროვნული დამცველების გვერდით, ეხმარებოდა და ამხნევებდა დაჭრილებს, ყოველი მათგანის მზრუნველი ჭირისუფალი იყო. 1991 წლის 22 დეკემბერს, ვარაზ ვარაზაშვილი, უზენაესი საბჭოს შენობის გარეთ, სასტუმრო «თბილისთან», დაჭრილების გამოსაყვანად გამოვიდა და მოღალატე ქართველის ტყვიამ მასაც უწია (სავარაუდოდ, მას ვაჟა ადამიას შეიარაღებულმა მებრძოლებმა ესროლეს) და გულის პერანგი გაურღვია.

ვარაზ ვარაზაშვილის სპეტაკმა სულმა, ნიშანდობლივ — 33 წლის ასაკში მტკნარი ღიმილით დატოვა ფიზიკური სხეული.

ირაკლი დოკვაძე კვლავ უდანაშაულო პატიმარია

მყოფმა ირაკლი დოკვაძემ საპატიმროდან, საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მისაქცევად გაავრცელა განცხადება, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

მოგმართავთ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა გულისყურით მოეკიდოთ ჩემს საქმეს, როგორც თქვენ გამოიჩინეთ დიდი ძალისხმევა 1992-95 წლებში ჩვენი უკანონო პატიმრობის გამო, რაც მდგომარეობდა ჯაბა იოსელიანის ტერაქტის მცდელობაში, რის გამოც 1995 წლის 6 მარტს მე და პეტრე გელბახიანს, საქართველოს მაშინდელი მთავრობის დიდი მონდომებით და ზეწოლით სიკვდილით დასჯა მოგვისაჯეს.

ჩვენ 2 წელი და 5 თვე გავატარეთ სიკვდილმისჯილთა საკანში აუტანელ პირობებში, მაგრამ ვერ გაგვტეხეს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩვენზე ახდენდნენ ზეწოლას, რათა შეწყალებაზე დავთანხმებულვიყავით, რაც ვერ მიიღეს. რომ არა თქვენი მონდომება, განაჩენს სისრულეში მოიყვანდნენ.

თქვენ, ჯერ კიდევ ძიების პერიოდში გვაღიარეთ პოლიტპატიმრებად. ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეები ვიყავით და ბოლომდე დავრჩით მისი ერთგულნი. ციხიდან 2002 წლის 3 სეტემბერს გამანთავისუფლეს, გამოსვლისას გადავწყვიტე ჩემი 10 – წლიანი უკანონო პატიმრობა გამესაჩივრებინა. ფიზიკური და მორალური ზიანის მიყენებისთვის მე, კომპესაციის სახით, ვითხოვდი ათ მილიონ ევროს. 2003 წლის 9 თებერვალს უზენაესი სასამართლოს ზედა პალატამ მე მცნო რეაბილიტირებულად და კომპენსაციის სახით ოცი ათასი ლარი გადამიხადა, რაზედაც ზედა პალატის 9 მოსამართლე აწერს ხელს. რაც შეეხება ეხლანდელ საქმეს, ა. წ. 25 აპრილს მე დამაკავა ქალაქის პოლიციის მთავარმა სამმართველომ იმ დღეს ფალიაშვილის ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გოჩა კვირჭიშვილის და მისი ფეხმძიმე მეუღლის ელზა გულიაშვილის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულების გამო, რის შედეგადაც ისინი გადაყვანილი იყვნენ საავადმყოფოში. ელზა გულიაშვილს გაუკეთდა საკეისრო კვეთა, საბედნიეროდ ბავშვი და დედაც გადარჩა.

რამოდენიმე დღით ადრე გოჩა კვირჭიშვილმა მთხოვა შემეკეთებინა მოსასმენი აპარატი, რომელიც მომცა ქუჩაში ჩემს სახლთან თამარაშვილის ქუჩაზე. 25 აპრილს, დაახლოებით 12 საათზე და 45 წუთზე, მე მოვუტანე გოჩას შეკეთებული აპარატი, რომელიც ძიების მიერ ამოღებულია მისი სახლიდან. კვირჭიშვილებს ფალიაშვილის ქუჩის 90 ნომერში 9 სართულიან სახლში 4 სართული უკავიათ. პირველ სართულზე ერთ მხარეს არის საოფისე ფართი, მეორე მხარეს კი ჩინური რესტორანი. მეორე სართული მთლიანად უკავია გოჩას დედას და ძმას ვანოს, 3სართულზე ცხოვრობს გოჩა და მისი მეუღლე ელზა გულიაშვილი. მე – 4 სართული ეკუთვნოდა გოჩას გარდაცვლილ ძმას დათოს კვირჭიშვილის ოჯახთან ერთად. სწორედ ამ ბინის თაობაზე მიმდინარეობდა სასამართლო დავა გოჩას რძლის ნანა ანდრიაშვილსა და გოჩას შორის. გარდაცვლილი ძმის ოჯახი, რძალი და ორი შვილი, ამჟამად, იმ ბინაში არ ცხოვრობს. გოჩამ და დედამისმა აიძულეს ისინი, რომ იმ ბინიდან წასულიყვნენ. გოჩასთან მისვლისას მე ვნახე მისი მეუღლე ელზა. თბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი, რის შემდეგ ელზა შევიდა საძინებელ ოთახში.

მათი ბინა არის დიდი ფართის. სამი ბინის ნაწილი არის სარემონტო. სწორედ სარემონტო მხარეს გამიყვანა გოჩამ,სადაც დამხვდა ჩემთვის უცნობი პიროვნება ვინმე „ოთო“და გამაცნო. მე დავჯექი კომპუტერთან, რადგან გოჩამ მთხოვა რაღაცეების გადაკეთება. უცნობი პიროვნება „ოთო“გოჩამ გამაცნო, როგორც თავისი რძლის (გარდაცვლილი ძმის ცოლის) მოსაკლავად დაქირავებული ქილერი, რომელსაც უკვე გადაუხადა 20000 ამერიკული დოლარი. ამის გაგონებაზე უცნობი შეცბა, არ ესიამოვნა, გოჩამ რომ მითხრა მათი განზრახვის შესახებ. გოჩამ იგი დაამშვიდა: „ეს სანდო პიროვნებაა, ჩემი მეგობარიაო“. ისინი იარაღს ცდიდნენ პლასთმასის ბოთლებზე. უცნობმა უთხრა გოჩას, რომ დაემატებინა მისთვის თანხა და იგი იყიდდა მაყუჩიან იარაღს, რაზედაც გოჩამ უარი უთხრა. ცოტახანის შემდეგ მე გადავწყვიტე წამოსვლა. გოჩამ გამომაცილა სადარბაზოში,სადაც მე ვუთხარი, რომ არ გაეკეთებინა ასეთი რამ, ეს არაქრისტიანული საქციელია-მეთქი,რის შემდეგაც დავშორდი გოჩას. ამის შემდეგ, თუ რა მოხდა კვირჭიშვილების ბინაში მე არაფერი ვიცი.

ჩემი დაპატიმრების შემდეგ ჩემმა პირველმა ადვოკატმა გიორგი ძიგუამ მოითხოვა ჩემთვის წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა ჩემი უსაფრთხოების მიზნით, ვინაიდან გოჩას დაქირავებული ქილერი იყო გარეთ, რადგან ჩემს ჩვენებაში ვთქვი, რომ გოჩას განზრახული ჰქონდა რძლის, ნანა ანდრიაშვილის მოკვლა და ამისთვის ჰყავდა დაქირავებული ქილერი ვინმე „ოთო“. ჩემი ადვოკატი მარწმუნებდა იმაში, რომ ციხეში უფრო უსაფრთხოდ ვიქნებოდი, რაზედაც მეც დამითანხმა. შემიფარდეს 2—თვიანი წინასწარი პატიმრობა, 376-ე მუხლით (განუცხადებლობა). ამის შემდეგ სულ სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. პროკურატურამ ისარგებლა ჩემი 2-თვიანი პატიმრობით.საერთოდ არ დაინტერესებულა „ოთოს“ ვინაობით და აქცენტი მიმართა ჩემსკენ (მათ თავი არ შეიწუხეს, რათა დაედგინათ სიმართლე).

მიმდინარე წლის 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან საპროტესტო აქციის დროს, პოლიციამ გამოიყენა ძალა. აკრძალული ტყვიებით დააზიანა აქციის მონაწილენი, ორმა მათგანმა თვალიც კი დაკარგა, ხოლო მძიმე დაჭრილები გადაყვანილნი იყვნენ საავადმყოფოში. მეორე დღეს, 7 მაისს, დილის 11 საათზე ყველა საინფორმაციო გამოშვებაში, მთელი დღის განმავლობაში, შინაგან საქმეთა პრესცენტრის მიერ იყო გაკეთებული განცხადება, რომ ფალიაშვილზე მომხდარი მძიმე დანაშაული გახსნილია და დამნაშავე არის ირაკლი დოკვაძე, რომელიც წარსულში არის ნასამართლევი და პრეზიდენტის შეწყალებით იგი 2002 წელს გაანთავისუფლეს, ანუ „მომნათლეს“, როგორც კრიმინალი. ასეთი სიცრუით უნდოდათ მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ, თუ რა საშიში დამნაშავე ვიყავი. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ იმაზე, რომ მე შეწყალებაზე ყოველთვის ვამბობდი უარს და ყოველგვარი შეწყალების გარეშე გამოვედი ციხიდან, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ჯერ კიდევ ძიების დროს, 1993 წელს მე პოლიტპატიმრის სტატუსი მომანიჭეს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მე ჩემი 10-წლიანი უკანონო პატიმრობა გავასაჩივრე, რომ უზენაესი სასამართლოს ზედა პალატამ მცნო რეაბილიტირებულად და მორარული და ფიზიკური ტანჯვისთვის, სახელმწიფოს დაეკისრა ჩემთვის 20 000 ლარის გადახდა.



ამის შემდეგ, როდესაც ჩემთან საპყრობილეში შემოვიდა გამომძიებელი ჟამერაშვილი, მე მას შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს, როცა მე 376-ე მუხლით წინასწარი ორთივანი პატიმრობა მქონდა მისჯილი. მან მიპასუხა: ეს 6 მაისის პასუხის გაგრძელება იყო. ჩემთვის გაუგებარია, მე რა შუაში ვიყავი. მე ბრალი წამიყენეს მძიმე მუხლებით 4 ივნისს, 7 მაისს კი უკვე მკვლელად შემრაცხეს.

იგივე განმეორდა ამა წლის 4 ოქტომბერს სატელევიზიო არხ „იმედი“-ს საკვირაო გამოშვებაში „სასამართლო ქრონიკა“,სადაც აჩვენეს გოჩა კვირჭიშვილი და გაიმეორეს, რომ მე მედებოდა ბრალი ამ მძიმე დანაშაულში და ჩემს საქმეს ამძიმებდა ისიც, რომ მე ადრე ვიყავი ნასამართლევი მძიმე ბრალდებით. ეს ყველაფერი კეთდება პროკურატურის შეკვეთით, ძიების თავის არ შეწუხებისთვის, ვინაიდან მე უკვე მათ ვყავდი ციხეში და საქმის გახსნის გამოცხადება უფრო ადვილი იყო.

პროკურორი ლევან ბათიაშვილი პირდაპირ დაინტერესებულია პირნათლად შეასრულოს პროკურატურის დაკვეთა. მთელი სასამართლო პროცესების განმავლობაში ფაქტიურად კარნახობს დაზარალებულის ადვოკატებს, თუ როგორ წაიყვანონ პროცესი. იგი სასამართლოს დარბაზის გარეთ წინასწარ არიგებს მოწმეებს, თუ როგორი ჩვენება უნდა მისცენ სასამართლოს ჩემს წინააღმდეგ. პროცესების მსვლელობის დროს გამოიკვეთა ბევრი ისეთი დეტალი, რაც ფაქტიურად ადასტურებს ჩემს უდანაშაულობას, მაგრამ დაინტერესებული პროკურორი იგნორირებას უკეთებს ასეთ ფაქტებს და ჯიუტად აგრძელებს, სრულიად უსაფუძვლოდ, მტკიცებულებების გარეშე ჩემს დადანაშაულებას, რაც იწვევს ეჭვს, რომ უშუალოდ პროკურატურა არის დაინტერესებული ჩემი ციხეში ჯდომით.

საინტერესოა ის, თუ რატომ აფარებს პროკურატურა ხელს გოჩა კვირჭიშვილს, რომელიც გეგმავდა თავისი რძლის ნანა ანდრიაშვილის მკვლელობას.

გოჩა კვირჭიშვილი მე გავიცანი ციხეში 1992 წელს, იგი იყო დაპატიმრებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, კერძოდ საპატრიარქოსთვის 600 000 მანეთის თაღლითური გზით გამოძალვის გამო. წელიწად ნახევარში მან ეს თანხა სრულად დაფარა და ციხიდან განთავისუფლდა.

2002 წელს ესტონეთის ხელისუფლებამ ძებნა გამოაცხადა გოჩაზე და თხოვნით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას მისი ექსტრადაციის შესახებ. გოჩა კვირჭიშვილმა თავისი ნაცნობ-მეგობრების წყალობით ჩაფარცხა ეს საქმე (როგორც ჩანს, არც ესტონელები დაინდო). გოჩას ადვოკატები, დები გოჩელაშვილები, გავრცელებული ინფორმაციით ნაცნობები არიან ძმები კუბლაშვილების, უზენაესი სასამართლოს თავდჯდომარის კონსტანტინე კუბლაშვილის და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავჯდომარის პავლე კუბლაშვილის.

ჩემმა ადვოკატებმა ალექსანდრე არახამიამ და ლენა ჯიჯელავამ, 2009 წლის 13 მაისს მიმართეს ქალაქის მთავარ პროკურატურას ბატონ მამუკა გვარამიას საჩივრის სახით, თუ რატომ ირღვეოდა „უდანაშაულობის პრეზუმცია“ ჩემს მიმართ, რატომ ხდება ჩემი დისკრედიტაცია საჯაროდ, რატომ არ ეცნობა საზოგადოებას ჩემი ადრე პატიმრობაში ყოფნის საფუძველი და რეალობა.

2009 წლის 13 მაისს გაგზავნილი საჩივრის პასუხად ქალაქ თბილისის პროკურატურიდან 2009 წლის 24 ივნისს მიიღეს ჩემმა ადვოკატებმა 19 ივნისს გამოგზავნილი წერილი, სადაც ატყობინებდნენ, რომ ი.დოკვაძეს 2009 წლის 4 ივნისს წარედგინა შევსებული და დაზუსტებული ბრალდება. მათი მხრიდან წარდგენილი პასუხი არ აკმაკოფილებდა საჩივარში მითითებულ მოთხოვნებს.

პატიმრობის პირველი დღიდან ვითხოვდი შინაგან საქმეთა ექსპერტ კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში დანიშნულიყო პაბიტოსკოპიური ექსპერტიზა, რაც მოგვცემდა მიგვეღო ვინმე „ოთოს“ფოტორობოტი..2009 წლის 18 მაისს, როგორც იქნა ჩატარდა ექსპერტიზა ფოტორობოტის შესაქმნელად, მაგრამ ის არ იყო სრულყოფილი ფოთორობოტი, იმ მიზეზით, რომ მათ არ ჰქონდათ ისეთი აპარატურა, რომელიც შექმნიდა 100 პროცენტით ფოტორობოტს. მათ მიერ შექმნილი ფოტორობოტი იყო მხოლოდ 60 პროცენტით მიახლოებული. რაც შეეხება მეორე შუამდგომლობაში მოთხოვნილ კითხვებზე, კერძოდ, თუ ვისი ინფორმაციის საფუძველზე გავრცელდა ტელევიზიით ა. წ. 7 მაისს საქმეზე ესა თუ ის ინფორმაცია, ამ საქმის გამომძიებელი ჯამერაშვილი პასუხობს, რომ აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა მის კომპეტენციაში არ შედის და აქედან გამომდინარე მათ მიმართონ შინაგან საქმეთა პრესცენტრს. ჩემი დაკავების შემდეგ, პოლიციის მთავარი სამმართველოდან ჩემს ოჯახში ჩაატარეს ჩხრეკა, ჩხრეკის დროს ოჯახის ყველა წევრი იყო სახლში. თოკიდან ჩამოხსნეს ჩემი ტანსაცმელი, რომელიც გარეცხილი იყო, ქურთუკზე და შარვალზე დამეწვეთა მანქანის ზეთი, რომელიც ჩავამატე მანქანაში სახლში მოსვლამდე და ამიტომ გარეცხა დედაჩემმა. 25აპრილს წვიმიანი დღე იყო. ცალ ფეხსაცმელსში წყალი შემდიოდა, ლანჩი ჰქონდა დაზიანებული (რაც დაადასტურა გამომძიებელმა სირაძემაც, რომელიც ჩხრეკას ატარებდა) და ამიტომ გამოვიცვალე. როდესაც სამმართველოში მაისური, ტრუსი და წინდები გამხადეს, მთხოვეს ფეხსაცმლის გახდაც, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ ცალ ფეხსაცმელში წყალი შემდიოდა და სახლში გამოვიცვალე ის, ამიტომ ის არ მაცვია, რითაც გოჩასთან ვიყავი- მეთქი.

ამის შემდეგ ყოფილა ზარი სირაძის მობილურზე, რის შემდეგ უკითხავთ, თუ რა მეცვა ფეხზე, დედაჩემს უთქვამს: ცალ ფეხსაცმელს ძირი გაცვეთილი აქვს და სხვა ტუფლები ჩაიცვაო. გაცვეთილი ფეხსაცმელი კი აქ მაქვს სამზარეულოს ნაგვის კასრზე გადასაყრელადო. რომელი დამნაშავე იტყოდა, ფეხსაცმელი გამოვიცვალე და სახლში დავტოვეო.

ამის შემდეგ მოითხოვეს რაიმე პარკი, რათა ჩაეწყოთ ამოღებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დედაჩემმა გამოუტანა დიდი ცელოფნის პარკი. ყველაფერი ჩაყარეს ამ ცელოფანში და ყოველგვარი დალუქვის გარეშე ჩემს ოჯახის წევრებთან ერთად ორი მანქანით წავიდნენ პოლიციის სამმართველოში დაახლოებით საღამოს 9 საათზე.

პოლიციის სამმართველოსში ჩემი ოჯახის წევრები განათავსეს ცალ-ცალკე ოთახებში. მოგვიანებით, დედაჩემთან შევიდა გამომძიებელი სირაძე და შეუტანა ჩხრეკის ოქმი,სადაც ამოღებული ნივთების ჩამონათვალში არ იყო ფეხსაცმელი და ითხოვა დედაჩემის ხელით ყოფილიყო მე- 7 ნომრად ჩაწერილი: „ნამდვი-

გაგრძელება მე-13 გვ.

დასაწყისი გვ. 12

ლად ამოღებულ იქნა ჩვენი სამზარეულოდან ფეხსაცმელი, რომელიც ნაგვის კასრზე იდო“ და მოაწერინა ხელი.

მიუხედავად ჩემი უდანაშაულობისა, მიუხედავად არარსებული მტკიცებულებისა, 2009 წლის 4 ივნისს, ბრალდების მხარემ მაინც დამდო ბრალი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სს 10-108 მუხლთ, 109-მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლით მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ვცნობ, რადგან მე ეს დანაშაული არ ჩამიდენია.

ერთადერთი, ვითომცდა მტკიცებულება, რომელიც ბრალდების მხარეს გააჩნია, ეს არის ეგრეთწოდებული ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნები (როგორც ჩემთვის ცნობილია) კანონის უხეში დარღვევით მოძიებული, რამეთუ არ ჩატარებულა ჩხრეკა კანონიერად. იმდენად, რამდენადაც სახლიდან წაღებული ნივთები არ დალუქულა შინაგან საქმეთა სამინისტროს ლუქით და შესაბამისად, არ არსებობს ლუქზე დამსწრე პირთა (ანუ ოჯახის წევრთა) ხელმოწერები. შეიძლება-კი ასეთი სახით მიღებული ე.წ. მტკიცებულება ჩაითვალოს „მტკიცებულებად“? რაც შეეხება იმ მტკიცებულებებს, რომელიც შემთხვევის ადგილიდან იქნა ამოღებული გამოძიების მიერ: > სასამართლო პროცესზე სრულად გამოიკვეთა გოჩას პიროვნება რძლის და ელზას დების ჩვენებებით. მათ ბრალი დასდეს არა მხოლოდ გოჩას, არამედ დედამისსაც, ქალბატონ იზოლდა გაბუნიას, შვილის დანაშაულებრივ ქმედებებში ხელის შეწყობა- დაფარვაში. > სასამართლო პროცესზე იგრძნობოდა, როგორც რძლისგან, ასევე ელზას დებისგან სინანული იმის გამო, რომ გოჩა კვირჭიშვილი და დედამისი ქალბატონი იზოლდა გაბუნია, იყვნენ თავისუფლები, აგრძელებდნენ პროვოკაციულ ქმედებებს, ხოლო მე, ირაკლი დოკვაძე ვიმყოფებოდი გისოსებში. რაშიც მათ ხელს უწყობს პროკურატურა. კერძოდ კი პროკურორი ლევან ბაჩიაშვილი.

საბრალდებო დასკვნა არის შეთითხნილი არარსებული მტკიცებულების საფუძველზე. შეიძლება მტკიცებულებად ჩაითვალოს ქალბატონ იზოლდა გაბუნიას ჩვენება იმის თაობაზე, რომ ტელეფონზე ელზამ უთხრა ჩვენთან სტუმრად ირაკლი არისო, რასაც მეც არ უარვყოფ, რომ ნამდვილად ვიყავი მათთან სტუმრად. ბრალდების ყველა მოწმე ამბობს, რომ მას დაურეკეს და შეატყობინეს ეს ამბავი. თვითმხილველები არ არსებობს.

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, მოგმართავთ ყველა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს თხოვნით, იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი აქვს ჩემს მიმართ, გთხოვთ გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული მექანიზმები და საერთაშორისო ავტორიტეტი და დაიცვათ ჩემი უფლებები, ისევე როგორც ამას აკეთებდით 1992-2002 წლებში.

პოლიტპატიმარი ირაკლი დოკვაძე.
22.11. 09

2010 წლის 16 იანვარს, საქალაქო სასამართლომ უდანაშაულო ირაკლი დოკვაძეს 30 (?!) წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მიუხედავათ იმისა, რომ თავად დაზარალებულმა და დაზარალებულის დებმაც სასამართლოზე განაცხადეს, რომ დაზიანებები მისთვის ირაკლის არ მიუყენებია და, რაც მთავარია, არავინ მომკვდარა.

სააპელაციო სასამართლოში 7 აპრილს განაახლა სასამართლო პროცესი, სადაც ხელმეორედ დაიკითხებიან დაზარალებული ქალაბტონი და მისი დები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ, აგრეთვე ირაკლი დოკვაძის პირველი პატიმრობის გარემოებების ამსახველ განცხადების ტექსტსაც.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მხოლოდ იმ მცირე ფაქტებზე, რომელთა გამომზეურებას ვაპირებდი სასამართლო პროცესზე, რადგან, ალბათ ჩემი გამოუცდელობითა და გულუბრყვილობით ვიმედოვნებდი სასამართლო პროცესის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას, მაგრამ 5 ოქტომბრიდან დღემდე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შევარდნაძის ფაქტობრივი ხელისუფლება, სუკი, პროკურატურა და ყველა ვითომ სამართალდამცავი ორგანოები ერთმანქანად გაერთიანებული მიმართული არიან, რათა „დაუმტკიცონ“ საქართველოს პრეზიდენტ გამსახურდიას დანაშაულებრივი ქმედებები. ბრალდებაში ჩვენ ხომ გამსახურდიას მიერ შექმნილ ტერორისტული, ბანდიტური და დივერსიული ჯგუფის წევრებად და ორგანიზატორებად ვართ მოხსენებულნი.

1992 წ. 3 სექტემბრიდან მოყოლებული არასოდეს ვყოფილვარ ეჭვმიტანილი. მე უკვე ბრალდებული ვიყავი, იმ განსხვავებით, რომ ძიების პროცესში დაცვის უფლება არ გამაჩნდა. ხელოვნურად ჩამომაშორეს ჩემს „ყვარლის ბიჭებს“, რადგან, როგორც შემდეგ გამოირკვა, მიმზადებდნენ „ჩიქოვანის ქუჩის“ ბრალდებას. „კპზ“-ში ფიზიკური „დამუშავების“ შემდეგ მაშინდელმა პროკურორმა ა. ბალუაშვილმა დაიწყო გაუგონარი, ბინძური ფსიქოლოგიური ტერორი – გარიგება: უნდა მეღიარებინა და გავმხდარიყავი ბალუაშვილის სცენარის მიხედვით, ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ტერორისტული აქტის ავტორი და ერთ-ერთი აქტიური წევრი. სამაგიეროდ - ჩემს შვილებს ცოცხალს დატოვებდა. მისი თქმით ტერორისტული აქტის დროს დაღუპულ ადამიანთა ოჯახის წევრებმა, მისგან - ბალუაშვილისგან იციან ჩემი ამ აქტში მონაწილეობის შესახებ და თუ შევეცდებოდი უარყოფას, ისინი ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ ჩემს შვილებს; მეტადრე დაღუპული ბავშვის მამაზე, გოჩა ერაძეზე აკეთებდა აქცენტს. მე შევეცადე რამდენჯერმე მიმეცა წერილობითი ჩვენება, სადაც ვუარყოფდი ჩემს მონაწილეობას ამ საქმეში. ბალუაშვილი ჯერ შეეცადა შეეხსენებინა ჩემთვის მანამდე უცნობი ზაზა წიკლაურის წამების შესახებ, შემდეგ საგამომძიებლო იზოლატორზე მამათმავლებით დამემუქრა. ამან რომ არ გაჭრა, შვილებიც მომიყვანა და დამაყენა არჩევანის წინაშე. ამ ცხოველმა განმიცხადა: „შენ ხომ პირველ სართულზე ცხოვრობ, შეგიგდებთ „ლიმონკას“ და დავაბრალებთ დაღუპულთა ოჯახებს, რა, არ დაიჯერებენ?! შენი თავი თუ არ გეცოდება, შვილები მაინც შეიცოდე!“

ვუყურებდი ამ არაკაცს და ვგრძნობდი ჩემს უმწეო მდგომარეობას. ვუთხარი დაეწერა, რაც უნდოდა და ყველაფერზე ხელს მოვუწერდი. ბავშვებმა იგრძნეს მისი ჩემდამი კეთილგანწყობა და ორივე ხელში ჩამაფრინდნენ. მე ძლივს ავუხსენი რომ ვიყავი ავად და როდესაც გამოვჯანმრთელდებოდი სახლში წამოვიდოდი. ბალუაშვილმა წაიყვანა ბავშვები და დაბრუნდა. მან გამაფრთხილა, ჩვენება მხოლოდ მისთვის მიმეცა. როდესაც დამცველი მეყოლებოდა, იგი წინა დღით მოვიდოდა და დამარიგებდა, მეორე დღეს, როგორი ჩვენება უნდა მიმეცა, რა კითხვებს დამისვამდა და როგორ უნდა მეპასუხა. მე არაფერი ვუპასუხე.

იმავე დღეს ჩამსვეს №42 საკანში, სადაც ფეკალური ნივთიერებები ჩამოდიოდა გახეთქილი მილიდან და ჭამა კი არა, სუნთქვაც აუტანელი იყო. დილაობით მაძლევდნენ ნაჭერ შავ პურს, რომელსაც ხელუხლებლად ვტოვებდი. დაიწყო რამოდენიმე ჯგუფმა სიარული, არც დღე და არც ღამე არ ცხრებოდნენ, საკანში 2-3 საათი თუ მიწევდა ყოფნა.

6 სექტემბრიდან სუკის საგამომძიებო ჯგუფიც მოვიდა და დაიწყო მრავალსაათიანი და აუტანელი დაკითხვები. მეუბნებოდნენ, რომ დაპატიმრებული ჰყავდათ ჩემი ბავშობის მეგობარი ბესო ბოჭორაძე, რომელმაც აღიარა ჩემი, პეტრე გელბახიანის და გრიშა ელისაშვილის მონაწილეობა ზემოთ აღნიშნულ ტერორისტულ აქტში, რომ ის ჩემს გამო იმყოფება საპყრობილეში და რაც მალე ვაღიარებდი, მით უფრო მალე გაუშვებდნენ მას. მე მოვითხოვე ჩვენს შორის დაპირისპირების ჩატარება, რაზეც მტკიცე უარი მივიღე.

ყოველთვის, როდესაც სუკის საგამომძიებლო ჯგუფი მოდიოდა, რამოდენიმე წუთში მოდიოდა ბალუაშვილი და დაწვრილებით გამომკითხავდა, თუ რას მეკითხებოდნენ ისინი. მე თვალნათლივ ვხედავდი, თუ როგორ იბრძოდა ეს ორი ორგანიზაცია „საქმის გახსნის“ მითვისებაზე. თუმცა ბალუაშვილს საქმე გადაეცა წარმოებაში 16 სექტემბრიდან (იხილეთ საქმის ტომი, სადაც ბათიაშვილი და რაზმაძე ერთმანეთს უმტკიცებდნენ ერთის მხრივ სუკის, მეორე მხრივ კი პროკურატურის მიერ საქმის წარმოების აუცილებლობაზე). 7 სექტემბერს ბალუაშვილმა მომიტანა საკმაოდ სქელი დასტა „ჩემი ჩვენებისა“, რომელიც უნდა წამეკითხა, მესწავლა და 8 სექტემბერს იგი, სუკის გამომძიებლები და სუკის ვიდეოოპერატორი მოვიდოდნენ, სადაც მე ამ სცენარის მიხედვით მივცემდი „ჩვენებას“. მეორე დღეს მართლაც მოვიდნენ ზემოთ ჩამოთვლილი პირები და კიდევ ორი კაცი, საკმოად დიდი ზომის „დიპლომატით“. რომლებმაც ჯერ გულდასმით დაათვალიერეს ჩემი სახე და გატეხილი ცხვირი, შემდეგ კი ბალუაშვილის მითითებით გახსნეს დიპლომატი და საკმაო ხნის განმავლობაში დამიმუშავეს ჩალურჯებული სახის ნაკვთები და ცხვირი გრიმითა და ტონით. ზოგჯერ ოპერატორი მომიშვერდა - 7 ტიპის ვიდეოკამერას და ეუბნებოდა: „ფერადად ვიღებ და რომ არ გამოჩნდეს კარგად წაუსვითო“.

დაიწყო ჩანერა და მეც მოვყევი ბალუაშვილის მიერ შეთხზული ზღაპარი. ჩვენებით კმაყოფილი დარჩა გენერალური პროკურორის მოადგილე და ხელების ნერვიული სრესვითა და მისთვის დამახასიათებელი ცინიკური ღიმილით წავიდა.

ოჯახის წევრებთან შეხვედრა აკრძალული მქონდა: ერთის მხრივ მიხაროდა კიდეც, რადგან 18 კილოგრმი მქონდა დაკლებული და ძალიან დასუსტებული ვიყავი.

როგორც იქნა დაუშვეს ჩემი ოჯახის მიერ აყვანილი ადვოკატი გიორგი მოვსესიანი, რომელსაც, თურმე ამ ხნის განმავლობაში არ მახვედრებდნენ. იგი საკმაოდ გაკვირვებული რჩებოდა ჩემი შემდგომი დაკითხვებიდან, მაგრამ მას საუბედუროდ ვერაფერს ვუმხელდი, რადგან ჩემი ნატანჯი სახე, ჩალურჯებული თვალები და გატეხილი ცხვირი იხილა - ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნაზე კი არაფერი უთქვამს. მეც ჩავთვალე, რომ მისი ნდობა არ შეიძლებოდა და დავრჩი ისევ მარტო, ბედის ანაბარა.

ორიოდე სიტყვით მინდა მოგითხროთ იმდროინდელი იზოლატორის მეორე კორპუსზე, ეგრეთწოდებული „ნასეტკების“ კორპუსზე, იქ ყველა პირობა იყო შექმნილი, რათა ადამიანი მორალურად და ფიზიკურად გაეტეხათ. ყველა საკანში „ნასეტკები“ ჰყავდათ და ისინი აწარმოებდნენ პატიმართა დამუშავებას, სუკისა და პროკურატურის გამომძიებელი - ჯალათები, ციხის ადმინისტრაცია და თვით პატიმრებიც კი; ასე რომ ჩემთვის, არც დღე არსებობდა და არც ღამე. იქვე „გამაფრთხილეს“ - შენს მოსაკლავად დიდი ფულია გადახდილი და თავს გაუფრთხილდიო. ცოტა მოგვიანებით კი აკმ-ის ტიპის ავტომატი თავისი 30 ვაზნით და „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტიც შემომიგზავნეს, არც ორი ცალი „ლიმონკა“ დაიშურეს. მეორე კორპუსის „მაყურებელმა“ მეტსახელად „გიურზამ“ (ეს ის გიურზაა გედი გელბახიანი რომ სცემა და ზაზა წიკლაურს ადუღებული წყალი გადაასხა) მითხრა: „დახვრეტის მუხლები გაქვს, ხომ იცი, მაინც დაგხვრეტავენ, წამო ღამით სროლით გავიკვლიოთ გზა და გავიდეთო“, მივხვდი ეს იარაღიც და მისი წინადადებაც ვისგან მოდიოდა.

გადიოდა დრო. ბალუაშვილი „გულმოდგინედ“ მუშაობდა. იმდენად გათავხედდა, რომ ჩემს ადვოკატსაც აღარ ერიდებოდა. ასე მაგალითად - მისი სცენარის ერთ-ერთი „ჩვენებიდან“ მან დემოსტრაციულად ამოიღო ფურცელი, სადაც აზერბაიჯანის პრეზიდენტის ელჩიბეის გვარი ფიგურირებდა და შეცვალა უკვე წინასწარ დაწერილი მეორე ფურცლით, მეც და მოვსესიანმაც ამ ფურცელზე ხელი მოვაწერეთ, თანაც დაუმატა: „ამ დღეებში შევარდნაძე ხვდება ელჩიბეის და ესეთი ჩვენება ჩვენთვის მომგებიანი არ არისო“.

დიდი წინააღმდეგობის გაწევა მომიხდა, როცა საქმე გედი გელბახიანს შეეხო. „თქვი გელბახიანზე! ჩემს უკან შევარდნაძე დგას, პატიოსან სიტყვას გაძლევ 3 წელზე მეტს არ ჩაგსვამ, საიდუმლო წერილს მივწერ მოსამართლესო. ეს იყო ყოვლად ზნედაცემული ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომელიც საკუთარი ბინძური კარიერისთვის მზად იყო ყოველგვარი სიბილწე ჩაედინა.

დაპირისპირების დროს იმედები არ გავუმართლე. იგი რამოდენიმე საათის განმავლობაში მარწმუნებდა, რომ ჩვენ ყველანი დასახვრეტები ვართ, რომ იგი ხვალვე წავიდოდა მშობლიურ ისრაელში, მაგრამ ვის დაუტოვოს საქართველო - „თქვენ?!“

არაერთხელ მიფიქრია თვითმკვლელობაზე. გონებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ჩამომხრჩვალი ირაკლი დოკვაძე - ვენებგადაჭრილ, ან დანით მოკლულ დოკვაძეს, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ მაკავებდა - ეს იდუმალებით მოცული ამბავი ხალხისათვის არასოდეს გახდებოდა ცნობილი.

გულწრფელად მებრალებიან დაზარალებულები, რომლებიც დღესაც სხვის სასამართლოზე დადიან. გაიგებენ კი როდესმე სიმართლეს? ვის სჭირდება და რისთვის ჩვენი მკვლელებად და ტერორისტებად მონათვლა! არა მგონია ეს საქართველოს ინტერესებს ემსახურებოდეს.

ჯაბა იოსელიანზე ოთხჯერ მოხდა თავდასხმა.

მოკლულია მისი მოადგილე „ბუღა“ (აფეთქების შედეგად).

მოკლულები არიან ზაზა ვეფხვაძე და გია სვანიძე.

მოკლულია თემურ ტალახაძე (აფეთქების შედეგად).

მოკლულია ქალაქის პროკურორი მიხეილ ქურდაძე.

მოკლულია „საქთამბაქოს“ გენერალური დირექტორი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ადამიანი, მაგრამ ამ საქმეების გახსნა არავის „აინტერესებს“. თუმცა ყველასათვის დღესავით ნათელია ვისი ხელი ურევია ამაში.

ირაკლი დოკვაძე
1993 წ. 2 თებერვალი, ქ. თბილისი

1995 წლის 6 მარტს ირაკლი დოკვაძეს და აწ გარდაცვლილ პეტრე გელბახიანს თბილისის საბურთალოს სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა. უზენაესი სასამართლოს ზედა პალატის თავმჯდომარემ მერაბ ტურავამ, მოსამართლე ნინო გვენეტაძემ და სხვებმა (ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებმაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ სასამართლოებზე ზეწოლისადმი პროტესტის ნიშნად უარი თქვეს მოსამართლეობაზე) ირ. დოკვაძესა და პ. გელბახიანს დახვრეტა 10 წლის პატიმრობით შეუცვალეს. დოკვაძე და გელბახიანი 2 წელი და 5 თვე იმყოფებოდნენ სიკვდილმისჯილთა საკანში. 2002 წლის 4 სექტემბერს ისინი გათავისუფლდნენ უკანონო პატიმრობიდან. 2004 წლის 2 თებერვალს უზენაეს სასამართლოს ზედაპალატის თავმჯდომარემ მერაბ ტურავამ და მოსამართლე ნინო გვენეტაძემ მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის საქ. ფინანსთა სამინისტროს, დოკვაძისათვის 20 000 ლარის გადახდა დააკისრა, რითაც მისი უკანონო პატიმრობა აღიარა.

„ღაჟარგული ეღემი“ ანუ ქართველობის ღაჟარგვისა და ზნეობასთან ღაშორების საფრთხე

ე ს ს ე

„ვის თონახავს ის სამშობლო ჩემი?“
(ილია)

უკვე ოცი წელია გვგგონია, რომ ერთი კვირის მერე უკეთესი კვირა დაიწყება, ერთი თვის მერე უკეთესი თვე, ერთი წლის მერე ბევრად კარგი წელი და ასე გრძელდება... მთავარი ფუფუნება სიმშვიდეა და აუმღვრეველი ყოფა, მაგრამ ვეღარ ვპოულობთ ამას. ცუდსა და კარგს შორის როცა არჩევანი გაქვს, რა თქმა უნდა, კარგი უნდა აირჩიო, მაგრამ ასე არ არის. ცოდვა შემპარავია და ღვთიურ სამოთხეშიც შეაღწია... უნდა იცხოვრო მუდმივობის შესაბამისად, მუდმივად რაა მიზანშეწონილი! დავივიწყეთ, რომ ადამიანობა მადლია, მისგან განძარცვა ბოროტება. ადამიანებიც მხოლოდ დროის შესაბამისად ცხოვრობენ, სამადისოზე ვინღა ფიქრობს... არის მოვლენები, რომელსაც შენგან რაღაცა მიაქვს... ვფურცლავ წიგნებს ძველ ამბებზე, ვინ იცის, მერამდენედ; მსურს შევამაგრო არსებობა. ძნელია როცა გტკივა სხვაზე მეტი ან სხვათა და შენს ტკივილს ერთმანეთს უკავშირებ და სხვა დრო გენატრება. კვლავ ამოვიკითხე სამწუხარო ცნობა, რომ მიხეილ ჯავახიშვილს 11-ჯერ დაუპირეს დახვრეტა, ბოლოს 1937 წ. 13 აგვისტოს დააპატიმრეს. 1937 წ. 19 სექტემბერს „დადგენილებაში“ ჩაწერეს: „ბრალდებული მიხეილ ჯავახიშვილი გამოძიების მასალებით მთლიანად მხილებულია, რომ ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას და ჯაშუშობდა უცხოეთის სახელმწიფოების სასარგებლოდ, ეწეოდა მავნებლობას, აწყობდა დივერსიულ აქტებს და ამზადებდა ტერორისტულ აქტებს“. 1937 წ. 30 სექტემბერს იგი თბილისში დახვრიტეს. მრავალჯერ გამოინასკვა მსგავსი ყულფი, მრავალს დაემუქრა რეალობის კოშმარი, არა ერთზე გამოიყენეს ეს ხერხი... მწარე ჭეშმარიტებაა, რომ მათი არსებობა თავისთავად საფრთხეს წარმოადგენდა. ცდება ვისაც ჰგონია, რომ მტერმა ერთხელ გამოკრა სასხლეტს ხელი, როცა ილიას, ზვიადს, მიხეილს და სხვებს კლავდნენ, ამით მხოლოდ დაიწყო და დღესაც გრძელდება მათი მოკვლის პროცესი, ეს ერის მოკვდინების ცდაა. მათი განადგურებით ქვეყანა უნდა განადგურებულიყო... არა და არ მოშუშდა ძველი სატკივარი. მათზეა ზედგამოჭრილი ერთი შემოქმედის ამაყი ფრაზა - „ცა ჩემი სულის მისამართია“. ამ ციურ არსებობასაც შეეწირნენ: ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამბერძოლი, პოეტი, ემიგრანტი შალვა ამირეჯიბი მიხ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილ წერილში წერს - „ბოლშევიზმი მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისებმა აჯობონ უკეთებს და უვარგისებმა მართონ უკეთესები“. საუკეთესოს გზას მოუსპობდნენ და დარჩებოდნენ ისეთნი, რომელნიც ბოროტების წინააღმდეგ ხელს აღარ გამოიღებდნენ, თავს არ გამოიმეტებდნენ. დადგა კიდეც უფერული დრო საეჭვო ადამიანებით აღზევებული. აღარც გულმხურვალე ტკბილი ქართული გვესმის და აღარც მადლიანი გული შემორჩენილა, რომელზეც ილია ბრძანებდა - „გული მადლია და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს... იმიტომ, რომ მადლი ერთისგან გაწირვაა და მეორისგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ არ გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისთვის“. ასეა, დღეს გულს მხოლოდ სამედიცინო მნიშვნელობა თუ შერჩა. აღარაა ცნება - „მოყვასი გული“. ადრე გული ცოცხლობდა, სულიც საზრდოობდა მშვენიერებით! ადამიანი, რომელიც ყველაზე საფრთხილო საგანია, ახლა ყველას ხელში (რეჟისორია, ხელისუფალი თუ ჟურნალისტი) გადასხვავაფერებულ-გათამაშებულ-გამასხარავებულია. იკარგება მისი სიდიადის განცდა და მისია! აღარც ხელოვნება ჰგავს ხელოვნებას, აღარც ადამიანი თავის თავს! ამოძრავებულია მავნე რკინის ხელი სულმიხდილობამდე... იყო დრო, ყველაფერ ქართულს დასცინეს, დაცინვიდან უარყოფამდე მივიდნენ; პატრიოტიზმი „პროვინციალიზმად“ მონათლეს... სადღაა გარემო, რომელიც მხოლოდ მარტო შენია! დავივიწყეთ, რომ ბედნიერება მხოლოდ გარეგანი ბრწყინვალება არ არის, შინაგანი მდგომარეობაცაა! აღზევდა მკრეხელი სული. დავკარგეთ ჩვენი, ვითვისეთ სხვისი. უგულო გულით და გაცვეთილი ფრაზით ვერ ლაპარაკობს ქართველი, მისი ბაგით გადაჯიშებული „ენამზეობს“ ქართული სითბო უცხო სიცივემ შეცვალა, გულკეთილობა - თავის თავის მსახურებამ, ლამაზი ენა - უხეშმა და არაფრისმეტყველმა. ქართული ფენომენია მოსაძიებელი, ამაზე უნდა ვსაუბრობდეთ, ეს უნდა გვტკიოდეს... სად გაქრა ტკბილქართული მეტყველება, ერთმანეთით გახარება! იქნებ მივბაძოთ ჩვენს ღირსეულ ძვლებს, შეურცხვენელი თაობა რომ უწოდეს და მიმზიდველობას სძენდნენ, მადლსა და მარილს მატებდნენ არსებობას, ახალისებდნენ; ყველას და ყველაფერს ჭირისუფლობდნენ. ვგრძნობ, დაბეჯითებით უნდა ვთქვა რაიმე იმ ღირსეულ ძველებზე... როგორ კაცობდნენ, როგორ ქალობდნენ, დედობდნენ და ქვეყანას პატრონობდნენ, თავს არ ირცხვენდნენ. ალალი იყო მათი ყოფა, გაუფუჭებელ-შეურყვნელი და იდგა ფეხზე საქართველო! ისინი ცხოვრებისა და სიცოცხლის დუღაბს ტკბილად კრავდნენ, წუთისოფლის დოლაბას მიწყივ აბრუნებდნენ სადღეხვალიოდ, სამერმისოდ, რომ მარად დავეპურებინეთ სიკეთითა და სიყვარულით. სად გაქრნენ მაინც ის დიდი და ტკბილი გმირები ცხოვრებისა, ის უბრალო, მაგრამ არაჩვეულებრივი ქართველები - ნამდვილი ღობეების ნაცვლად წიგნის კიდეებს რომ მოსდგომიან და მკითხველს ელოდებიან მარადცოცხალი სახეებით. გადაშლით წიგნს და თქვენთან ერთად სუნთქავენ, ხმაურობენ, ხარობენ, ლაპარაკობენ, ხალისობენ, დაკეცავთ და მარტონი რჩებიან, უპატრონოდ და შენც დაცარიელებული ხარ უამქართველებოდ. გაცრეცილი ყოფით შეზღუდულ, დამძიმებულ გარემოში სული პატიმარივით გეხუთება და ბორკილები გამძიმებს. იქნებ მხოლოდ ის ჯანსაღი მტევნები ქრისტეს მზიან ვენახშიღა ხარობენ და აქ აღარ მომწიფდებიან?! მე მათ თავწყაროსთან მიდგას ჩემი ოცნების კოკა და იმათ დაბრუნებას ველოდები. სანამ ეს კოკა აივსება, მათ გავიხსენებ, ამბებს გიამბობთ ნამდვილ ქართველებზე. რა ვქნა, ჭრელ, დაქანცულ დედამიწას მსურს თვალი მოვწყვიტოთ და უცვლელ, მაღალ ცას გავხედო, ის სიძველე გავიხსენო კვლავ, ნუშის ყვავილივით დედამიწის სამკაულს რომ წარმოადგენდა და ცხოვრებას გაზაფხულად აქცევდა! ქართველს ფუტკარივით პაწია ფრთებით მოჰქონდა ღონიერება და სასწაული, მაშინ ღვთივდაცულნი ვიყავით! სული ისევ მათ სანახებთან წრიალებს, შენ შორეულ ახლობელს ელტვი!

ლამაზი სიტყვის დიდოსტატი - გოგლა ლეონიძე, გულისტკივილითა წერს მოთხრობაში „დეიდა მაიკო“ - „დეიდა მაიკოს ხმის სიტკბო დღესაც ჩამესმის. საოცარი ალერსები იცოდა: - ჩემო სიცოცხლის ცისკარო!... ჩემო გაშლილო იაო! წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე! ჩემო სიყმის მზევ, შენ კი დაგენაცვლე!.. დედის ოქროს შანდალო!“ და სხვა ჩამონათვალის მერე დასძენს - „რა იქმნენ, სად წავიდნენ ეს ალერსიანი სიტყვები, ძველად ათასმა მიკომ რომ იცოდა საქართველოში? რატომ აღარ ვალერსობთ დღეს ამ სიტყვებით, რატომ ჩვენც აღარავინ გვეუბნება, რად გავიძარცვენით, ხომ გვცივა უამსიტყვებოდ!... ნუთუ დაყრუვდნენ, მოკვდნენ, გადაშენდნენ ეს სიტყვები?“ შემდეგ საგულისხმო პირდაპირ გაფრთხილებას გვაძლევს - „თუ გუნებას დილიდანვე სხივი არ შეჰყვა, წაადგე... იმ ერთ სხივზე უნდა ააგო მთელი დღის სიცოცხლე!... იმ სხივს ენდე. ის სხივი წაიყვანს მთელი დღის შენ საქმიანობას“. ასეთი იყო მზიანი არსებობა წინათ, სხივშერთული. არ შემიძლია აქვე არ გავიხსენო რეზო ინანიშვილის მოთხრობის გმირი, ჩვეულებრივი ქართველი ქალი, ბავშვს როგორ აძინებს; სიყვარული, რომელიც პატარა კერიდან იწყება, როგორ გადის მის ფარგლებს გარეთ, მიღმა სამყაროს ეფრქვევა, სითბოდ ეღვრება. აქ მთელი სიცოცხლის ფერხულია, ერთი ზეიმი და სიამე, ერთი ფეთქვა ყველაში გადანაწილებული. სიყვარული ხომ ყველაფრით გახარებაა! გთავაზობთ ამონარიდს ამ საოცარი „ძილისპირულიდან“, ქალი წამღერებით აძინებს ბავშვს - „წადით, ყველანი წადით ახლა, ჩემმა ოქრობიჭმა უნდა დაიძინოს, ჩემმა ოქროთი სავსე კიდობანმა... ჩემმა გულის გულმა... წამლად დავენაყე და მალამოდ დავედე ამას, ჩემს მზის სიხარულს ბიჭს, ჩემს მარგალიტის კიჭებიან ბიჭს... წადი შენ, მელიავ, კუდიგრძელიავ, შენც წადი ტურავ, ტურიკელავ, ყურებდაცქვეტილო, მსუნაგო, ჩემს ბაკუნას თქვენთვის აღარა სცალია. შენც წადი, აუავ, ჩემს ბაკუნიას პური აღარ უჭირავს, შენც წადი, ფისოვ, ყველიპარიავ... ახლოს მოსვლა არ გაბედო დათვო, ბაჯბაჯავ, არც შენა - მგელო, პირდაღებულო, საძაგელო... უკვე ღამეა და ყველანი თქვენს ბუნაგებში წადით... დაიძინეთ. ნანა, ნანა, მელიავ და ტურავ, ნანა, ნანა, აუავ და ფისოვ, წადით თქვენს შვილებთან და ნანა ქენით. მოდით ძილის ტკბილო სტუმრებო, ჭრელო სიზმრებო... ტკბილად უგალობეთ ჩემს ბაკუნას, ის გიჩვენებთ სიხარულს კიჭებს, თქვენ აჩვენეთ თქვენი ლამაზი ფრთები“ - მიმართავს ჩიტს, ჩიტბატონას, მერცხალს... და ეს არის ალალი სიხარული, უბრალო ყოფის სილამაზე, ცხოვრების სადა წესი, მხოლოდ სიკეთესა და მშვენიერებას რომ ცნობს. სიცოცხლე თავისთავადი ღირებულებაა და სხვა ვერაფერი აჭუჭყიანებს მას, სხვა ყოველივე ძალიან პატარად მოჩანს მასთან!

რეზო ინანიშვილის გმირებს მივყვეთ კვლავ, მათი ქართული სამყარო გავამზიანოთ.

ასე ილოცება ომახიანი ქართველი - „ახალი წლის მადლოო, სუ კარგი ზამთარ-ზაფხულები გვქონებოდეს, ჭირნახული არ მოგვკლებოდეს, კაცებს კაცობა შესძლებოდეთ, ქალებს ქალობა, ბალღებს ბალღობა, მკვდარიც კი ჩვენი ამჯობინოს ჩვენი მტრისასაო“. ჭირსაც სულთამძლეობით უმკვლავდებოდა, ძლიერებით თრგუნავდა ქართველი. ამაზე წერს მნერალი საოცარ ამბავს: ერთ სოფელში სპარსთა ოცეული შემოვიდა, ხანი მოდიოდა, სულ ახალგაზრდა, მამასახლისიც მოსდევდა. სოფელში ძესულიერი არ ჭაჭანებდა. გახიზნულიყვნენ. უცებ იკითხა ხანმა - „აიმ საფრთხობელებში ხომ ჯვრებია გახვეული?“ მამასახლისს საცოდავად გაეღიმა: „- ჯვრებია მბრძანებელო“. აღშფოთდა ხანი: „მერე ძალიან გემძიმება თავი კისერზე?“ და გამოსავლის ძიება ორაზროვან პასუხში: „იყვნენ ძონძებში გახვეული ჯვრების აღმმართველი გმირები! ახლა ასე სჯობია, მბრძანებელო, დაუთმეთ ეგ ძონძებში გამოხვეული ჯვრები“. ჯვარი! - გადარჩენის ნიშანი და მათთან ერთად გადანახული სული! - აი, რა არის ჟრუანტელისმომგვრელი. ეს იყო ქართული სულისკვეთების იმედიანი და უწყინარი შეტევა! სხვაგან კი ასეთ რამეს წერს მსგავს თავგანწირვაზე, ტყისმცველმა მიამბოო - ვაზი ხომ ღვთის მცენარეა, სპარსელები სპობდნენ მას და პატრონებსაც კლავდნენ. ერთ კაცსაც უპოვეს ბოლოს. მან სიკვდილის წინ ვაზის რქა წელზე შემოირტყა ქამრად, იცოდა უგულოდ დამარხავდნენო. მას თავი მოაჭრეს, რქამ მიწაში გაიხარა და ისევ ამოვიდა ქვეყანაზე... ასე არ ცოტავდებოდა ქრისტეს ტრაპეზზე ღვინო, ასე არ ცარიელდებოდა ბარძიმი! ილოცებოდა ქართველიც - „ამ ჭერს გაუმარჯოსო, ამ ჭერს შეფარებულებსო, კეთილი გულით მომსვლელ-წამსვლელებსო“. იგონებს ინანიშვილი ამ „სიყვარულის მხარჯავ ხალხს“ და წუხს, ვინ „ამოგვიცარიელაო სასულეთი“...

ქართველი დედის ლოცვა კი შემძვრელია და დღევანდლობასაც წაადგება. ეს ტკივლშერთული ვედრებაა ქალაქელ დალხინებულ შვილზე. გამდიდრებულმა მანქანით ჩააკითხა დედას, ხელცარიელი მიუვიდა მომლოდინეს; ცოლ-შვილს გადაგებულს დედისთვის აღარ სცალია. არხეინად მიიძნებს. შეშფოთდა ქალი, ვაითუ, არაპატიოსნად მოიხვეჭაო ქონება და თვალცრემლიანი ასე შესთხოვს დიდ დედას - „ღვთისმშობელო დედავ, შენ დაიფარე ჩემი მოდგმა და სისხლი! უკადრისი არაფერი აკადრებინო, შენი უბისა და კალთის ჭირიმე! ჩვენი მამა-პაპის სახელის შემრცხვენელი არაფერი აკადრებინო, ჩვენო წამებულო დედავ! მიეცი ძალი ტკივილის და გაჭირვების ატანისა, ოქროთი ცდუნების ძლევისა! ნუ გააჭუჭყიანებინებ სულს, ნურც ხელებს! ღვთისმშობელო დედავ, შენი მავედრებელი იყო ჩემი მამა-პაპა, შენი მავედრებელი ვარ მე... დაიფარე შენი კეთილი კალთით“. რაოდენ დიდი ნამუსიანობა და სულიერი გვემა იკითხება აქ. ღმერთთან ნამუსიანობა იყო მთავარი! ასეთი იყო ჯერ კიდევ დაუმახინჯებელი არსებობა! მტერი სხვა მარცვალს თესავს, ჩვენი სულისთვის სხვა ტალახსა ზელს. ეს გულის სიდარბაისლეც გაქრა. ნეტავ, რომელმა ხელმა ქსოვა ის ბადე-მახეები, სადაც ასე თავისდაუღწევლად გავებით და სამუდამოდ გავიბოჭეთ. როგორ ჩაღრმავდა ვერაგობით ძლეული სული. ძველს და ახალ სამყაროს შორის ხიდი ისევ წიგნია! რჩეული თვისებები ძალით თუ პარვით აგვართვეს, სულის სიკეთეც გაავებით შეცვალეს. სისასტიკე ლამის სულის თვისებად გადაიქცეს! „პროვინციალიზმად“ მონათლული ინდივიდუალური ნიშანწყალი საგულდაგულოდ წაიშალა. ისღა დაგვრჩენია ამ ნამუსშეძრული დედასავით აღვაპყროთ ხელები და ეს მართალი ლოცვა ჩვენც ვიღაღადოთ, ამ მტირალი დედასავით; ღმერთმა იხსნას ქართველთა მოდგმა და დაუნარჩუნოს დედამიწას საკუთარი სახით, მშვენიერი სულით, იმ მონაგებით, რაც დღემდე მოვიდა დამწერლობის, ტაძრების, ისტორიის სახით. უფალი თუ აღმართავს გადმოულახავ მადლის კედელს. იქნებ, ტკბილი „ძილისპირულით“ დაიძინებულთ, დაგვიდგეს ის დიდი გათენება, რომ ყველა ზედმოსეული თავის ბუნაგში წასულიყოს და კვლავ ჯიშიან ქართველებად გაგვეღვიძოს! ღმერთმა გაათბოს ქართული სიტყვა და ლოცვა ისევ. „ღმერთო, დაილოცა შენი სახელი“, „მონანილე ვარ შენი მწუხარების“, „ჩემო თვალის სინათლევ“ და ა. შ. რა სიტყვის სალარო არ მოიძიებოდა, ვინ დაგვცარა მართლა. ნამდვილად თანამონაწილეობდა ქართველი ყველაფერში და კეთილსინდისიერად ზიდავდა ცისა და მიწის ტვირთს. ღმერთსაც მადლობდა და სამყაროსაც, ყველას აწვდენდა გულსა და ფიქრს. იცოდა როდის რა უნდა ეთქვა, გუმანით გრძნობდა. დაიკარგა თავგზიანი სიტყვა-პასუხი.

ურიგო არ იქნება ახალგაზრდობას ფშაველ ცხენოსანზე მონათხრობიც გადავცეთ. რეზო ინანიშვილის ერთი პერსონაჟი ასეთ ამბავს ჰყვება: მამაჩემს კარგი და სანაქებო ცხენი მოუკვდაო. ჭაკზე ჯდომა სათაკილო იყო ვაჟკაცისთვის და ორმა მთვრალმა ხევსურმა დასცინა თურმე. ეს კი იუკადრისა, თან ის კარგი ცხენი მოაგონდაო და თავი დაებრალა. კვირის თავს დაიბარა ისინი, გიჩვენებთო როგორი ცხენი მყავსო. საგანგებოდ უყიდია „არაბა“ - შავი ცხენი... შეჯიბრებულან ამ პირობით თუ გამისწრებთ, თქვენ წაიყვანეთ ჩემი ცხენი, თუ გაგისწრებთ, მე დამრჩება თქვენებიო. ხევსურებს ეგონათ, ფშაველი რას გვაჯობებსო. პირჯვარი გადაუწერიათ და დაძრულან. ხევსურები დამარცხებულან და უსიტყვოდ გასწიესო ფეხით, გამარჯვებულს სიცილ-სიცილში, მაგრამ წამოსწევიათ ის ვედრებით - გეყოფათ თქვენცა და მეცა, მობრუნდით, ჩემი სტუმრები ხართო. გაბრაზებულებს თავი გაუკლავთ უარით, ამასაც არ დაუხევია უკან - ცოდვა არ დაიდოთ, ყელი არ გამომჭრევინოთო კაცს! კარგადაც მოულხენიათ, ცხენებზეც შეუსხამს და გაუშვია სამუდამოდ დაძმობილებულები. ბოლოს კი მთხრობელი დასძენს: „ეს ამბავი უნდა იცოდეს მთელმა ჩვენმა მოდგმამ. მე ეგ მინახავდა ფრონტზედაც, ეგ მინახავს დღესაც, მაგან არ შეიძლება არ უშველოს ჩემს შვილთაშვილებს და იმათ შვილებს, როცა დაინახავენ, რომ თაგვებივით გაფაციცებულნი მოარბენინებენ პატარა კაცები თავ-თავიანთ სოროებისკენ ამქვეყნიურ საგზალს“.

ამ ფშაველი კაცის ამბავი კარგად ავლენს ქართულ ხასიათს, კაცმოყვარეობას, რომელიც საკუთარი თავის სიყვარულიდან გამომდინარეობს და სხვის პატივისცემასაც გულისხმობს, როცა ეგოისტი არა ხარ და მოყვასის ღირსებასაც ისევ უფრთხილდები, როგორც შენსას, ესაა ადამიანობა. დააფასო საკუთარი სახელი, კაცობა და არც სხვა გაიმეტო შერცხვენისთვის - აი, მთავარი რაა; კარგი ვაჟკაცობაც დაადასტურა და გულნაწყენობაც აღმოფხვრა, ტკივილი გააქრო. აღარც სხვები დაამუნათა. აქ კეთილშობილების, დიდსულოვნების იმპულსი მოქმედებს, როცა სხვაც შენად შეგიძლია აქციო. ეს ყველამ იმიტომ უნდა იცოდეს, რომ

გაგრძელება მე-15 გვ.

დასაწყისი გვ. 14

ბოღმამ არ დაჩაგროს გული. შელახული თავმოყვარეობაც აღიდგინა და არც სხვას აუტკივა სული. დავაკვირდეთ, ცნობიერება, რომელიც თავისთავადია და არ იმართება, რაოდენ განსხვავებულია! დაგონჯების საფრთხე და საკუთარ თავს გადაგება კი ასე გაკიცხა მწერალმა: „ეროვნულ უბედურებად იქცა კაბინეტებისკენ სწრაფვა. ეს არის ყოველგვარი უკუღმართობის სათავე - ჩემი ოჯახი, ჩემი გეჯა, ჩემი სალაფავი და შიგ ყურებამდე ჩარგული თავი, რომ სხვამ არ ჩაგიკრას დინგი“. დანანებით წერს - „სხვა ადამიანობა გვქონდა, მარტო მომარაგებაზე არ ვიყავით გამეცადინებული თაგვებივით“. წუხს, რომ დავივიწყეთ - „უადამიანოდ ყველაფერი ბრმაა“, ხოლო „ის ანგრევს ყველაფერს, ვისაც წარსული ჭუჭყიანი აქვს“. ფაქიზ სულს ბასრავს წვრილმანი პრაქტიციზმი...

აღსანიშნავია ასევე ამბავი, რომელიც ფშაველმა ქალმა მოუთხრო რეზო ინანიაშვილს: მამა ავადმყოფი იყო, შეშის მოტანა რომ დაგვჭირდებოდაო, დედა ურმის კოფოზე მამას დასვამდა, სახრეს დააჭერინებდა და ისე გავიდოდნენ სოფლიდანო. ქალი ტყეში თავად ჭრიდა შეშას, ურემზე დებდა, რომ გამობრუნდებოდნენ და სოფელს მოუახლოვდებოდნენ, ის სახრეს ისევ კაცს მისცემდა, დიდ მანძილზე ჩამორჩებოდა, ვითომდა მარტო მამას მოჰქონდა ოჯახისთვის შეშა. რაოდენ დიდი სიბრძნე - სიდარბაისლე იკითხება აქ. ეს სათნო ადამიანები გულს იყპობენ. ოჯახის ღირსება იყო მთავარი, სხვის თვალში შენარჩუნებული სიძლიერე, მაგრამ კაციც იმსახურებდა ამას! ორივეს კეთილგონიერებაა ასეთი ქცევის საფუძველი! სინდისისა და სიყვარულის მიღმა არ მიმდინარეობდა ცხოვრება.

ნამდვილი მწერალი ისაა, ვინც მუდამ თანამედროვეა! ვინც წარმოგვიდგენს სამყაროს, რომელიც შენია, მაგრამ მხოლოდ შენ არ გეკუთვნის. ზომიერება გონიერებაა და სწორედ ეს არ აკლდათ იმ ნამდვილ ქართველებს! საინტერესოა მათი სახე-ხატი. ასეთები იყვნენ ის მხედრები, ახოვანი ქართველები; კაბაგაუხუნარი და მანდილშეურცხვენელი ქალები, ის ძველი დედები - ოჯახს და ნამუსს არაფრით რომ უმტყუნებდნენ, ადამიანურ პატიოსნებას ატარებდნენ, მამაკაცი მათ მადლობდა სადღეგრძელოთი, სიმღერით, ლექსით, სიყვარულით, ხსოვნით. მათთვის მთავარი უწმინდესი ღირსება იყო. ამ უბრალო, მაგრამ მთლიან, გაუბზარავ ადამიანებზე წერდნენ მწერლები, იმ მადლით გვაკურთხებდნენ, ასეთი ცხოვრებიდან რომ მოდის, მათ თავს გვამახსოვრებდნენ მხოლოდ. იმათი ლოცვით, ოფლით, ცრემლითა თუ სუნთქვით გაჯერებული ჰაერი და მინა გადმოგვეცა, მაგრამ „ზეზვა და მზიასთან“ უფრო ახლოს ვდგავართ, ვიდრე მათთან, რადგან პატრონად სხვა მივიჩნიეთ! ნამუსახდილობის ეპოქაშიც ასე მოვექეცით. თურმე ქართველად ყოფნასაც სწავლა უნდოდა, ერთ-ერთი სამოძღვრო წიგნი უნდა ყოფილიყო, თანაღმზრდელი, მაგრამ ის საგულდაგულოდ დაგვაკეცინეს, ჭრელ-ჭრელ საგან-ამბებით სულიც დაანაწევრეს და ჩვენი არსებობაც გაფანტეს. „მარიტას“ საზოგადოებად გვაქციეს - სილამაზის, უმანკოების დამსამარებლად და გვავიწყდება, რომ ასეთი საზოგადოება თვითმკვლელი საზოგადოებაა. დრო, ალბათ, ყოველთვის ლამობს ჩვენგან უკეთესი წაიღოს. წიგნებშიღა შემოვრჩით სრული სახით! სულიერ-გონებრივი სიდუხჭირე თვალშისაცემია, შექმნილი „ნიჭი“ ვარჩიეთ თვითნაბადს! გვავიწყდება, რომ სულიერი დარღვევა როცაა ადამიანს ბედნიერებას ვერაფერი მიანიჭებს! სათნო ცხოვრება შეილახა ათასი ხრიკით, საგულდაგულოდ. იქნებ, მაშინ იმედგაცრუებაც არ იყო ხშირი?! ადამიანს ადამიანის ესმოდა; ადამიანს ადამიანისა სტკიოდა... იყო ურთიერთგაზიარებული სამყარო, ტკივილდაძლეული. დღეს კი გამყიდველთა სული მძინვარებს! ძველად მორალი იყო ემოციის საფუძველიც, ნებისყოფაც ასე მაგრობდა. ჩვენაში ჰქონდათ სიკეთე!

გლეხური სიბრძნე, საღი იუმორი და გონების სისხარტე იკითხება ერთ პატარა ფაქტში - კომუნისტი მუშაკი გლეხს თავს წამოადგა: „ვინა ბრძანდებითო? - იკითხა მშრომელმა, ჯაფას შეჩვეულმა; მომაგრებული ვარო - იყო პასუხი. აბა, შვილო, თუ ეგრეა, მე მოფამფალებული ვარ და თოხი შენ გამომართვი, მე ცოტას წავუძინებო“.

ასეთია გლეხკაცის საზრიანობა. ნათელსახიანი ქალ-კაცნი დაბიჯებდნენ მაშინ!

ერთი ლამაზი ისტორია შემორჩა სიყვარულსა, უცნაურობით, მომხიბლაობით რომ დაიპყრო კალმოსანთა გული. გავრცელებული ლექსია - „ვერცხლისამც თასად მაქცია“, მის ავტორს ხვარამზეს ვაჟიკა ჰყვარებია თავდავიწყებით. მთებს შემორჩა მათი სევდიანი თავგადასავალი. ქალი პოეტი იყო, მაგრამ გული დაუდაღავს იმედგაცრუებას. ის სიღარიბით დაუწუნია ვაჟის მდიდარ ოჯახს. ორივე დაოჯახებულა სხვაზე, მაგრამ ბოლომდე მხოლოდ ერთურთი ჰყვარებიათ. თედო რაზიკაშვილი იკვლევდა მათ ამბავსა და ქალის აწ უკვე ცნობილ ლექსებს. ერთი შემთხვევით კი მეტად მოხიბლულა და ჩვენც გავიხსენებთ: ვაჟიკა ხანდახან ქალის უნახაობას ვერ ითმენდა, შეჯდებოდა თურმე ცხენზე და მის სოფელში წამოვიდოდა, რომ როგორმე თვალი მოეკრა მისთვის. ერთ წვიმიან დღეს ის ჩვეულებრივ ამოსულა და ცხენი ხვარამზეს სახლთან ჩაუტარებია იმ იმედით, იქნებ გამოიხედოს და დამენახოსო. თურმე, მართლაც, გამოაღო კარი მან, გახედა მხედარს, კრინტიც ვერ დაძრა. ვაჟიკამ რომ ჩაიარა, ქალმა იმის ცხენის ნაფეხურებს ძეძვის ღობე შემოავლო, დაე, სამუდამოდ დარჩეს ასე, არ წაიშალოსო. (სხვა რა ჰქონდაო სატრფოსგან სახსოვრად!). შემდეგ გულშეძრულს ასეთი ლექსი შეუთხზავს:

ვინა ხარ, ვინ იარები,
ლაღო, მაგ ლაღი ცხენითა?
თავს რად არ შემოიბრუნებ,
ყანას რად მამკევ ცრემლითა?

ასეთი სიყვარული ხომ მხოლოდ საქართველოში შეეძლოთ. ესაა ქართული გულის იარა, პატიოსნებისა და ერთგულების ან იშვიათი მაგალითი. ტკივილის ლამაზად ტარებაც ამშვენებდა მათ... იყვნენ უტეხი მარტოხელებიც, ასეთებზე თქმულა სადიდებელო-სატკივილო: „ცოდოა მარტო ქალი, მტანჯველ მოლოდინს შეაჭამა თავი... ალბათ ჰგონიათ, რომ ყველა მარტო ქალი იღუპება... ცდებიან... ისინი, უბრალოდ, შიგნიდან დაჭიანებული ნაღველით დაფუტურებულები კვდებიან“ (ვ. ჩხიკვაძე). გული მათი მზედაუკრავ კოკობივით ჭკნებოდა და შეუბღლავი სახელი ციურ საზღვრამდე მიჰქონდათ. დღეს კი ყველაფერი მხოლოდ ხორციელით არის გადაფარული.

მე ამ თავწყაროსთან შეჩერებული იმ ქართველებს დავუცდი კვლავ და გულს ვინუგეშებ ისევ რეზო ინანიშვილის სამძიმო სიტყვებით, რომელიც ერთი ბედისა და სულისკვეთების სამანებში მოქცეულ მამულიშვილებზეა:

„მე მეჩვენება, რომ მე და ჩემისთანები ოცდაათიანი წლების ქალაქის გარეუბანში აშენებული ქოხები ვართ, ქაფჩის უქონლობის გამო ხელისგულებით ნალესი. ამ ქოხებში ტრიალებს ნამდაპკურებული მიწის სუნი, კედლებზე ჰკიდია მწერლებისა და კომპოზიტორების სურათები, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას შავ ჩარჩოში ჩასმული პაპისა და ბებიის სურათი; პატარა სარკმლები ღიაა, გარეთა რაფაზე პურის ნამცეცები ყრია ჩიტებისათვის... და, თუ ჯერჯერობით კიდევ ვარსებობთ ქვეყანაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ რკინა-ბეტონის ნაგებობებს არ ვუშლით ხელს. საკმარისია, მოვიდნენ, მოგვიახლოვდნენ, მოგვაყენებენ ბულდოზერებს და ჩაგვაშავებენ ხევებში“.

ასე საშიშია, ვინც სიძველეთა გადმონაშთს ატარებს გულში! აკი გაგვიმარტოვეს კიდეც. ჩვენი იდეალური მდგომარეობის ხატიც შესვარეს და მანქანებიც დაძრეს ხევისკენ! უნაპირო ტკივილი აწვება გულს. არსებობენ მიზეზები, როცა ასეთი სიტყვები იწერება. ასე დაიბადა ლადო ასათიანის ეს ტკივილშერთული სტრიქონებიც:

წინათ თუ ღვინოს დაგაძალებდნენ
დღეს წყალსაც არვინ დაგალევინებს,
დანაცრებულან ციხე-კოშკები,
„მრავალჟამიერ“ არსად გუგუნებს.
მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს.

იქნებ კვლავ აყვავდეს ძველი ედემი? იმ ქართველებზე უთქვამს სპარს ისტორიკოსს ისკანდერ მუნშს:

ყოველ წუთში თითო იესო დაიბადება,
ყოველ სახლში იესოს მშობელი მარიამი ჩასახლებულა“.
(ლ. სანიკიძე - დედა ისტორია, II ტ.)

ახლა თუ ესმის ქართველს ის მისია, უცხოც რომ ამჩნევდა?! დროულადაა გონს მოგება საჭირო. სად დაიკარგა ის პირველადი სიხარული, თავისთავადი, ახლა მხოლოდ ადამიანისგან ანდა გარემოსაგან რომ ველოდებით ამაოდ და მაინც ვერ მოგვიძევია? ის შიგნიდან არსებობდა და გარედან არ ელოდნენ გაფაციცებით! ვითვისოთ ეს დიდი სამყარო და გადავურჩებით მიწასთან გასწორების საფრთხეს! ისევ იმ სუფთა, ძველ გზას გავუყვეთ, „ბულდოზერები“ ვერასოდეს რომ ვერ მიაკვლევენ და ახლომახლო არც ხრამი იმალება! ეგებ ვფიფიქროთ, რაა სრული, უხარვეზო ქართველობა. ეს იყო ცოდვადაძლეული უმანკო სამყარო! ნამდვილად თანაარსებობდა უფალი ასეთ ცხოვრებასთან! მათი გაუჩინარების სევდა მაწვალებს. დღეკანდელობა მაქეზებს მარად ვუხმობდე იმ დავიწყებულებს. ნუთუ მხოლოდ ზეცადღა არსებობს მართალი და პატიოსანი სამყარო?! აი, რატომ თქვა გალაკტიონმა: „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“. მტკიცედაც მოუკიდიათ ფეხი ამ კეთროვან სულებს. მძიმეა ამ „სხვათა“ თარეში. სასტიკი და უცნაური დროა და ვისაც არ ენაღვლება დღითიდღე გვთხრის ძირფესვიანად! რამდენჯერაც დადგა ქვეყნის ხსნის იმედი, იმდენჯერვე შეითითხნა დასაწყისში მოხმობილი ცრუ ბრალდების მსგავსი შავი საქმეც. იმ ადამიანთა სახით სხვა რამ იდევნებოდა... დღესდღეობით ისევ ღალატია წახალისებული და კარგადაც ჯილდოვდება. ოღონდ ქართული არ იყოს არსად არაფერი და წარმატებაც გამზადებულია. გადაგვარებულნი ხომ უკეთურებას ვერც მოერევიან და ვერც განარჩევენ. სულიერი განძი მივატოვეთ და მატერიალურს გამოვუდექით! თეიმურაზ ხევისთავივით ლამის დაგვემართოს - მწარე აღიარებიდან ცვლილებამდე ვერ მივდივართ და უძლურების ჭაობში ვრჩებით. დაკარგულ წარსულს კი გულის კუნჭულებსა და წიგნებში სძინავს, თავის გათენების დროს ელოდება! დასანანია, მოხვეჭის სურვილით გაშმაგებულებს რომ ხედავ მხოლოდ. მძიმეა, როცა ყველაზე ბედნიერ წლებს გართმევენ, მაგრამ გართმევენ მთავარს - სამშობლოს! ერთურთთან და მთელ გარემოსთან შეხმატკბილებული სიცოცხლე უსიცოცხლობას დაემსგავსა და მაინც არ გაჩნდა უკეთესად ყოფნის ნიშანი - სინანული! საჭოჭმანო მდგომარეობა ადამიანთა შორის ზღუდეებს გულდაგულ ავლებს. შორდები იმ დროს, როცა არსებობას კეთილშობილება კვებავდა მხოლოდ და მონატრებაც კი აღარ ჩნდება! დამკარგავმა არც კი იცის რა დაკარგა, რა აართვეს. ასე დაიწყო ცხოვრება ფულთან ერთად, მაგრამ ალალ ადამიანთა გარეშე! გაღარიბდა სულიც და განცდაც.

მომძლავრდა ბალღამი და სიხარბე, რომელსაც ადრინდელებში ვერ იპოვიდით ამ სიხშირით! სოვდაგრული სული სილამაზეს ჩაენაცვლა და ნამდვილ ღმერთს ქალაღლის კერპი შეეცილა „სასწაულებში“, ადამიანთა მითვისებაში. სანამ მოჩვენებებივით იბორიალებდნენ არსებანი, მანამდე ჰქონდათ კიდეც ღვთაებრივი სახიერება, სხვა მშვენიერება, ლაზათი და სულის მიდრეკილებანი მხოლოდ კარგისკენ. სიმრუდემ იჩინა თავი, გემოვნებაც ლამისაა მხოლოდღა შაშხზე დავიდეს და ცხოვრებასაც ნამდვილი სურნელი აართვეს... დღევანდელი „რჩეულნიც“ აღარ რჩეულობენ! ბევრმა მოძებნა თავის შავი სოროც, სადაც დაცუნცულებს თაგუნასავით ადამიანობა-მოპარული, სუსტი გულით, მოძაბუნებული. დასახიჩრებულ ბუნებას აღარ გავიკვირვებთ, არც ვიუცხოვებთ და არც გვეცოდინება, რომ ის არაა ჩვენი, რაც ჩვენად საღდება და არც არაფრით განგვარჩევს სხვათაგან. ხელგაშლილობა, გულგაშლილობა წარსულში დარჩა და ამ წარსულს ქვა-ღორღი მივაყარეთ მძიმე გულით. ხოლო, როცა მოლოდინი აღარც გვექნება არაფრისა, მაინც ინათებს სრული გათენებით, ჯერ კი შუა ძილში ვართ და სხვა იგებს დროს.. სასწაულმოქმედის ხელი კვლავ ააყვავებს ღვთიურ ოაზისს და ჩემი ოცნების კოკაც აღარ გატყდება ამ თავწყაროსთან!

რას ვიზამთ, ნამდვილ ადამიანებს სინდისი კარნახობს, პატარებს - გარემოება. გარემოება წარმავალია, სუფთა სინდისს კი ღმერთთან მიყავხარ! არ შეიძლება პირუტყვული შემგუებლობით დაემორჩილო რეალობას... მოსახდენი კი მაინც მოხდება და ვაი, მას ვისაც შეეშალა ფეხი, ვინც სისწორეს აცდა და კარგადაც გაუტია...

ლალი ბარძიმაშვილი
ფილოლოგი, მკვლევარი

ტანკების წალეების ისტორია გაგრძელდა...

2008 წლის აგვისტოში რუსმა აგრესორებმა საქართველოს ოკუპირებული რაიონებიდან უნიტაზებთან, კომპიუტერებთან, ავეჯსა და სამოქალაქო დანიშნულების სხვა საგნებთან ერთად ქართული არმიის დიდძალი სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება გაზიდეს.

რუსეთის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე არმიის მაროდიორებმა მეტი გაქანებით გააგრძელეს ბოლშევიკების მე-11 არმიის დაწყებული საქმე, რომელსაც საფუძველი შორეულ 1921 წელს ჩაეყარა. 1921 წლის 16 თებერვალს მე-11 წითელი არმიის ქვედანაყოფები გამთენიისას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან, ფოილოსა და წითელი ხიდების გამოვლით შემოვიდნენ და თბილისისაკენ წამოვიდნენ. ბოლშევიკების განკარგულებაში ქვეით და საკავალერიო ნაწილებთან ერთად საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯავშანძალები იყო: მე-2 ავტოსატანკო რაზმი, 55-ე ავტოჯავშანრაზმი და 5 ჯავშანმატარებელი. ტანკები სადგურ აღ-თაღლიასთან გადმოიტვირთა და 78-ე მსროლელ პოლკს დაექვემდებარა.

მოწინააღმდეგის პირველი შეტევების მოგერიება ქართულმა არმიამ მოახერხა, მაგრამ ძალების გადაჯგუფების შემდეგ ბოლშევიკებმა 24 თებერვალს მეორე უფრო ძლიერი შეტევა განავითარეს.

მე-2 რაზმის სამი ტანკი Б-5, Б-9 და „ვ ჩიომ დელო“ რკინიგზის ხაზის პარალელურად მოძრაობდა. ქართული ჯავშანავტომობილი შეტევის შეჩერებას შეეცადა, მაგრამ რუსული ტანკების ცეცხლმა ამის საშუალება არ მისცა. ნავთლუღის ახლოს „ვ ჩიომ დელოს“ ეკიპაჟმა ტანკის მართვას თავი ვერ გაართვა და ოცმეტრიან ხევში ჩაიჩეხა, ორმა კი ნავთლუღამდე მიღწევა მოახერხა. თბილისში მე-11 არმია შემოვიდა და ნავთლუღის სადგურამდე რამდენიმე კილომეტრიანი მარშის დროს გამოჩენილი „გმირობისა“ და „მამაცობისათვის“ რამდენიმე ტანკისტი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ორი ტანკი ქართულ არმიასაც ჰყავდა. ტანკები ყირიმში ვრანგელის არმიისთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც ინგლისელები იარაღითა და სამხედრო ტექნიკით უხვად ამარაგებდნენ და ტვირთის ერთი ნაწილი ბათუმის გავლით იგზავნებოდა.

ვრანგელის იმ დროისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯავშანძალები ოთხი სატანკო რაზმისა და სატანკო დივიზიონისაგან შედგებოდა. როგორც ჩანს, ქართველებმა ტანკები ბათუმში შეამჩნიეს და დატოვება მოინდომეს, ხოლო საერთო ენა რუსეთის არმიის კაპიტან ზოლოტარიოვთან 4 მილიონ მანეთად გამოინახა. კაპიტანს - ფული, ხოლო ქართულ არმიას ყირიმში გასაგზავნი 2 ტანკი და სატვირთო მანქანის 4 საბურავი დარჩა. ტანკების დაკარგვით შეშფოთებულმა საქართველოში ინგლისის ელჩმა უორდროპმა 1920 წლის აპრილში საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორს ნოტით მიმართა და ტვირთის უკან დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ თხოვნა არ დაკმაყოფილდა. 1921 წლის თებერვალში ქართულმა არმიამ ტანკების გამოყენება ვერ შეძლო და ორივე რუსებს დარჩათ. 1921 წლის 20 მარტს მე-11 არმიის ჯავშანძალების უფროსმა ზუნმა საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისარს მიმართა, სადაც ის წერდა „თბილისის სადგურის სახელოსნოში ნაპოვნია ნაწილობრივად დაშლილი და ბევრი დეტალის არმქონე ინგლისური ტანკი MKV N 9330. ტანკი აიწყო და პლატფორმაზე დაიდო. ტანკის შეკეთება მხოლოდ ცენტრში - დიდი ქარხნის საშუალებებით არის შესაძლებელი. გთხოვთ, მომცეთ ტანკის მოსკოვში გაგზავნის ნებართვა, როგორც რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკისათვის საქართველოს მთავრობის საჩუქარი“. მეორე ტანკის №9146-ის შესახებ ამხანაგი ზუნი მიმართვაში არაფერს წერს.

აგვისტოს ომის დროს კი მე-11 არმიის გამოცდილებაზე გამოზრდილმა რუსმა ოფიცრებმა განსაკუთრებულად იყოჩაღეს და ქართული არმიის ჯავშანტექნიკის ათეულობით ერთეული გააგზავნეს.

გიორგი ჭაბუკაშვილი
კერძო სკოლა „ლომისი,“
VII კლასი

ხუთეთანა

შენც საქართველოს ღაბაკლიი, ჯაკო

კაკო, რა ძნელია ჩემთვის დღეს კალმის აღება და ამ სიტყვების წერა. ძნელია იმ ადამიანის გარდაცვალების შესახებ წერა, რომელთანაც მეგობრობის სამ ათეულ წელზე მეტი გაკავშირებს.

ო, რა მოკლე ყოფილა ეს წუთზე მოკლე წუთისოფელი. ორმოცი დღე გაილია, რაც შეწყდა შენი გულის ძგერა, ძგერა იმ გულისა, რომელიც ბალღობდან ძგერდა შენი ბედკრული სამშობლოსათვის.

საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა უფალმა ხომ შენს ლამაზ ოჯახს განსაკუთრებულ ჯილდოდ არგუნა. ჯილდო, რომლის სიმძიმესაც, ტკივილსა და ნეტარებას ქედმოუხრელად ატარებს მთელი შენი ოჯახი, დედმამა, შენი ვაჟკაცი ძმა, შენი ცალუღელად დარჩენილი მეუღლე თამარი და ორი ძე, რომელთა მკერდშიც გიორგაძეებისა და კაცაძეებისეული გული ძგერს.

ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე შენ ნამდვილ ქართული, ვაჟკაცური ხმით კითხულობდი იმ მამულიშვილურ ლექსებს, რომელიც მაშინდელი საზოგადოებისათვის თითქმის უცნობი იყო. შენი ქართველობის, და არა მარტო შენი, დედა ხომ შენი და ჩვენი სათაყვანებელი დედა, ჩვენს ქალაქში ეროვნული სულის მეცეცხლური, მრავალი თაობის ნამდვილ ქართველებად აღმზრდელი ქალბატონი ლია კაცაძე არის.

ვიხსენებ იმ წლებს, დღეს ტკივილიან მოგონებად ქცეულს, როდესაც ყველასაგან მივიწყებულსა და მიტოვებულ გელათისა და ბაგრატის ჩუქურთმებს დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ხავსისა და მტვრისაგან ასუფთავებდი. ვიხსენებ იმ წლებს, როდესაც შენმა და ჩვენმა სათაყვანებელმა ქართველობის დედამ, უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ქალბატონმა ლია კაცაძემ ჩვენი დიდი მეფეთ-მეფის, დავითის ხსენების დღე აღადგინა. რვა თებერვალი ხომ ჩვენმა ლია დეიდამ გაუცოცხლა დავითის ქალაქს, ეს იმ გარდასულ 1972 წელს დაიწყო და ჩვენც შენი ოჯახის გარშემო მყოფნი სულმოუთქმელად ველოდით ყოველი 8 თებერვლის გათენებას, ამ დღეს ხომ გელათის კურთხულ მიწას ჩვენი სამშობლოს სარანგები, ჩვენი ტანჯული გმირები ზვიადი და მერაბი ესტუმრებოდნენ ხოლმე.

მაშინ ძნელი და საშიში იყო ორი სიტყვის - საქართველოსა და თავისუფლების ერთად ხმარება, გიული გიორგაძისა და ლია კაცაძის ოჯახის კერაზე კი მხოლოდ ამ ორი სიტყვის ნაღვერდალი კიაფობდა.

დედაქალაქიდან სტუმრად ჩამოსულ მერაბს და ზვიადს ხომ მოუთმენლად ელოდა შენი ოჯახი. გიხაროდა და ამაყობდი, ეს ორი ბუმბერაზი ქართველი ბალღობიდან რომ იხილე.

ეროვნული მოძრაობის აღზევება ხომ ჩვენს ქალაქშიც შენი ოჯახიდან დაიწყო, მაშინ უკვე ჭაბუკები ვიყავით... საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე უჩუმრად, უხმაუროდ ირჯებოდი, შენი ჯილდო და ბედნიერება 1991 წლის 9 აპრილი იყო, ბედნიერების თავანკარა ცრემლით დამშვენებული...

უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ შენ და შენმა ღირსეულმა მეუღლემ თამარმა იმ მხარეს მიაშურეთ, საიდანაც ქართველის სასომიხდილი კვნესა გვესმოდა, იქ სამცხე-ჯავახეთში უპატრონოდ მიტოვებული ქართული მაჯისფეთქვა გეძახდათ.

კაკო, რამდენი რამ დაგვიტოვე ტკივილიან მოგონებად, რამდენი რამის თქმა მინდა ძმაო, მაგრამ...

ეჰ, ვერვინ აღუდგა არსთაგამრიგეს...

შენი ამქვეყნიდან წასვლაც ხომ აღდგომის ბრწყინვალე კვირაში მოხდა, ესეც რჩეულთა ხვედრია, სულის ნეტარებად და სასოებად გექცა ამდენი წლის გაუსაძლისი, შენ თავაწეული შეაბიჯე ზეციერ საქართველში, ერთმა უბრალო, უსახელო უფლისციხელმა ხანმოკლე ტანჯვა-ნეტარებით აღვსილი სიცოცხლე უფლისა და სამშობლოს სიყვარულში გალიე.

შენს ცხოვრებას შენი ორი ვაჟკაცი, პაპუნა და ზვიადი, შენი ძმისშვილები ღირსეულად გააგრძელებენ და იმ დღეს ერთად შევიყრებით, როდესაც სამანი დაადგება შენი სამშობლოს ტანჯვა-ვაებას და შენი სულიც გაიხარებს...

ჩვენში და შენს სათაყვანებელ მეგობრებში, რომლებმაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შენი ტანჯული ცხოვრებით იცხოვრეს, მუდამ დარჩები ჩვენი ცხოვრების ლამაზ ფურცლად! რა საამაყოა რომ გიცნობდით.

მე კი მაპატიე ძმაო, იმ გაუსაძლისში შენს გვერდით რომ არ ვიყავი, თან რომ ვერ გაგატანე ძმისა და მეგობრის ალალი ცრემლი...

განისვენე მშობელ მიწაში, ია და ვარდი დაეფინება შენს ძვალთშესალაგს...

ალეკო სანდუხაძე

სამი თვეა, რაც მარადისობაში გაღაინაცვლე, დედა

ნორა
მდინარაძე-ქუტიძისა

გული უზომოდ მოგვიკვდა, დედა. სამუდამოდ წახვედი და ზღვა ცრემლი, უსაშველო მონატრება და უდიდესი ტკივილი დაგვიტოვე, რომელიც დროსთან ერთად იზრდება, არასდროს განიკურნება უშენობის ტკივილი. ძალიან, ძალიან გვაკლიხარ ჩვენო ლამაზო დედავ და ბებიავ, უსაშველოდ გვენატრები. შენ ხომ იშვიათი სიყვარულის უნარი გაგაჩნდა, შენ ხომ ყველას მიმართ სიკეთისა და სათნოების მფრქვეველი იყავი, სანიმუშო დედა, სანიმუშო მეუღლე, სანიმუშო ბებია. ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ყველაზე მზრუნველი და მოამაგე, ჩვენი ღიმილიანი დედა იყავი. ჩვენ უსაზღვროდ მადლობელი ვართ იმ უზომო ამაგისათვის, რასაც მთელი ცხოვრება ეწეოდი ჩვენთვის.

როგორ ნატრობდი გენახა ბედნიერი და ჭეშმარიტად თავისუფალი საქართველო. სიცოცხლითა და სიყვარულით მოუწყინარო ჩვენო ლამაზო დედავ, მოვალთ შენს საფლავთან და უფალს შევთხოვთ შენი სულის ნეტარებას.

უშენოებით დამწუხრებული შენი შვილები და შვილიშვილები.

ბესიკ ბესელია - თვალსაჩინო წარმომადგენელი აფხაზეთის ქართველობისა

არასდროს შემეძლო გამოსათხოვარი წერილების წერა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი დავკარგე, ვისთანაც ახლო ურთიერთობა მქონია. მათ შორის - ეროვნული გმირები, სახელმწიფო მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები, საყვარელი მწერლები თუ მსახიობები, გამოჩენილი სპორტსმენები, კოლორიტი ქალაქელები, მაგრამ არავისთვის ერთი ბწკარიც არ მიმიძღვნია. ეს წერილიც ვხვდები რომ გამოსათხოვარი წერილის აკადემიურ ფორმებს გასცდება, მაგრამ ჩავთვალე, რომ რაღაც აუცილებლად უნდა მეთქვა.

2009 წლის 27-მა მარტმა თავზარი დამცა. დიდებული ქართველი, იშვიათი ვაჟკაცი, ყველასათვის საიმედო, უღალატო საყრდენი ბესიკ ჟღენტი გამოგვეცალა ხელიდან.

2010 წლის 7 მაისს კი ბესიკ ბესელიას გარდაცვალებამ სულით-ხორცამდე შემძრა. ერთ წელიწადში ორი ბიძა, ორი ბესიკი, ორი ყველასაგან გამორჩეული ქართველი, რომლებთანაც თანაცხოვრება ძალას, რწმენას და იმედს მაძლევდა.

ბესო და ბესო დეიდაშვილები იყვნენ, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულნი, მაგრამ ისეთი მსგავსნი სიყვარულსა და სიკეთეში, რომ მათი არყოფნით გამოწვეული სიცარიელე შეუძლებელია ვინმემ შეავსოს.

ბესიკ ბესელია იყო უზადოდ დახვეწილი ინტელიგენტი, ენციკლოპედიურად განათლებული მისი ხალისიანი ბუნებით, გამორჩეული პროფესიონალიზმით, განსაკუთრებული იუმორით, შესანიშნავი თამადა ქართული სუფრის, ყველგან უდიდეს პატივსა და სიყვარულს მიაგებდა ყველას. საკუთარი ტკივილით არასდროს არავინ დაუმძიმებია, თავისი საწუხარით არავინ შეუწუხებია. ჰქონდა საოცარი წვდომის უნარი - ყოველ ადამიანში პიროვნება დაენახა, რაც იშვიათი გამონაკლისია და რჩეულთა თვისებაა.,ჰქონდა შესაშური პიროვნული ღირსებები: სიკეთე, გულისხმიერება, ადამიანური სითბოსა და თანადგომის არაჩვეულებრივი უნარი. მოკლედ, ულამაზესი წარმომადგენელი აფხაზეთის ქართველობისა,

სოხუმის მკვიდრი, ღირსეული ოჯახისშვილი, თავადაც ულამაზესი ოჯახის თავკაცი - მიიბარა თბილისის მიწამ, მაგრამ ძალიან ძნელი იყო აფხაზეთში მშვენიერებითა და გონიერებით გამორჩეული ქალბატონის, რომლისთვისაც მრავალ პოეტს შესანიშნავი სტრიქონები უძღვნია, - დღეს კი მხედველობა დაკარგული 87 წლის გამწარებული დედის - თამარ ოდიშარიას აჩრდილის ცქერა.

კარგად ვიცი, თუ რა განუზომელ სიყვარულსა და ტკივილს ატარებდა ბესო აფხაზეთზე, მის მშობლიურ სოხუმზე.

ბესო! შენმა და ჩვენმა აფხაზმა ძმებმა სოხუმიდან სამძიმარი გვითხრეს. თბილისთან ერთად კი აფხაზეთის ათასობით ქართველმა პირადად მოგაგეს პატივი, დაგიტირეს, ანუგეშეს შენი ლამაზი ოჯახი და შენთან ერთად დაიტირეს შენი უბედური დედა. მამაშენი კი 41 წლის ჟორა ბესელია სოხუმიდან შემოგეხმიანება, რომლის საფლავს, თურმე ამ დღეებში გავიგე შენი აფხაზი მეგობრები უვლიან დღემდე. როცა გავიგე, სოხუმიდან აფხაზები და სხვა ეროვნების ხალხი სამძიმარს და თანადგომას უცხადებენ შენს ოჯახს - ბოლომდე გავაცნობიერე თუ რამ გადამაწყვეტია ამ წერილის დაწერა. როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, ბესიკ ბესელიას გარდაცვალებით - ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯით დავშორდით სოხუმს. არ ვიყენებთ და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიხსენებთ იმ ოქროს ფონდს და ახლაც თბილისის მიწას მივაბარეთ კაცი, რომლის დატირებაც აფხაზებმა გულით შესძლეს აფხაზეთში. ეს ტკივილი იმდენად გულწრფელი იყო, რომ გათიშულობამაც ხელი ვერ შეუშალა და გადმოლახა ის საზღვარი, რომელიც ჩვენმა საერთო მტრებმა აღმართეს ჩვენს შორის. ეს კიდევ ერთი დანაშაულია ქართველებისა და აფხაზების წინაშე, რომ ისეთ ხალხს, ვისაც ელიან სოხუმში და ველით თბილისშიც, - 17 წელია არ მისცემიათ საშუალება, პირიქით - ყოველნაირად ეშლებათ ხელი ერთმანეთისკენ სავალი გზების მოძიებაში. თუკი დღეს ჩვენ კიდევ შეგვწევს უნარი ერთმანეთის ტკივილი გავიზიაროთ - ე.ი. შანსი არსებობს და დანაშაული ის არის, რომ ეს შანსი გამოუყენებელი რჩება ამ მამულიშვილურ საქმეში. ბესიკ ბესელიამ კი თავისი გარდაცვალებით კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენ მხოლოდ საერთო ტკივილი, სიყვარული და სინანული დაგვიბრუნებს ერთმანეთს. მომავალში მაინც გავითვალისწინოთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. მწამს ამ ურთიერთობის სჯეროდა ბესიკს და ამ რწმენით ცხოვრობდა.

კახა მიგინეიშვილი

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

ვებგვერდი: *http://ganmatavisuflebeli.webs.com*

ელ.ფოსტა: *ganmatavisuflebeli@yahoo.com*

რედაქტორი ლეილა ცომაია